

ევროპული სტანდარტებით!

A4



ერთი ახალი დეტალი ქართულ სატელევიზიო მედიაში

A5



ფერთა პალიტრა "ვერნისაჟში"

A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 26 ოქტომბერი, 2006 წელი. №238 (1390) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზის ნომერი

40 52 22

თიბისი-ფოსტა

გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?

გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?

გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

## ამინდი

| | 26/10 | 27/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 20 |
| ბათუმი | 23 | 22 |
| სოხუმი | 20 | 20 |
| ქუთაისი | 23 | 23 |
| გორი | 18 | 17 |
| თელავი | 20 | 17 |
| ონი | 17 | 15 |
| ზუგდიდი | 22 | 23 |
| ახმეტა | 20 | 19 |
| სამტრედია | 23 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7400 |
| ევრო | 2.1870 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2649 |
| რუბლი | 0.0647 |


| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სპორტი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# აშშ კოდორის ხეობის შესახებ გადაწყვეტილებას ემხრობა

დევიდ. რ. სანდსი
*"ვაშინგტონ თაიმსი"*

სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი რანგის მოხელე უარყოფს იმ ფაქტს, რომ ბუშის ადმინისტრაციამ რუსეთის მიერ ინიცირებულ გაერო-ს რეზოლუციას, საქართველოსადმი კრიტიკულს, თითქოსდა მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ სანაცვლოდ მოსკოვის მხარდაჭერა მოეპოვებინა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციების პაკეტის დაწესებისას.

თუმცა, მოსკოვსა და თბილისს შორის უკანასკნელ თვეში უკიდურესად გამწვავებული დაძაბულობის გათვალისწინებით, ორმა ქართველმა პარლამენტარმა უკვე გამოთქვა უკმაყოფილება აშშ-ს პოზიციის გამო და განაცხადა, რომ ის მხოლოდ რუსეთს დაეხმარება გრძელვადიანი მიზნის მიღწევაში, "შეცვალოს რეჟიმი" თავის პატარა, სამხრეთელ მეზობელ ქვეყანაში.

**"ჩვენ მადლობელნი ვართ ჩვენი მეგობრების, რომ რეზოლუცია ისე ცუდი არ არის, როგორც თავდაპირველად რუსეთს სურდა. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ არ ვართ ამით ბედნიერები,"** - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკოლოზ რურუამ.

**"იგი** (რეზოლუცია) **ამახინჯებს ჩვენს ფაქტებს. უფრო მეტიც, იგი შეიძლება იქნეს რუსეთის მიერ გაგებული, როგორც მომავალში თავისუფლად მოქმედების ნებართვა. აი, ეს არის ყველაზე სახიფათო",** - ამბობს იგი ვაშინგტონში ყოფნისას.

რეზოლუცია საქართველოს შესახებ მიიღეს ცოტა ხნით ადრე, ვიდრე გაერო-ს უშიშროების საბჭო ერთხმად დაუჭერდა მხარს ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას. თუმცა, თბილისში ვიზიტით ყოფნისას სახელმწიფო მდივნის მოადგილე დენიელ ფრიდი არწმუნებდა ჟურნალისტებს, რომ ორ კენჭისყრას შორის რაიმე გარიგება არ ყოფილა.

**"იმის თქმა, რომ აშშ რაიმეს სანაცვლოდ გარიგებაზე დათანხმდა, აბსურდული ბრალდებაა და არავითარი საფუძველი არ აქვს,"** - განაცხადა ბატონმა ფრიდმა და კატეგორიულად უარყო მოსაზრება, რომ ეს რეზოლუცია "საქართველოსთვის წამგებიანი იყო".

გაგრძელება A3 გვერდზე

# ხორბლის დეფიციტის საფრთხე და რუსეთის ალტერნატივა

*საქართველოში ხორბლის ორი თვის მარაგი დარჩა. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აცხადებს, რომ ქვეყნის ხორბლით მომარაგების საკითხი მალე გადაიჭრება. ხორბლის თემა, რუსული ემბარგოს შემდეგ, მთავრობის სხდომის მსჯელობის საგანი პირველად გახდა. საგულისხმოა, რომ საქართველოში ხორბლის იმპორტის 70 პროცენტი რუსეთიდან ხორციელდებოდა. მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანასთან სატრანსპორტო ბლოკადა შეიქმნა, ბაზარზე ხორბლის დეფიციტის საფრთხე გაჩნდა.*



# გიო დაბრუნდა!

### ახალსახლობამ ასანიძე ფიცარნაგთან დააბრუნა

გიგა გურასაშვილი

*ადრე, როდესაც ოლიმპიურმა კომიტეტმა ძალოსნობის ფედერაციისთვის "ელეიკოს" შტანგები შეიძინა, ძალოსნების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ადვილი წარმოსადგენია, ახლა როგორ უნდა გრძნობდნენ თავს. შაბათს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალოსნებმა ახალსახლობა იზეიმეს. ახლო მომავალში გლდანის ინტერნატში მეორე დარბაზიც გაიხსნება, მერე კი იმავე დეპარტამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტკომპლექსი წამოიჭიმება, სადაც საკუთარი დარბაზი ექნებათ ძალოსნებს. თან ისეთი, რომ თამამად უმასპინძლებენ საერთაშორისო ტურნირებს.*

გაგრძელება A4 გვერდზე



# გავიხსენოთ და წინ აღვუდგეთ!

### საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს მიმართვა რუსეთისა და მსოფლიოს რელიგიურ ლიდერებს

ისტორიისთვის რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური დევნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგრამ მე-20 საუკუნემ მთელ მსოფლიოს დაანახა, რა უბედურება შეუძლია მოუტანოს კაცობრიობას შეუწყნარებლობამ, როგორ შეიძლება "განსხვავებულის" მიმართ აგრესიამ წარმოშვას გეტოები, საკონცენტრაციო ბანაკები, გაზის საკნები, ადამიანის საპნებად და ჩექმებად გადამამუშავებელი ფაბრიკები, წარმოშვას ფაშიზმი და მსოფლიო ომი - დაღუპვის პირას მიიყვანოს კაცობრიობა.

მე-20 საუკუნემ მსოფლიოს გადარჩენის გზაც უჩვენა: სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეთნოსის, კეთილი ნების სახელმწიფოების დიალოგსა და კონსოლიდაციას შეუძლია აგვარიდოს უზნეობის, ურთიერთდევნის, არაჰუმანურობის, დისკრიმინაციის, რასიზმის, გენოციდისა და ომის კატასტროფა!

ის, რაც ბოლო პერიოდში რუსეთში საქართველოს მოქალაქეების, ეთნიკური ქართველებისა და საერთოდ, არარუსული წარმომავლობის ადამიანების მიმართ ხორციელდება, საგანგაშოა!

ეთნიკურ ნიადაგზე მიმდინარეობს მასობრივი დეპორტაცია, დევნიან ბავშვებს, მოხუცებს, ინვალიდებს, ერთმანეთს აშორებენ ოჯახის წევრებს. იყო შემთხვევა, როცა რამდენიმე ბავშვი მშობლებს მოწყვიტეს. სამართალდამცავები ამოწმებენ და იკვლევენ რუსეთში მცხოვრები ადამიანების ეთნიკურ წარმომავლობას. რუსი პარლამენტარები საპარლამენტო ტრიბუნიდან ქართველების დასამცირებლად ქართული აქცენტით ლაპარაკობენ. უკიდურესი ცინიზმით ხორციელდება იმ ბიზნესის შევიწროება, რომელიც ქართველების სახელებთან არის დაკავშირებული.

რუსეთის ხელისუფლების მიერ წამოწყებულ ანტიქართულ კამპანიას უკვე მოჰყვა მსხვერპლი: დეპორტაციისას ორი ადამიანი დაიღუპა. ამ ფონზე რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ ქართველების მიმართ დევნა და დისკრიმინაცია არ შეწყდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მცდელობის მიუხედავად, პუტინმა იმპერიული ამბიციები ვერ დაფარა

ხათუნა გაბიევი

კრემლთან ტრადიციული "პირდაპირი ხაზი" გუშინ ეკონომიკურ საკითხებზე საუბრით დაიწყო, ვლადიმირ პუტინმა მოსახლეობისგან მიღებულ 2 300 000-ზე მეტ კითხვაზე პასუხი, სწორედ, ამ თემით გახსნა. ქვეყნის პირველი პირის ანგარიში მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლების მოყვანით დაიწყო, რომელსაც რუსეთის უმაღლესმა ხელისუფალმა ნებისმიერ ქვეყანაში მიღწევებისა და წარუმატებლობების განმსაზღვრელი უწოდა.

**"ჩვენ კმაყოფილი ვართ ქვეყნის განვითარებით. უკანასკნელ წლებში რუსეთის ეკონომიკური მაჩვენებელი წლიურად 7-პროცენტიანი ზრდით ხასიათდება და ამჟამად ქვეყანამ 6.6 პროცენტის დონეს მიაღწია მაშინ, როცა ევროპა ერთ-ორ პროცენტს, ამერიკის შეერთებული შტატები სამს, ხოლო აზიური ქვეყნები 10-პროცენტს ვერ აჭარბებენ. გამოდის, რომ ჩვენ შუალედური მაჩვენებელი გვაქვს. მართალია, ინფლაციას ისეთი ტემპებით ვერ ვამცირებთ, როგორიც სასურველი იქნებოდა, მაგრამ რაღაცას მაინც ვახერხებთ. თანაც ჩვენ მთლიანად დავფარეთ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ახალი რუსეთის საგარეო ვალები. ვალებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის შეფარდებით, ჩვენ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანა ვართ,"** - თქვა ვლადიმირ პუტინმა.

საგარეო და შიდა ვალების გარდა, ქვეყნის პრეზიდენტი რუსულ ეკონომიკაში უცხოურ ინვესტიციებსაც შეეხო, რაც ამ ბოლო დროს აქტუალური თემაა დასავლეთში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე პროექტ "სახალინი-2"-სა და შტოკმანის გაზის საბადოს ეხება. ვლადიმირ პუტინის თქმით, მიმდინარე წელს უცხოური ინვესტიციების მოცულობა 41.9 პროცენტამდე გაიზარდა.

შემდეგი თემა, რაზეც რუსეთის პრეზიდენტმა ისაუბრა, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემა იყო. პუტინის თქმით, ფხენიანის ქმედება "არასანდო ტონალობით" თუ აიხსნება, რადგან მოლაპარაკებებში ჩართული მხარეები ელვის სისწრაფით იცვლიან ჩიხში მოქცეული მხარისადმი დამოკიდებულებას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ინციდენტი ზემო აფხაზეთში

### შს მინისტრს ცეცხლი გაუხსნეს

*საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი ზემო აფხაზეთში მომხდარ ინციდენტს პროვოკაციად აფასებს, თუმცა დარწმუნებით ვერ აცხადებს, იყო თუ არა ეს ფაქტი მის წინააღმდეგ მიმართული. "ჩემი აზრით, ეს შემთხვევითობა იყო. მე ძალზე ხშირად ვარ ზემო აფხაზეთში და ვფიქრობ, გასროლა, რომელიც დაახლოებით დილის 11 საათზე მოხდა, უბრალოდ, დამთხვევა იყო", - ასეთი კომენტარი გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა.*

საქართველოს შს მინისტრს, რომელიც ზემო აფხაზეთში იმყოფება, სეპარატისტების კონტროლირებადი ტერიტორიიდან ცეცხლი გაუხსნეს. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა შოთა ხიზანიშვილმა განუცხადა. მისი ინფორმაციით, მინისტრს მძიმე ტექნიკიდან გაუხსნეს ცეცხლი. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

**"ზემო აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაა და იქ საქართველოს მთავრობის წევრები ჩვეულებრივად გადაადგილდებიან. სეპარატისტები კი დაუსჯელნი არ დარჩებიან,"** - განაცხადა ხიზანიშვილმა.

მოგვიანებით მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა თავად ვანო მერაბიშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

მოკლედ

## ქრთამი სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებისთვის

რამდენიმე დღის წინ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო ნაწილში გამოძიება დაიწყო სამხედრო პოლიციის თანამშრომლის მიერ ქრთამის აღების ფაქტზე. საქმე, შემდგომი გამოძიების მიზნით, უკვე გადაიგზავნა გენერალურ პროკურატურაში. "გამოძიებით დადგინდა, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამწვევი განყოფილების ტექნიკურმა მუშაკმა ვასილ კობიაშვილმა თბილისში მცხოვრებ აკოფ დანელიანს, მისი შვილის ხოსროვ დანელიანისთვის სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების სანაცვლოდ, ქრთამი მოსთხოვა. გაწვევის გადავადება კი ისედაც არის შესაძლებელი", - აცხადებენ პროკურატურაში. გამოძიების მასალებით, კობიაშვილი დაჰპირდა დანელიანს, თუ მას ქრთამს გადაუხდიდნენ, ხოსროვ დანელიანს ჯარში გაწვევას გადაუვადებდა. ქრთამის მიცემას ადასტურებენ მამაშვილი დანელიანებიც და მათი თანმხლები პირებიც, რომელთა ჩვენებაც საქმეში დევს მტკიცებულებად. ვასილ კობიაშვილს უკვე წარედგინა ბრალი, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი, მას, აღკვეთის ღონისძიების სახით, დაპატიმრება შეეფარდა. **24 საათი**

## გირაო საბიუჯეტო სახსრების მითვისებისთვის

ცოტა ხანში სასამართლოს განსახილველად გადაეცემა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის აჭარის რეგიონული სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და საბინაო განყოფილების მომმარაგებლების თამაზ ჩიკვაიძისა და გურამ კორძაიას საქმე. მათ ბრალად ედებათ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

გამოძიების მასალებით, თამაზ ჩიკვაიძემ და გურამ კორძაიამ 2003 წელს შეადგინეს საქონლის შესყიდვის ყალბი აქტები. აქტებში კი იმ პიროვნებათა მონაცემები მიუთითეს, რომელთაც აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი კავშირი არ ჰქონიათ. გამოძიების მტკიცებით, ამ გზით ჩიკვაიძემ სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის რეგიონული სამმართველოს საბიუჯეტო სახსრებიდან - 7450, ხოლო კორძაიამ 2 ათასი ლარი მიითვისა.

კორძაიასა და ჩიკვაიძეს ბრალი მითვისება-გაფლანგვისა და სამსახურებრივი სიყალბის მუხლებით წარუდგინეს. ორივე მათგანმა, წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ, გირაოს სახით 10 ათას-10 ათასი ლარი გადაიხადა. **24 საათი**

## რეკომენდაცია ბაჩო ახალაიას

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა პატიმარ დ.ლ-ს ძმამ. განცხადების თანახმად, თბილისის N5 საპყრობილეში მოთავსებული პატიმარი დ.ლ. დაავადებულია შიდსის მე-3 კატეგორიით, ასევე - ქრონიკული C ჰეპატიტით. პატიმარი 15 ოქტომბრამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობდა, შემდეგ იგი - თბილისის N5 საპყრობილის ერთ-ერთ საკანში, ხოლო მეორე დღეს, 16 ოქტომბერს საპყრობილის სამედიცინო ნაწილში გადაიყვანეს. ამჟამად პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად რთულია, რომ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, სიცოცხლის შესანარჩუნებლად ავადმყოფი სასწრაფოდ სტაციონარულ მკურნალობაზე გადაყვანას საჭიროებს. სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბაჩო ახალაიას პატიმარ დ.ლ-ს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის რეკომენდაციით მიმართა. **24 საათი**

## სატყეო მეურნეობის უფროსები დააკავეს

იშვიათი ჯიშის ხე-ტყის უკანონო ჭრისა და მისი უცხოეთში რეალიზაციის ბრალდებით, სამეგრელო-ზემო სვანეთში სატყეო მეურნეობის უფროსები დააკავეს. როგორც სამხარეო პროკურორმა როლანდ ახალაიამ განაცხადა, დაკავებული არიან მესტიის, სენაკის და ზუგდიდის სატყეო მეურნეობის დირექტორები კ. კოტია, ს. ჭკადუა და გ. ჩარკვიანი. ასევე, დაკავებულია დაბა ჯვარის გამგებლის მოადგილე თ. ჯანჯღავა, რომელიც სახელმწიფო ქონების უკანონო პრივატიზაციის ფაქტზეა ბრალდებული. ახალაიას თქმით, დანაშაული დამტკიცების შემთხვევაში, აღნიშნულ პირებს 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ძიების პროცესში დაკავებულებს ბრალდება დაუმძიმდეთ და მათ უფლებამოსილების გადამეტებასა და დოკუმენტების გაყალბებისთვისაც აგონ პასუხი. ამასთან, პროკურორი არ გამორიცხავს, რომ გამოძიებამ გამოავლინოს ის უცხოური ფირმები, რომლებიც საქართველოში უკანონოდ მოჭრილ ხე-ტყეს იბარებდნენ და მათ დიდი ოდენობით ჯარიმა დაეკისროთ. **პრაიმ-ნიუსი**

## აქცია - "მოიტანე წიგნი ციხეში"

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N6 საპყრობილის ბიბლიოთეკას ორგანიზაცია "საინფორმაციო სახლი - საქართველო"-მ 200 წიგნი აჩუქა. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, საპყრობილის ბიბლიოთეკას მხატვრული ლიტერატურა საქველმოქმედო აქციის - "მოიტანე წიგნი ციხეში" - ფარგლებში გადაეცა. N6 საპყრობილეს ესტუმრა ახალგაზრდული ფონდის "თბილელი-თბილისის" ხელმძღვანელი მორის კრიხელი, რომელმაც პატიმრებს საზოგადოებრივი ერთიანობის თემაზე ლექცია წაუკითხა. **პრაიმ-ნიუსი**

## პანამაში დარეგისტრირებული საქართველოს დროშით მცურავი გემი

პრიმორსკის მხარეში, ნახოდკას პორტში საქართველოს დროშით მცურავი გემი "დილანი" დააკავეს. როგორც მეზღვაურთა პროფკავშირის რეგიონულ წარმომადგენელზე ნიკოლაი სუხანოვზე დაყრდნობით, სააგენტო "სტრანა.რუ" იუწყება, გემი პანამაშია დარეგისტრირებული. მისივე განცხადებით, გემზე აღმოჩენილია რამდენიმე დარღვევა - კერძოდ, ეკიპაჟს ტრანსპორტის მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის კოლექტიური შეთანხმება არ აღმოაჩნდა. სუხანოვის მტკიცებით, მილიციას ეჭვი საქართველოს დროშით გემის გადაადგილების გამო გაუჩნდა, მათ ჩათვალეს, რომ დოკუმენტები, შესაძლოა, ყალბი ყოფილიყო. ქართული დროშით მცურავ გემს ჯერ პორტის დატოვების უფლებას არ აძლევენ. **ინტერპრესნიუსი**

## უაქციზო სიგარეტი ყოფილი პოლიციელის სახლში

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველომ უაქციზო სიგარეტის დიდი პარტია ამოიღო. პოლიციის ყოფელი თანამშრომელი გოჩა ელიაშვილი გორის რაიონში, საკუთარ სახლში უაქციზო სიგარეტს ინახავდა. ჩხრეკის შედეგად მისი სახლიდან ამოღებულია 6 ათასი კოლოფი რუსულაქციზიანი სიგარეტი.

კასპში, ზაზა დურგლიშვილის და ზაქრო ყაზარაშვილის სახლებიდან კი ამოღებულია 8850 კოლოფი უაქციზო სიგარეტი. ელიაშვილი, დურგლიშვილი და ყაზარაშვილი წინასწარი დაკავების საკანში არიან გადაყვანილები და გამოძიება "აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის" მუხლით მიმდინარეობს.

ფინანსური პოლიციის მცხეთა-მთიანეთის სამმართველომ კი გორი-თბილისის ტრასაზე ჩატარებული რეიდის შედეგად გულნარა რევაზიშვილი, ეთერ ჩადუნელი, ნელი მიქაძე და გოგიტა ტერტერაშვილი დააკავა. ისინი რამდენიმე დაქირავებული ავტომანქანით აღურიცხავი, სხვადასხვა დასახელების სამრეწველო პროდუქციის ტრანსპორტირებას ახდენდნენ თბილისში, სავარაუდოდ, ბაზრობის მიმართულებით. ფინანსურმა პოლიციამ შესაბამისი მასალები გორის საგადასახადო ინსპექციას გადაუგზავნა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ინციდენტი ზემო აფხაზეთში

პირველი გვერდიდან

მინისტრის განცხადებით, დილით, დაახლოებით, თერთმეტის ნახევარზე სოფელ აჟარის მიდამოებში, "გრადის" ტიპის სამი ჭურვი ჩამოვარდა. ჭურვები ტყვარჩელის მიმდებარე ტერიტორიიდან ისროლეს, სადაც ამჟამად აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს წვრთნები მიმდინარეობს. ჭურვები დასახლებლი პუნქტიდან 1-1,5 კმ-ის დაშორებით ჩამოვარდა. გამოსროლა, დაახლოებით, 18-20 კმ-ის მანძილიდან მოხდა.

შს მინისტრმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გასროლა ემზარ კვიციანმა მოახდინა.

**"ემზარ კვიციანი ამ გასროლას ვერ მოახდენდა, რადგან სროლა სპეციალური დანადგარით - "გრადით" მოხდა, რომელიც ჭურვებს შორ მანძილზე ისვრის. ასეთი დანადგარი ემზარ კვიციანს არ აქვს. ეს გასროლა აფხაზეთისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელდა,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა, რომლის თქმითაც, ასეთი ფაქტების განმეორების საფრთხე ყოველთვის



*ეს შემთხვევითობა იყო, - აცხადებს ვანო მერაბიშვილი.*

არსებობს, თუმცა შს მინისტრი ირწმუნება, რომ ხეობაში საკმარისი ძალებია მობილიზებული, რათა მოსახლეობა დაცული იყოს. მისივე თქმით, მოსახლეობაში პანიკა არ არის, ცხოვრება ჩვეულ რიტმში გრძელდება, ადგილზე მობილიზებულია სპეცდანიშნულების რაზმები და რაიმე ცოცხალი ძალების გადაადგილება არ შეინიშნება.

**"მე აქ საკმაოდ ხშირად ჩამოვდივარ, რათა შევამოწმო სპეცდანაყოფების მდგომარეობა, მათი პირობები, ასევე - ის მშენებლობები, რომელიც ზემო აფხაზეთში ამჟამადაც გრძელდება. ეს არის რუსეთის ძალების პროვოკაცია, რომელიც საეჭვოდ ემთხვევა მოსკოვში პუტინის მიერ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ საგანგაშო განცხადებებს. არ არის გამორიცხული, რომ დღეს ამ განცხადებებით გათამამებულებმა გახსნეს ცეცხლი,"** - განაცხადა მინისტრმა.

ვანო მერაბიშვილი ამ დროისთვის კვლავ ზემო აფხაზეთში, სოფელ აჟარაში იმყოფება და როგორც თავად განაცხდა, იგი ზემო აფხაზეთში კიდევ რამდენიმე დღე დარჩება.

*24 საათი*

# მონიტორინგი ციხეში

*საქართველოს სახალხო დამცველი უახლოეს მომავალში პარლამენტის წინაშე ახალი მოხსენებით წარდგება. 2006 წლის პირველ ნახევარში, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაკეთებულ ვრცელ ანგარიშში წამყვან ადგილს დაიკავებს ორი გახმაურებული საქმის ანალიზი - ამირან რობაქიძისა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეების სასამართლო გამოძიებისას დაშვებულ დარღვევებზე გაკეთებული სამართლებრივი შეფასება. სახალხო დამცველი პარლამენტის წინაშე მოხსენებით წელიწადში ორჯერ გამოდის. როგორც ცნობილია, წინა ანგარიშის ჩაბარებამ საკმაოდ ხმაურიანად ჩაიარა. როგორც ჩანს, აქტუალობას არც ამჟამინდელი მოხსენებაა მოკლებული. ანგარიშში ძირითადი ადგილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არსებული სიტუაციის ანალიზს უკავია, რაც, არსებული ინფორმაციით, საკმაოდ კრიტიკული იქნება. ომბუდსმენის ანგარიშში აუცილებლად მოხვდება საპყრობილეებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებიც, რომელთა შესახებაც "24 საათი" არაერთხელ წერდა.*

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა ცოტა ხნის წინათ ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მონიტორინგი ჩაატარეს

სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ "ც" კორპუსის პატიმრებს, რომლებიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მათზე განხორციელებულ სიტყვიერ და ფიზიკური შეურაცხყოფაზე ზოგადად საუბრობენ და უარს აცხადებენ კონკრეტული პირებისა და დეტალების დასახელებაზე. პატიმართა განმარტებით, ცემის შემდეგ მათ სხეულზე დაზიანებები არ ეტყობათ, რის გამოც, ძნელი ხდება კონკრეტული ფაქტების დადასტურება.

ომბუდსმენის წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტება ჩამოართვეს პატიმარ დ. დ-ს, რომელმაც მის მიმართ განხორციელებულ სიტყვიერ და ფიზიკური ზეწოლაზე ისაუბრა. პატიმრის თქმით, პატიმრებს სცემენ "უცხო სახეები", სავარაუდოდ - სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან ჩამოსული პირები.

ქუთაისის N2 საპყრობილისა და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების "ც" კორპუსში მდებარე კარცერის შემოწმებისას სახალხო დამცველის წარმომადგენლებს ერთ-ერთმა პატიმარმა განუცხადა, რომ მას გართულებული ურთიერთობა აქვს საპყრობილის თანამშრომლებთან, მათგან ხშირად განიცდის სიტყვიერ შეურაცხყოფას; ცოტა ხნის წინ კი, მასზე ფიზიკური ზეწოლაც განხორციელდა. პატიმარი, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას და ვერ ამყარებს ურთიერთობას საკანში მყოფ სხვა პატიმრებთან, ცალკე საკანში მოთავსებას ითხოვს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ შეთავაზებული უსაფრთხოების გარანტიების მიუხედავად, პატიმარმა თავისი პრობლემებისა და პრეტენზიის ოფიციალურად დაფიქსირებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

კარცერის მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ კარცერში საწოლები ზოგჯერ 24 საათის განმავლობაში იყო აკეცილი. სახალხო დამცველის აპარატის ჩარევის შემდეგ საკარცერო საკნის საწოლები ამჟამად, შინაგანაწესის თანახმად, დილის 7 საათზე იკეცება და საღამოს 23 საათზე იხსნება.

**"თუმცა, კარცერებში მოთავსებული პატიმრებისთვის ძილის ლიმიტის დაწესება პატიმრებთან მოპყრობის ზოგად პრინციპებს არღვევს. ასეთი შინაგანაწესი პირდაპირ იწვევს პატიმართა გაუმართლებელ ფიზიკურ და ფსიქიკურ ტკივილს, განცდებს და სასჯელის მოხდის პროცესი არაადამიანური და ღირსების შემლახავი ხდება, რაც მიუღებელია",** - აცხადებენ სახალხო დამცველის წარმომადგენლები და ციხის ადმინისტრაციას სავალდებულო საერთაშორისო ნორმებს ახსენებენ.

საუბარია პატიმრებთან მოპყრობის გაერო-ს მინიმალურ სტანდარტზე, რომლის მე-19 წესის თანახმად, ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით. გარდა ამისა, გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ზოგად კომენტარებში ნათქვამია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, მოეპყრას დაკავებულებს და დაპატიმრებულებს მათი ღირსების სრული პატივისცემით. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა განცხადებით, კომიტეტის განცხადება არის "ძირითადი და საყოველთაო წესი", რომლის გამოყენებაც არ შეიძლება იყოს დამოკიდებული სახელმწიფოს მატერიალურ შესაძლებლობებზე.

**"თავისუფლების აღკვეთა უკვე თავისთავად სასჯელს წარმოადგენს, ამიტომ ციხის პირობები არ უნდა გადაიქცეს სასჯელის დამატებით ფორმად. პატიმრობის პირობები, შეძლებისდაგვარად, უნდა უახლოვდებოდეს ნორმალური ცხოვრების პირობებს, რაშიც იგულისხმება პატიმრებისთვის ძილის ნორმალური პირობების შექმნაც",** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატის წევრები.

ომბუდსმენის ანგარიშში მოხვდება რამდენიმე დღის წინ მისი აპარატის თანამშრომელთა მიერ მოკვლეული კიდევ ერთი ფაქტი. საუბარია თბილისის მე-5 საპყრობილეში ნაცემ პატიმარზე. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან საუბრისას პატიმარმა მ.ს-მ განაცხადა, რომ ის, დაახლოებით, ერთი თვის წინ თბილისის N5 საპყრობილის კორპუსიდან დაკითხვაზე გაიყვანეს, სადაც მას სამმა მისთვის უცნობმა პიროვნებამ თავი გამომძიებლად წარუდგინა. ისინი ბრალდებულს აიძულებდნენ, აღიარებითი ჩვენება დაეწერა.

"მ.ს-ს თქმით, მას ურტყამდნენ მუშტითაც და რეზინის ხელკეტითაც, აერთებდნენ დენზე და ყურში საწერ კალამს ურჭობდნენ. ჩვენთან საუბრისას ბრალდებულმა ვერ გაიხსენა N5 საპყრობილიდან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანის ზუსტი თარიღი, მას ნაწილობრივ დაკარგული აქვს მეხსიერება და აქვს შიშები. პატიმრის სხეულზე არსებული ფიზიკური დაზიანებები, სერიოზული სამედიცინო შემოწმების გარეშე, მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებითაც აშკარაა. ის კანკალებს, ვერ იხსენებს თავისი საცხოვრებელი სახლის მისამართს და აქვს საპყრობილეში დაბრუნების პანიკური შიში", - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, რომლებმაც ნაცემი პატიმარი ორჯერ მოინახულეს. მომხდარი ფაქტის გამოძიება გენერალურმა პროკურატურამ უკვე დაიწყო.

*24 საათი*

# გირაო და პატიმრობა პრეზიდენტის განკარგულების შეუსრულებლობისთვის

*პრეზიდენტის განკარგულების შეუსრულებლობის გამო, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში მარნეულის რაიონის სოფელ ქუთლიარის საკრებულოს თანამდებობის პირების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება მიმდინარეობს. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება - ასეთი გახლავთ სოფელ ქუთლიარის საკრებულოს მაღალჩინოსანთა წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის კვალიფიკაცია.*

ჩვენი ინფორმაციით, გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონულ სამმართველოში შეგროვებული მასალები, სადაც სოფელ ქუთლიარის სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე იყო საუბარი.

საქმე ისაა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 16 მარტის განკარგულების საფუძველზე, საგაზაფხულო სახნავ-სათესი სამუშაოების შესასრულებლად პრეზიდენტის ფონდიდან შეძენილი დიზელის საწვავი ქვეყნის სხვადასხვა რაიონზე გადანაწილდა. მარნეულის რაიონის სოფელ ქუთლიარის მოსახლეობაზე თითოეული კომლისთვის უსასყიდლოდ უნდა გაცემულიყო - 20-20, მთლიანობაში 42500 ლიტრი დიზელის საწვავი.

გამოძიების ინფორმაციით, ქუთლიარის საკრებულოს თავმჯდომარეს ახმედ შაბანოვს სამსახურებრივად ევალებოდა დიზელის საწვავის განაწილების ორგანიზაცია და საკრებულოს თითოეული კომლისთვის მისი დარიგების უზრუნველყოფა. ამ მიზნით, შაბანოვის განკარგულებით, ვაგიფ კასუმოვის, ბახტიარ გურიანოვის, ქამანდარ ბახშიევის, ალმან ბინატოვის, შაქირ ზულფიგაროვისა და მეხტი ყურბანოვის შემადგენლობით შეიქმნა კომისია, რომელსაც სოფლებში - ქუთლიარსა და ბაიდარში დიზელის საწვავი უნდა დაერიგებინა. **"შაბანოვმა არაჯეროვნად შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა და, დაუდევრობის გამო, არ უზრუნველყო მოსახლეობისთვის დიზელის საწვავის გამანაწილებელი კომისიის სწორი მუშაობა. მოსახლეობის ნაწილმა სრულად ვერ მიიღო პრეზიდენტის განკარგულებით გათვალისწინებული დიზელის საწვავი. გარდა ამისა, შაბანოვმა კომისიის წევრებთან შეთანხმებით, საწვავის მიმღებთა სიაში შეიყვანა გარდაცვლილი და საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი პირები. საკრებულოს თავმჯდომარისა და მისი თანამზრახველების მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მთლიანობაში მითვისებულ იქნა 2727 ლიტრი საწვავი",** - ასეთია გამოძიების ინფორმაცია.

სოფელ ქუთლიარის საკრებულოს თავმჯდომარეს ახმედ შაბანოვს, რომელსაც გამოძიება სამსახურებრივ გულგრილობასა და მითვისება-გაფლანგვას ედავება, პროკურატურის მოთხოვნით, სასამართლომ უკვე შეუფარდა წინასწარი ორთვიანი პატიმრობა. რაც შეეხებათ საკრებულოს თავმჯდომარის ხელქვეითებს - ბინატოვს, კასუმოვს, გურიანოვს, საფაროვს, ზულფიგაროვს, ბახშიევსა და ყურბანოვს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ აღმკვეთ ღონისძიებად გირაო შეეფარდათ. ბინატოვს მართლმსაჯულებამ - 3 ათასის, დანარჩენებს კი 2-2 ათასი ლარის გადახდა დააკისრათ.

*24 საათი*

უცხოეთი

# ჟურნალისტის მკვლელობის ახალი ვერსია

ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის შესახებ რუსეთის პროკურატურას ახალი ვერსია აქვს. პროკურატურის განცხადებით, მკვლელობაში, შესაძლოა, მონაწილეობდნენ ჩეჩნეთის - ხანტა-მანსიისკის მილიციის სამმართველოს თანამშრომლები. საქმე ისაა, რომ ჟურნალისტის პუბლიკაციის საფუძველზე, მილიციის ერთ ოფიცერს მიუსაჯეს 11 წლით პატიმრობა, ორი ოფიცერი საერთაშორისო ძებნილად გამოცხადდა, ხოლო ექვსი ეჭვმიტანილია დანაშაულში.

გაზეთ "კომერსანტის" ინფორმაციით, ხანტა-მანსიისკისში უკვე გაემგზავრნენ რუსეთის გენერალური პროკურატურის გამომძიებლები და შსს-ს ძებნის დეპარტამენტის თანამშრომლები. გაზეთისვე ინფორმაციით, სამართალდამცველები ყოფილი კოლეგების "კვალს" ადგანან. საერთაშორისო ძებნილების, დანაშაულში ეჭვმიტანილების - მაიორ ალექსანდრ პრილეპინისა და ვიცეპოლკოვნიკ ვალერია მინინის ადგილსამყოფელი მათთვის ცნობილია. ორივე მათგანი ანა პოლიტკოვსკაიას პუბლიკაციის საფუძველზე ჩეჩნეთში მომხდარ გატაცებებსა და მკვლელობებში არიან ეჭვმიტანილები.

გენერალური პროკურატურა აცხადებს, რომ ჟურნალისტი მკვლელობამდე ყოფილი მილიციელების მხრიდან სერიოზულ ზეწოლას განიცდიდა - ეჭვმიტანილები მას უგზავნიდნენ წერილებს, მესიჯებს, ურეკავდნენ და ემუქრებოდნენ მოკვლით.

ანა პოლიტკოვსკაიას სტატიის საფუძველზე, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ კიდევ ერთი საქმე აღძრა. "ნოვაია გაზეტას" მთავარი რედაქტორის მოადგილის სერგეი სოკოლოვის განცხადებით, გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა გაზეთში გამოქვეყნებული ვიდეოკადრები, რომელზეც აღბეჭდილია სცენა, თუ როგორ აწამებენ ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრის რამზან კადიროვის შეიარაღებული დაჯგუფების წევრები გატაცებულ პირებს. ცემაში მონაწილეობას ღებულობს პირი, რომელიც ძალიან ჰგავს რამზან კადიროვს.

The Times-ის ინფორმაციით, წამების ფაქტები გადაღებულია მობილური ტელეფონით და ამიტომაც, ის ძალზე ცუდი ხარისხისაა. კადრებზე აღბეჭდილია კამუფლიაჟიანი პირი, რომელიც ხელმძღვანელობს შეიარაღებულ დაჯგუფებას და იძლევა ადამიანთა გატაცების მითითებას. ვიდეოჩანაწერში ნათლად ჩანს, თუ როგორ ჩასვეს შეიარაღებულმა პირებმა გატაცებული "ჟიგულის" მარკის თეთრ მანქანაში. ჩანაწერში კარგად ისმის საუბრის ხმები, სადაც კადიროვის სახელსაც ახსენებენ. The Times-ის ინფორმაციით, გატაცებულთა ბედი დღემდე უცნობია.

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# აშშ კოდორის ხეობის შესახებ გადაწყვეტილებას ემხრობა

პირველი გვერდიდან

რეზოლუციამ ვადა გაუგრძელა გაერო-ს დამკვირვებელთა მისიას, რომელიც მონიტორინგს ახორციელებს კონფლიქტზე საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და რუსეთის მიერ მხარდაჭერილ აფხაზეთის სეპარატისტულ ანკლავს შორის. რუსეთი უკვე დიდი ხანია აფხაზეთს დახმარებას უწევს, როგორც დიპლომატიური, ასევე სამხედრო საშუალებებით.

ახალ რეზოლუციაში, ასევე, შევიდა ერთი აშკარად "რუსული" ფრაზა, რომელიც ქართულ მხარეს მოუწოდებს, თავი შეიკავოს "სამხედრო რიტორიკისა" და "პროვოკაციული" ქმედებებისგან კოდორის ხეობაში (საკამათო ტერიტორიაზე აფხაზეთისა და საქართველოს არაოფიციალურ საზღვარზე, რომელიც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მიმდინარე წლის ივლისში უსისხლო ოპერაციის შედეგად დაიკავეს). გაერო-ს ტექსტში ასევე მოწონებულია აფხაზეთში სამშვიდობოების სახით მყოფი რუსული ძალების "მასტაბილიზებელი როლი".

გაერო-ში აშშ-ს ელჩმა ჯონ ბოლტონმა რეზოლუციის მიღების შემდეგ გააკეთა განცხადება, სადაც დაიცვა კოდორის ოპერაცია, როგორც საქართველოს მიერ სუვერენული უფლების გამოყენება. გარდა ამისა, მან გამოთქვა წუხილი, რომ რუსეთმა საქართველოსადმი კრიტიკული რეზოლუციის გატანა დაძაბულობის შესუსტებაში მონაწილე დასავლეთის ქვეყნებთან კოორდინირების გარეშე მოახერხა.

ამერიკელი დიპლომატები ამბობენ, რომ მათ შეძლეს რუსეთის მიერ თავდაპირველად მომზადებული ტექსტის შერბილება, რომელშიც დაგმობილი იყო ივლისის კოდორის ოპერაცია და იყო მოთხოვნა საქართველოს შეირაღებული ძალების კოდორიდან გაყვანის შესახებ.

ყოველთვის მძიმე ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის განსაკუთრებით დაიძაბა მას შემდეგ, რაც გასულ თვეში რუსეთი "გაცოფებით" შეხვდა საქართველოში ოთხი რუსი ოფიცრის ჯაშუშობაში ბრალდებით საჯაროდ დაკავებას. სანაცვლოდ, რუსეთმა საქართველოსთან სატრანსპორტო და საფოსტო კავშირები გაწყვიტა და, როგორც იუწყებიან, დაიწყო რუსეთში მცხოვრები ქართველების შევიწროების გამიზნული კამპანია.

ბატონი ფრიდის უარყოფის მიუხედავად, საქართველოსა და რუსეთში გაერო-ს რეზოლუციას ბევრი აფასებს, როგორც აშშ-ს მიერ ჩრდილოეთ კორეაზე რეზოლუციის სანაცვლოდ გაღებულ მსხვერპლს. როგორც იუწყებიან, ორივემ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც, სცადა კონდოლიზა რაისის თავის სასარგებლოდ მიმხრობა ხმის მიცემისას.

კენჭისყრის შემდეგ სააკაშვილმა თბილისში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოსკოვმა **"ყველა ღონე იხმარა, რათა ჩრდილოეთ კორეასა და ირანზე მხარდაჭერის სანაცვლოდ საქართველოს რეზოლუციაზე დასავლეთის ქვეყნებისგან კარტ-ბლანში მიეღო"**.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი ბოკერიამ განაცხადა, რომ **"რუსეთის მთავარი მიზანი საქართველოში მმართველობის შეცვლაა, ხოლო ეს კენჭისყრა** (რეზოლუციაზე) **შანტაჟი იყო ამ მიზნის მისაღწევად"**.

**"თუ დასავლეთი კვლავაც დაჰყვება შანტაჟს, მოსკოვი მომავალშიც განაგრძობს ამ ხერხის გამოყენებას,"** - დასძინა მან.

# მცდელობის მიუხედავად, პუტინმა იმპერიული ამბიციები ვერ დაფარა

პირველი გვერდიდან

**"მე კარგად მესმის რუსი ხალხის შეშფოთება ამ პრობლემის გამო, რადგან ბირთვული გამოცდები ჩვენი საზღვიდან 177 კმ-ში მიმდინარეობს. ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი მარტო მოლაპარაკებების აღდგენაა. ვფიქრობ, ყველა ჩართული მხარის მიერ კეთილი ნების გამოვლენის შემთხვევაში, გამოსავალი მოიძებნება,"** - აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.



ვლადიმერ პუტინმა ასევე ისაუბრა კონტროპუგაში არეულობაზე, ტყის რესურსების კოდექსსა და პრეზიდენტობის სავარაუდო მესამე ვადაზეც. კითხვაზე - რა ეშველება რუსეთს 2008 წელს, პუტინის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, პუტინმა ბუნდოვანი პასუხი გასცა: **"ყველაფერი კარგად იქნება, რუსეთი თავისი განვითარების ახალ ეტაპზე გადადის. მე ჩემი სამუშაო მიყვარს, მაგრამ კონსტიტუცია არ მაძლევს უფლებას ზედიზედ მესამე ვადით ვიყარო კენჭი. თუმცა, მე მართვის სადავეების დათმობისა და კანონის ჩემი ნებასურვულის დაქვემდებარების გარეშეც კარგად ვახერხებ იმის შენარჩუნებას, რაც ყველაზე ძვირფასია პოლიტიკოსისთვის - ეს თქვენი ნდობაა,"** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

საკუთარი ძალის დემონსტრირებისა თუ პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების შემდეგ პუტინს მისთვის არც თუ სასიამოვნო თემაზე მოუხდა საუბარი, ესაა გახმაურებული მკვლელობები, რამაც არაერთი ცნობილი სახის სიცოცხლე შეიწირა. თუმცა, გამოცდილ პოლიტიკოსს არანაკლებ გამოცდილი "კაგებეშნიკის" ალღო დაეხმარა.

**"სამწუხაროდ, ჩვენთან არც პოლიტიკური ბრძოლა გამხდარა უფრო ცივილიზებული, მაგრამ ხელისუფლების ამოცანა სწორედ გამოძიების ბოლომდე მიყვანაა. რუსეთის ცენტრალური ბანკის მმართველის მკვლელები უკვე დაკავებული არიან, ვიმედოვნებ, ანალოგიურ წარმატებებს სხვა გახმაურებული დანაშაულების გახსნაშიც მივაღწევთ,"** - აღნიშნა კრემლის ხელისუფალმა.

არანაკლებ ბუნდოვანი და ორაზროვანი იყო საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება.

**"აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებნი ძალიან შეშფოთებული არიან საქართველოს მილიტარიზაციის ტენდენციებით, რაც ჩვენ გულისწყრომასაც იწვევს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუარესება სწორედ ამ საკითხს უკავშირდება. ჩვენ არ ვისწრაფვით ჩვენი ტერიტორიების გაფართოებისკენ. ჩვენ საკუთარიც გვყოფნის, მაგრამ ჩვენ ვერ დავუშვებთ ამ რეგიონში სისხლისღვრას. ჩვენი ქმედება საქართველოს მიმართ არანაირად არ უკავშირდება ნატო-ში გაწევრიანების გეგმებს თუ რაიმე სხვას. ჩვენი მიზანი მხოლოდ ამ რეგიონში სისხლისღვრის თავიდან აცილებაა. ჩვენ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა მოვძებნოთ. ამიტომ რუსეთი ყურადღებით ადევნებს თვალს ყველა საერთაშორისო პრეცენდენტს, მათ შორის, კოსოვოს საკითხსაც,"** - განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

საქართველოზე საუბრისას პუტინს მოსკოვში ქართველების წინააღმდეგ დაწყებულ აგრესიულ კამპანიაზეც მოუწია რამდენიმე სიტყვის თქმა.

**"რუსული ანდაზის არ იყოს: უჭკუო კაცს ლოცვა აიძულეო.. მე მიმაჩნია, რომ ასეთი ქმედება დაუშვებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე რუსეთის ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრებ უცხოელებს თუ უბრალოდ რუსებს ეხება. რაც შეეხება კრიმინალს, მის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის უნდა გაგრძელდეს. რუსეთი, პირველ რიგში, სატიტულო ერის წარმომადგენლების ინტერესებს უნდა იცავდეს, როგორც შრომის ბაზარზე, ასევე ვაჭრობის სფეროში,"** - თქვა რუსეთის პრეზიდენტმა და იქვე ციფრებიც დაასახელა, რომლის თანახმად რუსეთიდან დეპორტირებული ქართველების რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა ერის წარმომადგენლებისა: **"ერთი რესპუბლიკის, რომლის სახელსაც კი არ ვიტყვი, დეპორტირებული მოქალაქეების რიცხვი დაახლოებით 15 300, მეორე რესპუბლიკის, თუ არ ვცდები, 13 00, მაშინ, როცა დეპორტირებულ ქართველთა რიცხვი მხოლოდ 5 000-ია."**

რუსეთის პრეზიდენტმა ევროპული ქვეყნებისთვის ბუნებრივი გაზის ორმაგ ფასებში მიყიდვის პოლიტიკაც ახსენა.

**"ჩვენ ამას ვაკეთებდით, ვაკეთებთ და მომავალშიც განვაგრძობთ იგივე პოლიტიკას. არ შეიძლება არ ვაღიარო, რომ ჩვენ დასავლეთისთვის ნედლეულის უმთავრესი მიმწოდებელი ვხდებით,"** - აღნიშნა ვლადიმერ პუტინმა.

ვლადიმერ პუტინი სამხედრო ხარჯების ზრდასაც შეეხო. მისი თქმით, რადგან ეს თემა აქტუალურია, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ხალხი ამჩნევს არმიის აღორძინებას. პუტინის განცხადებით, 2005-06 წლებში არმიის დაფინანსება 2000 წელთან შედარებით 3.5-ჯერ გაიზარდა წვევამდელთა რაოდენობის შემცირების პარალელურად. რუსეთი თავდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის 2.6 პროცენტს ხარჯავს და ეს ქვეყნის პირველი პირის თქმით, ისეთივე მაჩვენებელია, როგორიც ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს აქვთ, მაგრამ აშშ-სთან შედარებით რუსეთის სამხედრო ხარჯები 25-ჯერ ნაკლებია.

**"რაც შეეხება ნაციონალიზმის არსებობას ჩვენ ქვეყანაში, სამწუხაროა, როცა ასეთ მოვლენას ვაწყდებით რუსეთში, მაშინ, როცა საზღვარგარეთ "ეს-ეს"-ის რომანტიზაციას და საბჭოთა ჯარისკაცების მონუმენტების დემონტაჟს გულისტკივილით ვაკრიტიკებთ,"** - თქვა ვლადიმერ პუტინმა რუსეთში ნეოფაშისტების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობებზე საუბრისას კი რუსეთის პრეზიდენტმა ფარულად, მაგრამ მაინც გამოავლინა "იმპერიული ტენდენციებისკენ" მიდრეკილება: **"საბჭოთა კავშირი თავად რუსეთის გამოკვეთილი პოზიციების ფონზე დაიშალა, ამიტომ ამჟამინდელი რუსეთის "იმპერიულ ტენდენციებზე" საუბარი უბრალოდ უადგილოა. თუმცა, არც იმის უარყოფა იქნება, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ბაზაზე დსთ-ს ფორმირების შემდეგ ამ ორგანიზაციას ზოგიერთები "განქორწინებად" განიხილავდნენ და საკუთარი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას ცდილობდნენ, მაგრამ რუსეთი და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები თითქმის საუკუნის მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ და ძალიან დიდი იყო ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი. ეს განსაკუთრებული შემთხვევა საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო ეკონომიკურ კავშირებში და ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენ ეს უპირატესობა უნდა გამოვიყენოთ, როგორც ეკონომიკური სივრცისა და უსაფრთხოების, ასევე ევროაზიური თანამშრომლობის თვალსაზრისითაც."**

რუსეთის პრეზიდენტი სხვა ნაკლებ მნიშვნელოვან თუ ელემენტარულ საკითხებსაც შეეხო. სახალხო კონფერენცია სამსაათნახევარი გაგრძელდა.

# გავიხსენოთ და წინ აღვუდგეთ!

პირველი გვერდიდან

ნუთუ ეს მოვლენები არ გაგონებთ იმას, რითაც დაიწყო გასული საუკუნის ოცდაათიანი წლები ფაშისტურ გერმანიაში.

ეს წერილი აღსავსეა გულისტკივილით, აღშფოთებით, მაგრამ ასევე მომავლის იმედით. კარგად გვესმის ორი ქვეყნის მეთაურებს შორის მოლაპარაკების წამოწყების აუცილებლობა. რაც შეიძლება მოკლე ხანში ისინი უნდა ჩაებან დიალოგში. ჩვენ კი ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა საერთაშორისო აზრი, საზოგადოებრივი ატმოსფერო, ერთი მხრივ, შეუწყნარებელი იყოს დისკრიმინაციისა და დევნის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურმა მხარეებმა ბოლომდე გააცნობიერონ ჯანსაღი და ღირსეული დიალოგის უალტერნატივობა.

მოგმართავთ თქვენ, რუსეთისა და მსოფლიოს რელიგიურ ლიდერებს, ერთად აღვუდგეთ წინ ქსენოფობიასა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას რუსეთის ტერიტორიაზე; ვეძებოთ გზები, რათა რუსეთის ხელისუფლებამ შეწყვიტოს თავისივე ქვეყნის რეალური ინტერესების საზიანოდ მიმართული დისკრიმინაციული პოლიტიკა, შეწყვიტოს უდანაშაულო ქართველებისა და საქართველოს მოქალაქეების დევნა; ჩაებას დიალოგში.

ჩვენ ვუერთდებით გერმანელი პასტორის, მარტინ ნილმიოლერის 60 წლის წინ წარმოთქმულ სიტყვებს: "როცა გერმანიაში ნაცისტები კომუნისტებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. როცა ებრაელებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფკავშირებს რომ მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან პროფკავშირელი არ ვყოფილვარ. კათოლიკეებზე გადავიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შემდეგ მე მომადგნენ... და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო..."

დღეს მსოფლიო 21-ე საუკუნესა და ახალ ათასწლეულს უყრის საფუძველს.

გავიხსენოთ და არ დავუშვათ უდანაშაულოთა დევნა!

არ დავუშვათ ბოროტების გამარჯვება!

მიმართვას ხელს აწერენ რელიგიათა საბჭოს წევრი კონფესიები:

1. **ბაჰაის საზოგადოება საქართველოში;**
2. **ებრაული თემი;**
3. **ებრაელთა საზოგადოება;**
4. **ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესია;**
5. **ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესია "მადლი"**
6. **ევანგელურ - ლუთერული ეკლესია;**
7. **ევანგელისტური ეკლესია;**
8. **ევანგელური ეკლესია "სიცოცხლის სიტყვა";**
9. **ევანგელისტურ-პროტესტანტული ეკელესია" (გორი);**
10. **ევანგელური ეკლესია "ღმერთის საელჩო";**
11. **თბილისის ჯუმა მეჩეთთან არსებული მუსლიმთა სასულიერო კავშირი;**
12. **კათოლიკე ეკლესია;**
13. **კრიშნას ცნობიერების ტაძარი;**
14. **მეგობართა საზოგადოება (კვაკერები);**
15. **მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტისტთა ეკლესია;**
16. **რეფორმისტული ეკლესია "ურყევი საფუძველი";**
17. **სახარების რწმენის ეკლესიათა კავშირი;**
18. **საქართველოს იეზიდთა კავშირი;**
19. **უკანასკნელი დღეების წმინდანთა ეკლესია;**
20. **ხსნის არმია.**

# ჯანდაცვის მინისტრის ამბიციები

თამარ ქადაგიძე

ის "სასტუმრო", რომლის დირექტორიც ლადო ჭიპაშვილი გახლავთ, შენობას იცვლის. ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, სადაც ისიც აღნიშნა, რომ სამინისტროში სტრუქტურული რეორგანიზაცია იწყება. ამდენად, სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ხუთი უწყება გაერთიანდება და ერთიანი სამინისტრო დიდუბეში, "სამთო ქიმიის" შენობაში დაიდებს ბინას.

**"ჩვენ ვიწყებთ სისტემისა და სამსახურების ოპტიმიზაციას. ქალაქში გაფანტული 5 შენობიდან ერთ შენობაში მოვიყრით თავს. ხოლო გამოთავისუფლებული ოთხი შენობა გაიყიდება და სახელმწიფო ბიუჯეტში პრივატიზაციიდან დაახლოებით 10-11 მილიონი დოლარი შევა. გაერთიანების შემდეგ, ჩამოყალიბდება ერთიანი მძლავრი სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც უფრო ქმედითუნარიანი, მობილური, კომპაქტური, გამჭვირვალე და ეფექტური სამსახური იქნება. ამის ამბიცია ჩვენ გვაქვს, "** - აღნიშნა მინისტრმა.

ახალმოსახლეობის გარდა, "გაერთიანებული შენობაში" როგორც თანამშრომელთა რეორგანიზაცია, ისე სოციალური დაზღვევისა და დასაქმების ფონდების გაერთიანება იგეგმება. ამ სტრუქტურაში მომუშავე, ერთხელ უკვე შემცირებული 1300 თანამშრომლიდან სამსახურში მხოლოდ 700 მათგანი დარჩება.

რაც შეეხება ორი ფონდის გაერთიანებას, ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის გიგი წერეთლის განცხადებით, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისა და დასაქმების ფონდების გაერთიანების შესახებ პარლამენტი დეტალურად მომავალ კვირას იმსჯელებს. წერეთელმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გაუქმების შესახებ.

**"ფონდი არ უქმდება, ის მსხვილდება და ეს რეფორმის გარდაუვალი პროცესია.**

**ეს რესტრუქტურიზაცია მოსალოდნელი იყო. იგი ჯანდაცვის სამინისტროში დაიგეგმა,"** - აღნიშნა წერეთელმა.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გაუქმების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე მინისტრმა აღნიშნა, **"გაერთიანების შემდეგ შეიქმნება ერთიანი უწყება და მოხდება მათში შემავალი დაწესებულებების საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. რაც პროცესების გამჭვირვალედ წარმართვის გარანტი იქნება. ფონდის გაუქმება ჯერჯერობით არ დასტურდება. უბრალოდ, ამ ფონდის ოპტიმიზაცია მოხდება და, შესაძლოა, მას სახელწოდება შეეცვალოს. საბოლოო სახელწოდება ჯერჯერობით დადგენილი არ არის და ხელისუფლება ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს,"** - განაცხადა მან.

ჯერ არ არის ცნობილი, ვინ გახდება გაერთიანებული ფონდების ხელმძღვანელი - სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან ფერაძე, თუ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვახტანგ მეგრელიშვილი, რომელსაც, ფონდში გავრცელებული ინფორმაციით, ზაზა სოფრომაძის დაკავების შემდეგ, ფონდის გენერალური დირექტორობას უპირებდნენ. **"ვახტანგ მეგრელიშვილი ძალიან კარგი მუშაკია, ამიტომ არ ვაპირებ მის ჩამოქვეითებას და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექტორად დანიშვნას,"** - აღნიშნა ლადო ჭიპაშვილმა და ახალი ფონდის ახალი ხელმძღვანელის ვინაობის გამხელა არ ისურვა.

# სარისკო პროვოკაცია

## ქართული მხარის პროტესტი და ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები სოხუმიდან

*შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილისთვის ზემო აფხაზეთში ცეცხლის გახსნის ფაქტს საქართველოს მთავრობიდან და პარლამენტიდან საკმაოდ მწვავე რეაქცია მოყვა. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში, მომხდარი "მიზანმიმართულ პროვოკაციად" არის შეფასებული.*

გიორგი ასანიშვილი

**"სამინისტრო გამოთქვამს მტკიცე პროტესტს ამ პროვოკაციასთან დაკავშირებით, რომელიც კიდევ ერთხელ მიუთითებს რუსეთის სამშვიდობო ძალების დანაშაულებრივ უმოქმედობაზე და ადასტურებს ქართული მხარის მიდგომის სისწორეს კონფლიქტის ზონაში მათ ყოფნასთან დაკავშირებით. ამ ინციდენტს, განვიხილავთ, როგორც აფხაზური მხარის აგრესიული ზრახვების განხორციელების მცდელობას, რაზეც ჩვენ არაერთხელ განგვიცხადებია,"** - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს დიპლომატიური უწყება კატეგორიულად ითხოვს, რომ ამგვარ ქმედებებს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სათანადო შეფასება მიეცეს და მომავალში მსგავსი ფაქტების აღკვეთის მიზნით, შესაბამისი ზომები გატარდეს.

კოდორის ხეობაში მომხდართან დაკავშირებით, გუშინ საგანგებო ბრიფინგი გამართა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში მერაბ ანთაძემ.

**"აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ვერ გაუძლო იმ ზეწოლას, რომელიც ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში რუსეთის მხრიდან ხორციელდება და მეტად საშიში ნაბიჯები გადადგა"**, - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი. იგი აფრთხილებს სოხუმის ხელისუფლებას, გონს მოეგოს, რადგან ასეთი ნაბიჯები მისთვის დამღუპველი იქნება და მსგავსი პროვოკაციებით მხოლოდ რუსეთი მოიგებს.

თითქმის იგივე შეფასებებს აკეთებენ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ ვანო მერაბიშვილი საქართველოდან გაქცეული კრიმინალებისა და იმ სპეცსამსახურების სამიზნეს წარმოადგენდა, რომელთა წარმოამდგენლებიც ამას წინათ დააკავეს თბილისში.

**"ასეთი პროვოკაცია მოსალოდნელი იყო"**, - შინაგან საქმეთა მინისტრზე თავდასხმას პარლამენტის ვიცე-სპიკერი სულაც არ გაუოცებია.

მისი თანაგუნდელი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე კი აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ახლა ასჯერ მეტი თავშეკავება სჭირდება და ის არანაირ პროვოკაციას არ უნდა აჰყვეს.

სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელთა შეფასებები ოპოზიციის მოსაზრებებისგან დიდად არ განსხვავდება.

**"ეს არის ძალიან სერიოზული მინიშნება იმაზე, რომ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი კოდორის ხეობის გაკონტროლებას აპირებს,"** - ვარაუდობს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური.

ოპოზიციონერი დეპუტატი მოითხოვს, რომ პარლამენტის "ნდობის ჯგუფთან" ერთად დაიწყოს ზემო აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე მსჯელობა და საქართველოს პარლამენტი საქმის კურსში იყოს, თუ როგორ აპირებს აღმასრულებელი ხელისუფლება ზამთარში ამ რეგიონის გაკონტროლებას.

**"შეიძლება ზამთარი ზემო აფხაზეთისთვის სარისკო აღმოჩნდეს, რადგან საქართველოს მხრიდან გზა ჩაიკეტება, აფხაზეთის მხრიდან კი კოდორის მიმართულებით მოძრაობა გახსნილი იქნება"**, - შიშობს ძიძიგური.

აღსანიშნავია, რომ დეტალური ინფორმაციის არარსებობის გამო, პარლამენტარებს დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება უჭირთ და ზოგადი კომენტარებით შემოიფარგლებიან.

**"შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ზემო აფხაზეთში შესაძლოა, საქმე გვქონდეს პროვოკაციასთან, რისი პრევენციაც საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეძლოს. ფაქტია, რომ სახეზეა დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან, თუმცა, კონკრეტულად მაინც არ ვიცით, ამ შემთხვევაში რასთან ან ვისთან გვაქვს საქმე"**, - აღნიშნავს "მემარჯვენე ოპოზიციის" ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე.

ვანო მერაბიშვილისთვის ცეცხლის გახსნის ფაქტს აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის ხელმძღვანელებიც ეხმაურებიან. საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას აზრით, გამორიცხული არ არის, რომ სროლა ემზარ კვიციანს დაეწყო, რომელიც "კოდორის ხეობის ტყეებს აფარებს თავს". თავისი მოსაზრების გასამაგრებლად, შამბა კვიციანის იმ განცხადებას იხსენებს, რომლის თანახმადაც, კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებული საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას აპირებდა.

**"ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ კოდორის ხეობაში მუდმივად ხდება შეიარაღებული ინციდენტები, მაგრამ ეს საქართველოს საზოგადოებისთვის იმალება, თუმცა, როდესაც განსაცდელში შინაგან საქმეთა მინისტრი აღმოჩნდა, მომხდარის გასაიდუმლოება შეუძლებელი გახდა"**, - აცხადებს დე-ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

მაშინ, როდესაც სერგეი შამბა ვანო მერაბიშვილზე თავდასხმის ფაქტს ადასტურებს, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანატოლი ზაიცევი სირაქლემის პოზაში ყოფნას ამჯობინებს და მომხდარს კატეგორიულად უარყოფს. მისი მტკიცებით, ინფორმაცია ვანო მერაბიშვილისთვის ცეცხლის გახსნის შესახებ საქართველოს მასმედიისა და ძალოვანი სტრუქტურების მორიგ პროვოკაციას წარმოადგენს. რუსული სააგენტო "ნოვოსტისთვის" გაკეთებულ კომენტარში იგი "აზუსტებს", რომ აფხაზეთის შეიარაღებული ძალებში გეგმიური სამეთაურო-საშტაბო სწავლება მართლაც მიმდინარეობს, მაგრამ "კოდორის ხეობის მიმართულებით არანაირ აქტიურ ქმედებებს ადგილი არა აქვს".

ზემო აფხაზეთში ვანო მერაბიშვილისთვის ცეცხლის გახსნასთან დაკავშირებით, შეფასებებს აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფშიც აკეთებს. "ინტერფაქსთან" საუბარში იგი კატეგორიულად უარყოფს, თითქოს კოდორის ხეობა აფხაზეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან დაიცხრილა.

**"ეს ქართული მხარის მორიგი პროვოკაციაა,"** - გაღმა შედავების ხერხს მიმართავს ბაგაფში.

# საგარეო უწყება ქსენოფობიის წინააღმდეგ

## რუსეთში ქართველთა მასობრივი დევნის გამო საქართველომ გაერო-ს მიმართა

*საქართველოს ხელისუფლებამ, რუსეთში ქართველთა მასობრივი დევნის ფაქტების შესახებ, შესაბამისი ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებს და მათ შორის, გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისს მიაწოდა. ქართული მხარის განცხადებით, რუსეთში ქართველების წინააღმდეგ გაჩაღებული ქსენოფობიური კამპანია მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების მხრიდან მკაცრად შეფასდა და დაიგმო. მიუხედავად ამისა, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება, არ აპირებს გაითვალისწინოს მათი მოსაზრებები და აგრძელებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უხეშ დარღვევას.*

ნათია მსხილაძე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რუსეთის ფედერაციის საიმიგრაციო სამსახური და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები, მიზანმიმართულად მუშაობენ რუსეთის ფედერაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა და ეთნიკურ ქართველთა "გამოსავლენად".

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, რუსეთის სტრუქტურები სხვადასხვა ხერხს იყენებენ. კერძოდ, საბუთების შემოწმების საბაბით, ქუჩებში აჩერებენ ქართველებს, რის შემდეგაც, მიუხედავად იმისა, წესრიგში აქვთ თუ არა საბუთები, ისინი მიჰყავთ მილიციის განყოფილებებში. გარდა ამისა, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში იგზავნება მიმართვები ქართული გვარების მოსწავლეებისა და სტუდენტების სიების წარმოდგენის მოთხოვნით.

ძალოვანი სტრუქტურების სპეციალური ოპერატიული ჯგუფები შედიან ყველა იმ კომერციულ დაწესებულებაში, რომელთა მფლობელებიც შესაძლებელია ქართველები იყვნენ. ამოწმებენ, როგორც მომუშავე პერსონალის საბუთებს, ასევე ფინანსურ დოკუმენტაციას. შემდეგ კი, როგორც წესი, დარღვევების არსებობის მოტივით ხდება დაწესებულების მუშაობის შეჩერება .

უნდა აღინიშნოს, რომ იყო ისეთ შემთხვევებიც, როცა ქართველების საცხოვრებელ ბინებში მიდიოდნენ უბნის ინსპექტორ-რწმუნებულები, ართმევდნენ პასპორტებს და მიჰქონდათ სასამართლოში, სადაც აღნიშნულ პირთა დაუსწრებლად სასამართლო მათი დეპორტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ქართველების ბინაში რჩებოდა უბნის ინსპექციის წარმომადგენელი. შემდეგ, ხდებოდა "კანონდამრღვევისათვის" სასამართლოს გადაწყვეტილების გაცნობა და ამის საფუძველზე მისი გამანაწილებელში გადაყვანა.

საქართველოს საგარეო უწყების განცხადებით, საქართველოს მოქალაქეთა დევნისას, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმომადგენლები არ იცავენ, არა თუ ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ არღვევენ რუსეთის კანონმდებლობის მოთხოვნებსაც. უმეტეს შემთხვევებში, საქართველოს მოქალაქეთა რუსეთის ტერიტორიიდან ადმინისტრაციული გაძევებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები, რუსეთის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ხორციელდება. **" ხშირია შემთხვევები, როცა სასამართლოში გადაყვანილ პირებს არ ეძლეოდათ ადვოკატისა და თარჯიმნის აყვანის საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24.1 მუხლის შესაბამისად, "ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმისწარმოების ამოცანას წარმოადგენს ყოველი საქმის გარემოებათა ყოვლისმომცველი, სრული, ობიექტური და დროული გამორკვევა..." ამასთან, ამავე კოდექსის 24.2 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, პირს, ვის მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმის წარმოება, გარანტირებული აქვს უფლება ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. თუმცა, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის ზემოაღნიშნული ნორმები რატომღაც არ მოქმედებს საქართველოს მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც იდევნებიან მხოლოდ ეთნიკური ნიშნის მიხედვით. საქართველოს დაკავებულ მოქალაქეებს შსს-ს განყოფილებებსა და გამანაწილებლებში ამყოფებენ გაუსაძლის, არაადამიანურ პირობებში. ადამიანები არათუ მოკლებულნი არიან სამედიცინო დახმარებას, არამედ ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებას, რამაც უკვე გამოიწვია მსხვერპლი"**, - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის მხარისაგან კიდევ ერთხელ კატეგორიულად მოითხოვს შეწყდეს ეთნიკური ნიშნით მოქალაქეების დევნა, განუხრელად იქნას დაცული ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, არსებული პოლიტიკური პრობლემები კი მოგვარდეს მოლაპარაკებებისა და კონსტრუქციული დიალოგის გზით.

# პარლამენტმა ნიკა გვარამია კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა 123 ხმით რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში დეპორტირებულთა საქმეების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარედ დეპუტატ ნიკა გვარამიას კანდიდატურა დაამტკიცა.

გვარამიას ჩათვლით, უმრავლესობიდან კომისიაში შვიდი წევრი შევა : ნინო კალანდაძე, ნაზი აროնია, პაატა ლეჟავა, ლალი ფაფიაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი და ლევან დუჩიძე. უკვე ცნობილია, რომ ოპოზიციიდან კომისიაში იმუშავებენ "მემარჯვენე" მანანა ნაჭყებია და "დემოკრატიული ფრონტის" წევრი გია თორთლაძე. საკუთარ კანდიდატურას "მრეწველები" და მაჟორიტარები 26 ოქტომბრისთვის დაასახელებენ. კომისიის დაკომპლექტების ვადა ხვალ იწურება. რეგლამენტის მიხედვით, კომისია, სამი თვის განმავლობაში იმუშავებს. საჭიროების შემთხვევაში მას პარლამენტი ვადას კიდევ სამი თვით გაუხანგრძლივებს. კომისიამ რუსეთიდან დეპორტირებულ ქართველებთან დაკავშირებით სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება უნდა გააკეთოს.

*ინტერპრესნიუსი*

# გადამწყვეტი ტურის მოლოდინში

მიხეილ აბაიშვილი

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ სათასო ტურნირი ჩემპიონატისგან მკვეთრად განსხვავდება და ფავორიტებს არ ცნობს. გუშინ გამართული დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩებში რამდენიმე სენსაციური შედეგი დაფიქსირდა. ყველაზე დიდი მოულოდნელობა საჩხერის "ჩიხურამ" შემოგვთავაზა - მან თბილისის "დინამო" დაამარცხა. თუმცა, ყველა ამ სენსაციას ლოგიკური სუბიექტური მიზეზი ჰქონდა.

მატჩი საჩხერეში გაიმართა და, "შინაური კედლების" მიუხედავად, "ჩიხურა" აუტსაიდერად ითვლებოდა. ჯერ ერთი, ეს გუნდი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დებიუტანტია და ძლიერთა კომპანიაში სუსტად ასპარეზობს. ჩემპიონატის საწყის ცხრა ტურში "ჩიხურას" 6 ქულა აქვს და გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატია. საპირისპიროდ, თბილისის "დინამოს" 18 ქულა აქვს და ჩემპიონის ტიტულის ერთ-ერთი მთავარი მაძიებელია. კლუბში მთავარ მწვრთნელად მოიწვიეს ცნობილი ჩეხი სპეციალისტი დუშან უგრინი, რომლის ხელმძღვანელობით "დინამომ" ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო. მაგრამ მოგებათა ეს სერია სწორედ საჩხერეში შეწყდა, რასაც გარკვეული მიზეზი აქვს. კერძოდ, უგრინმა პრაქტიკულად დუბლშემადგენლობა ათამაშა, რაშიც თავად დარწმუნდებით: ლორია, ხატიაშვილი, თომაშვილი, გაბუნია, გუგავა, გილაური, ოდიკაძე, თარგამაძე, ჯოხაძე, მესხი, გონჩაროვი. ჩეხეთის ნაკრების ევრო 96-ის ფინალში გამყვანი ჩეხი სპეციალისტის გადაწყვეტილების მოტივი გასაგებია: თასის ტურნირის ახალი, ჩემპიონთა ლიგის მსგავსი ფორმატი "დინამოს" შემდეგ ეტაპზე გასვლის თითქმის ასპროცენტიან გარანტიას აძლევს. ასე რომ, უგრინმა ძირითადი შემადგენლობა უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ დაასვენა. შეგახსენებთ, რომ "დინამოს" მეათე ტურში არა მხოლოდ ტურისა და პირველი წრის, არამედ მთელი ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა ელის. უგრინის გუნდი აქამდე დაუმარცხებელ რუსთავის "ოლიმპს" დაუპირისპირდება.

ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების გარეშე მოასპარეზე "დინამომ" "ჩიხურას" სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია და 0:2 დამარცხდა. გოლები გაიტანეს მარგალიტაძემ და... დინამოელმა ხატიაშვილმა (საკუთარ კარში).

უგრინი ფავორიტი გუნდების მწვრთნელთაგან ერთადერთი არ ყოფილა, ვინაც მძიმე ბრძოლის მოლოდინში ძირითად შემადგენლობას დასვენების საშუალება მისცა. ანალოგიურად მოიქცნენ "ზესტაფონის", "ოლიმპის", "ტორპედოს", "ამერისა" და "სიონის" დამრიგებლებიც.

"ზესტაფონმა" თბილისის "სპარტაკს" უმასპინძლა და გოლი ვერ გაუტანა. თემურ მახარაძის გუნდს მომდევნო ტურში უმნიშვნელოვანესი - იმერული "დერბი" ელის ქუთაისში, ადგილობრივ "ტორპედოსთან". როგორც წესი, "დერბის" ტიპის თამაშები ყოველთვის დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მატჩს დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ "ტორპედოსა" და "ზესტაფონს" 19-18 ქულა აქვთ და თბილისის "დინამოსთან" ერთად მესამე-მეხუთე ადგილებს ინაწილებენ. ამდენად, იმერული "დერბის" ფასი არა სამი, არამედ ექვსი ქულაა. ამიტომ "ზესტაფონის" მთავარმა მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობის შვიდი ფეხბურთელი დაასვენა და თავის გამოჩენის შანსი სათადარიგოებს მისცა. ამ ნაბიჯმა ადეკვატური შედეგი მოიტანა: დიდი მცდელობის მიუხედავად, "ზესტაფონმა" საკუთარ საჯარიმოს მიჯაჭვულ "სპარტაკს" გოლი ვერ გაუტანა და მეორე ლიგაში მოასპარეზე დედაქალაქურ გუნდს საპატიო ქულა გაატანა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსთავის "ოლიმპიც" 27 ოქტომბრით ცხოვრობს და "დინამოსთან" ჯახისთვის ემზადება, საქართველოს ჩემპიონატის ლიდერმა "ნორჩი დინამოელის" დიდი ანგარიშით დამარცხება სათადარიგო შემადგენლობითაც იოლად მოახერხა. ოლიმპელებმა უმცროს დინამოელებს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს და ხვალ იგივეს უფროს დინამოელებთან შეეცდებიან.

ანალოგიური მიზეზით რევაზ ძოძუაშვილის "ტორპედოს" დუბლებმა "მესხეთის" წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს და უგოლოდ დაუზავდნენ.

### საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის მესამე ტური

ჩიხურა - დინამო (თბ) ....................2:0
ზესტაფონი - სპარტაკი ..................0:0
მერანი - მეშაქრე ..........................2:0
ტორპედო - მესხეთი .......................0:0
ბორჯომი - ვიტ ჯორჯია ...................0:0
დინამო (ბთ) - სიონი .......................1:1
ოლიმპი - ნორჩი დინამოელი ..........3:0
კახეთი - ამერი ..............................1:1

## მოკლედ

### ცქიტას 5 წუთი

ინდიანა - შარლოტი ..................89:101
ბოსტონი - ნიუ ჯერსი .............107:109
ვაშინგტონი - დეტროიტი .........94:101
იუტა - დენვერი ........................127:107
პორტლენდი - გ. სტეიტი..............96:108
მაიამი - ორლანდო .....................92:82
ფილადელფია - ნიუ იორკი ....102:113
მემფისი - ჩიკაგო .......................84:87
ნიუ ორლეანი - საკრამენტო ......84:81

გრძელდება NBA-ს სეზონისწინა მატჩები. მორიგ შეხვედრაში "ნიუ იორკმა" ფილადელფიაში ითამაშა და მეტოქე 113:102 დაამარცხა. ამ თამაშში ნიკა ცქიტიშვილმა მოედანზე 5 წუთი დაჰყო. მართალია, ქართველ კალათბურთელს თავისი გუნდისთვის ქულა არ მოუტანია, მაგრამ ორჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და ერთხელ მეტოქის შეტევა ჩაჭრა. აშკარაა, რომ ნიუიორკელთა მწვრთნელი ქართველ კალათბურთელს არ ენდობა, რადგან მას სეზონისწინა მატჩებშიც კი არ აძლევს საკმარის სათამაშო დროს.

### ჩოგბურთი ცვლილებებს ელის

მომავალი სეზონიდან სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი საჩოგბურთო ტურნირებში. ჯერჯერობით ცვლილებები შეეხება მხოლოდ ვაჟთა ტურნირებს (საუბარია ATP-ს ეგიდით გამართულ ტურნირებზე). ჯერ ერთი, ყველა შეჯიბრება შვიდის ნაცვლად რვა დღეს გასტანს, რათა გულშემატკივარს უქმე დღეებშიც ჰქონდეს კორტებზე მისვლის საშუალება და ჩოგბურთი მათი ოჯახებისთვის დასვენების საშუალებად იქცეს. ამავე დროს გაიზრდება საპრიზო ფონდიც, თუმცა მთავარი ცვლილება ეს არ არის. საერთაშორისო საჩოგბურთო ფედერაცია გეგმავს ტურნირების ბადის შეცვლას, თანაც ისე, რომ ჩოგბურთელი, რომელიც ამა თუ იმ ტურნირზე საასპარეზოდ ჩავა, პირველი მატჩის წაგების შემთხვევაში ტურნირს მაშინვე არ გამოეთიშოს. ერთი სიტყვით, ჩოგბურთელებს ექნებათ რამდენიმე შეხვედრის გამართვის საშუალება. ამისთვის შემუშავებულია ორი სქემა. ერთი საკმაოდ მარტივია. ტურნირზე მონაწილე ჩოგბურთელები დაიყოფიან ჯგუფებად. მატჩები ჯერ ჯგუფებში გაიმართება წრიული სისტემით და გამარჯვებულები შემდეგ ეტაპზე გავლენ. რაც შეეხება მეორე სისტემას, ის საკმაოდ ჩახლართულია, თუმცა იმ სისტემის მიხედვითაც თითოეულ ჩოგბურთელს ტურნირზე, სულ მცირე, ორი მატჩის გამართვა მაინც მოუწევს.

### დროგბა ახალ კონტრაქტს აფორმებს

"ჩელსის" კოტდივუარელი ფორვარდი დიდიე დროგბა უახლოეს დღეებში ახალ კონტრაქტს გააფორმებს ლონდონურ კლუბთან. კონტრაქტი 2010 წლამდეა გათვალისწინებული. დროგბას კვირაში 100 ათას გირვანქა სტერლინგს გადაუხდიან. ზუსტად ასეთ ხელფასს იღებენ ფრენკ ლამპარდი და ჯონ ტერი, ხოლო მიხაელ ბალაკისა და ანდრეი შევჩენკოს ხელფასი კვირაში 130 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

# გიო დაბრუნდა!

პირველი გვერდიდან

გუშინ საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის ახალი დარბაზი ჩვენც მოვინახულეთ. ახალ დარბაზში ყველა პირობაა სავარჯიშოდ - ექვსი ფიცარნაგი, ახალი შტანგები, საშხაპეები, საუნა. აქვე იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი. მოგვიანებით გიორგი ასანიძეც გამოჩნდა - ერთი კვირაა ვარჯიში დაუწყია. სანამ გიორგი ხურდებოდა, ვანო გრიქუროვს გავესაუბრე.

**- საქართველოს ნაკრები ამა თუ იმ მნიშვნელოვანი შეჯიბრების წინ უცხოეთში გადიოდა შეკრებებს, ძირითადად, პოლონეთში. დღეის შემდეგ როგორ იქნება საქმე?**

- წლების განმავლობაში საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას სპონსორი არ ჰყოლია. ბოლო ოთხი წელიწადია ბედმა გაგვიღიმა - "საქცემენტის" სახით გენერალური სპონსორი გაგვიჩნდა. ეს ფედერაციის პრეზიდენტის დავით ბეჟუაშვილის დამსახურებაა. მისივე დამსახურებაა, რომ დღეს ქართველ ძალოსნებს საუცხოო დარბაზი აქვთ. ერთი სიტყვით, დღეის შემდეგ საქართველოს ნაკრებს მოსამზადებლად ყველანაირი პირობა აქვს. ეს დარბაზი იქნება მთავარი გუნდის ძირითადი სავარჯიშო ბაზა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდი ერთ ადგილზე უნდა იყოს. უცხოეთშიც გვექნება გასვლითი შეკრებები. გენერალური სპონსორის დამსახურებაა ისიც, რომ გლდანის ინტერნატში მალე მოეწყობა მეორე დარბაზი.



განახლებულ დარბაზში 6 ფიცარნაგია.

მარიკა ბუხაიძის ფოტო

**- რაკი ასეა, მომავალში ალბათ საერთაშორისო ტურნირსაც უმასპინძლებთ.**

- ახლო მომავალში აქვე აიგება სპორტკომპლექსი, სადაც ძალოსნებსაც ექნებათ დარბაზი, თან ისეთი სტანდარტების, რომ საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობასაც შევძლებთ. სავარჯიშოდ კი საუცხოოა ეს დარბაზი, სადაც ახლა ვიზემიეთ ახალსახლობა.

**- მსოფლიო ჩემპიონატიდან (სანტო დომინგო, დომინიკის რესპუბლიკა მასპინძლობდა) საქართველოს ნაკრები მე-18 ადგილით დაბრუნდა. ამავე დროს პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ოთხი ლიცენზია დაისაკუთრა. როგორც ვიცი, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ პეკინისთვის სალიცენზიო განაწესი შეცვალა...**

- ახალი განაწესით, საგაისო მსოფლიო ჩემპიონატზე არანაკლებ შედეგს უნდა მივაღწიოთ იმისთვის, რომ სანტო დომინგოში მოპოვებულმა ოთხმა ლიცენზიამ ძალა შეიძინოს. ერთი სიტყვით, ცვლილებაა ის, რომ ოლიმპიური საგზურები გაიცემა ორი ჩემპიონატის ჯამში. გადამწყვეტი იქნება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც ტაილანდი უმასპინძლებს. დომინიკაში კი ასე იყო: გუნდურში დაკავებული პირველი ექვსი ადგილი ამდენივე ლიცენზიას იძლეოდა, შემდეგი ექვსეული - ხუთს, ხოლო მესამე ექვსეული, რომელშიც ჩვენი ნაკრები მოხვდა - ოთხს.

**- გუნდური მეთვრამეტე ადგილი მაქსიმუმი იყო თუ მეტის მიღწევაც შეიძლებოდა?**

- შედეგი უკეთესი იქნებოდა, სანტო დომინგოში გიორგი ასანიძე და არსენ კასაბიევი რომ გამოსულიყვნენ. თუმცა, ოთხკაციანი შემადგენლობით (ზვიად სამუკაშვილი, თეიმურაზ გოგია, ალბერტ კუზილოვი, გია მაჭავარიანი) ჩვენ დავამარცხეთ წონების მიხედვით სრულად დაკომპლექტებული 11 გუნდი, ანუ რვაკაციანი ნაკრებები. ასე რომ, შედეგით კმაყოფილი ვარ. იმედია, გაისად ნაკრებს შეუერთდებიან ასანიძე და კასაბიევი.

**- კასაბიევი ტრავმის გამო დარჩა მსოფლიო ჩემპიონატს მიღმა. რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა? როგორც ვიცი, თუ ოპერაციას გაუკეთებენ, ექვს თვეს ველარ ივარჯიშებს...**

- საოპერაციოა თუ არა, ამას ცოტა ხანში შევიტყობთ. თუ ოპერაცია არ გახდა საჭირო, ვარჯიშს განაახლებს და მსოფლიო ჩემპიონატსაც კარგ ფორმაში შეხვდება.

**- ასანიძეს ვარჯიში განუახლებია...**

- გიორგის უკან დასახევი დრო არა აქვს. გადაწყვიტა ივარჯიშოს. ცოტა ხნის წინ არ მჯეროდა, თუ ისევ დაუბრუნდებოდა ფიცარნაგს.

მოგვიანებით თავად ასანიძესაც გავესაუბრე: "ფსიქოლოგიურად მზად ვარ ვარჯიშისთვის. მთავარია, რა კონდიციამდე მივალ. გაცდენილი პერიოდი მაქვს ასანაზღაურებელი. საჭიროა, რომ სამი თვე იყოს ნაყოფიერი. ვნახოთ, ამდენი ხნის უვარჯიშებელს კუნთები როგორ გამიძლებს. ამის მერე მეცოდინება, შევძლებ თუ არა ვარჯიშს. ეს სამი თვე იქნება ყველაზე რთული, რადგან ხელახლა მიწევს ფორმის აღდგენა. ფაქტობრივად, ყველაფერს ნულიდან ვიწყებ".

# ევროპული სტანდარტებით!

რაგბის 2007 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი მატჩისთვის მზადება სამშაბათს გახურდა: მოეწყო ბორჯღალოსანთა კვართის ბლიც-პრეზენტაცია, კარგი პირი გამოუჩნდა თამაშის პროგრამისა და რაგბის წესების წიგნის დაბეჭდვას და, რაც მთავარია, მეტოქეებმა გამოაცხადეს რაზმები და ვარჯიშსაც შეუდგნენ.

მოკლედ, ვითარება ასეთია: შაბათს, 28 ოქტომბერს, დღის ორ საათზე (14.00), საქართველო ვაკეში მასპინძლობს ერთა თასზე დაბრუნებულ ესპანეთს და თუ ძლევს (ისე, ფრეც ხელს გვაძლევს), გავა მეექვსე რაუნდში, სადაც თავისზე სუსტ ერთათასელთან მოუწევს ჯერ შინ და მერე გარეთ ჯახი, რათა ფინალის "დ" პულში საფრანგეთს, ირლანდიასა და არგენტინას მიაკითხოს.

კვართის პრეზენტაცია მუშთაიდთან, კაფე "მსოფლიო სპორტში" მოეწყო. საზოგადოებას წარუდგინეს რაგბის კავშირის ახალი პი-არ-მენი მიხეილ ხარატი, უკვე სტაჟიანი ვიცე-პრეზიდენტი კოკა ლაზიშვილი, მთავარი მოხელე ირაკლი ხუციშვილი და მედიასთან ურთიერთობის შეფი თამუნა ფირცხალაიშვილი.

მაგიდაზე გადმოფენილი იყო სამნაირი კვართი: ალისფერი (არა-ღვინისფერი), თეთრი და შავი. ყველას ამკობდა სხვა ფერის წყვილი სოლი. როგორც ნოვატორმა ხარატმა შენიშნა, რაგბის კავშირი ევროპული სტანდარტებით იწყებს ღვწას. ამის დასტურია სწორედ კვართის რევოლუციური დიზაინი, რომელიც მხატვარ მამუკა ჯაფარიძეს ეკუთვნის, ფორმის კომპლექტები კი ქართულმა სამკერვალო ფირმამ "ჯეოსპორტმა" (ყოფილი "სარო") დაამზადა.

### ქართულ-ინგლისური ლექსიკონი

პრეზენტაციამდე ჟურნალისტებს სამგვერდიანი პრესრელიზი დაურიგდათ. პრესრელიზის თანახმად, რაგბის კავშირის სპონსორები არიან: დეველოპერული კომპანია "სევენს სქაი" (მეშვიდე ცა, ვისაც პოლიგრაფიაც აბარია), საქაერონავიგაცია, რჩევისა და წვრთნის ცენტრი "სი-თი-სი", სადაზღვევო კომპანია "ჯი-პი-აი ჰოლდინგი", 8-10 (საქართველოს ტელეკომი) და ტელეკომპანია "მზე". საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფენ ტელეკომპანია "მაესტრო" და რადიო "ფორტუნა".

პრეზენტაციაზე ცხრა კალმოსანი, ხუთი ფოტოგრაფი და ოთხი ტელეარხი მუშაობდა. ის იყო, ვიცე-პრეზიდენტი შეგვპირდა, რუმინული მარცხი აღარ განმეორდებაო და კითხვების საპასუხოდ გაემზადა, რომ კაფეში შუქი ჩაქრა და დიდი დაგვიანებით დაწყებული ღონისძიება ოთხ წუთში (!) დასრულდა. რაც შეეხება ნაბეჭდ პროდუქციას, პროგრამა ამჯერად ძალიან ლაკონიური, მხოლოდ რვაგვერდაა, წესების წიგნი კი - 164-გვერდა და ზანოს-ზახვატ-ზაჩოტკას გაჩვეული, ხუთიათასწევრიანი თემის ევროპულად გასანათლებლად, ქართულ-ინგლისურ სარაგბო ლექსიკონსაც შეიცავს.



"ბორჯღალოსნები" საესპანეთოდ ხურდებიან.

მარიკა ბუხაიძის ფოტო

ბორჯღალოსნები ვერის ბაღთან, სასტუმრო "ვარაზში" დაბინავდნენ და მედიისთვის ღია ვარჯიშს ხუთშაბათს, დილის 11 საათიდან საავიაციო ქარხნის მიდამოში, "შევარდენზე" გამართავენ. მაშინვე უფროსობა გამოაცხადებს ირბ-ში გასაგზავნ გადანომრილ სიას. იმავე დღეს კავკასიისკენ გამოფრინდება ესპანეთი, სადაც უქმეებზე შინაური პირველობის რაუნდი გაიმართა და ნაკრებს ორი სათადარიგო მორკინალი დაემტვრა.

### ოვალურმაგიდიან საფიხვნოში

ბორჯღალოსნებს ჩვენებური სამეული წვრთნის, ლეონესს (ლომები) - კი ინგლისელი ჯედ გლინი. რუმინეთთან ჯერ ჩვენ წავაგეთ 12 ქულით, მეორე კი - იმათ 23-ით, ოღონდ შინ. სასტეჟარო რაზმებთან შედარებით, გუნდებში ექვს-ექვსი ცვლილებაა. ჩვენ ისევ არ გვეყოლება 51 კეპის პატრონი 10 ნომერი პალიკო ჯიმშელაძე, გენჩაზე დაშავებულები, ბეკი ირაკლი მაჩხანელი და მარბიელი გია ლაბაძეც დაგვაკლდებიან. სამაგიეროდ ჰუკერი აქვსენტი გიორგაძე დაგვიბრუნდა.

ლეონესში მეორეხაზელი კარლოს სოუტო ძმამ, სერხიომ შეცვალა. პირველს სამჯერ დავულელოებივართ, მეორეს კი - ერთხელ. ჩვენი და მათი სულ პირველი, ექვსი წლის წინანდელი და ჩვენს მიერ ერთადერთი წაგებული შებმიდან იმათ შემორჩნენ კაპიტანი ენსისო, ბურჯი სალასარი, ძმები სოუტოები და მარბიელები, მატა და ასტარლოა, ჩვენ კი - ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, აბუსერიძე, შველიძე და ზედგინიძე.

ხუთი თამაშიდან ჩვენ მოვიგეთ სამი, იმათ - ერთი. ბოლო შეხვედრა ორნახევარ წელზე მეტი ხნის წინ ფრედ დასრულდა და ესპანეთი ერთა თასიდან გავარდა. მას აქეთ გუნდი გადახალისდა და აგერ, ჩვენამდე ისევ მოაღწია. თამაშის წინა, დამაკვალიანებელი პრესკონფერენცია რაგბის კავშირის ოვალურმაგიდიან საფიხვნოში პარასკევს, დღის პირველ საათზე (13.00) გაიმართება. მატჩის შესვენებაზე კი ვაკეში შეკრებილ საზოგადოებას ჯერარნახულად შეაქცევენ ქართველი და აზერბაიჯანელი მოშვიდქალეები.

### მსოფლიო თასი

**საქართველოს ბორჯღალოსნები**
**(* დაემატა რუმინეთის შემდეგ)**

**ბეკები**

15/10 მახო ურჯუკაშვილი (კანი საფრანგეთი), ოთარ ბარკალაია (ანდორა საფრანგეთი)
14/11 ბესიკ ხამაშურიძე (აია), გიორგი შკინინი (ბლუა საფრანგეთი), გიორგი ელიზბარაშვილი* (აკადემია)
13/12 რევაზ გიგაური* (მონლიუსონი საფრანგეთი), ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ყოჩები)
9 ბიძინა სამხარაძე (კონსტანცა რუმინეთი), ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი საფრანგეთი)

**ფორვარდები**

1-3 გოდერძი შველიძე (კლერმონი საფრანგეთი), აქვსენტი გიორგაძე* (კასტრი საფრანგეთი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი საფრანგეთი), ავთო კოპალიანი (მონტობანი საფრანგეთი), დავით ხინჩაგიშვილი* (ბურგუენი საფრანგეთი)
4/5 ილია ზედგინიძე კაპ (ოში საფრანგეთი), მამუკა გორგოძე (მონპელიე საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი* (ლოკომოტივი)
6-8 ილია მაისურაძე (ნანტი საფრანგეთი), რატი ურუშაძე (ყოჩები), ბესო უდესიანი (ვილფრანში საფრანგეთი), ზვიად მაისურაძე* (ლოკომოტივი)

### ესპანეთის ლეონესი

**ბეკები**

15 სესარ სემპერე (მადრიდი)
14/11 დავიდ მოტა (მადრიდი), რაფაელ ალვარესი (დომონი საფრანგეთი), იგნასიო მარტინი* (ბერა ბერა)
13/12 ალვარ ენსისო კაპ (სალვადორი), ხავიერ კანოსა (მადრიდი), ხუან კანო* (სისნეროსი)
10 ესტებან როკე (სალვადორი), ანდრეი კოვალენკო (ბარსელონა)
9 პაბლო ფეიხო (ბერა ბერა), კარლეს ბადია (სანტბოიანა), ფაკუნდო ლავინო* (მადრიდი)

**ფორვარდები**

1/3 მიგელ ბურგალეტა (ლისეო ფრანსესი), სესარ კაბაიერო* (სალვადორი), იონ ინსაუსტი (სალვადორი)
2 მატიო სიდრი (გროლიო საფრანგეთი), ხოსე-მარია ბორკესი* (სიენსიასი)
4/5 სესარ ბერნასკონი (ბარსელონა), ენდრიუ ებეთი (ალკობენდასი), სერხიო სოუტო* (სალვადორი)
6-8 რაფაელ კამაჩო (ინეს როსალესი), ალფონსო მატა (სალვადორი), ოსკარ ასტარლოა (ორდისია), ხუან გონსალესი (მადრიდი)

### ევროპის შესარჩევები

**მეხუთე რაუნდი**

(ა) იტალია - პორტუგალია 83:0, რუსეთი - იტალია 7:67
28/10 პორტუგალია - რუსეთი * ფითსგიბონი (ირლანდია)
(ბ) რუმინეთი - საქართველო 20:8, ესპანეთი - რუმინეთი 20:43
28/10 საქართველო - ესპანეთი * ალენი (შოტლანდია)

### მეექვსე რაუნდი

**ბორჯღალოსნების მონაგარი**
**1989-2006**

82 თამაში (31 შინ, 41 გარეთ, 10 ნეიტრალურზე)
47 გამარჯვება - 32 მარცხი * 3 ფრე
ქულა 1894:1608, ლელო 229-180

**მასალა მომზადებულია ვებგვერდ http://www.geocities.com/Msoflioshi/index.htm-ზე**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტის შესაბამისად:

ლოტი 1 - საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შენობის სარემონტო სამუშაოები;
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2007 წლის 25 მარტი.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დალუქულ პაკეტში ორ ეგზემპლარად(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 16 ნოემბერს 10:00-დან 11:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ სამუშაოებზე(ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| № | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| . | | | | |

ბ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, მაგრამ **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - კოდი 8057, 2006წლის 26 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონი: 955899.

**სატენდერო კომისია**

ტელეკრიტიკა

# ერთი ახალი დეტალი ქართულ სატელევიზიო მედიაში

ნინია კაკაბაძე

**"კიდევ ერთი ტელევიზორის ნაცვლად მშვიდობა რომ მოგვეთხოვა, მშვიდობაც დადგებოდა."**
**ჯონ ლენონი**



უკანასკნელი ეტაპის სატელევიზიო მედია თითქოს ერთ ტალღაზე გადავიდა და მათ შორის სხვაობა სულ უფრო შემცირდა. გამოჩნდა ახალი იუმორისტული გადაცემები, ინტელექტუალური თოქშოუები, ქართული წარმოების სერიალები, მუსიკალური შეჯიბრებები, "ცოცხალი შოუები" და ა.შ. მოსაწყენი და უინტერესო გახდა პოლიტიკურ თოქშოუებში ერთ ხმაში მოღაღადე ოპოზიციონერების მოსმენა, მოპასუხის გარეშე. ყოველივე ზემოთქმულზე - სტატიების მომდევნო ციკლში, ახლა კი ერთი ფრაგმენტი სატელევიზიო მედიის რეალობიდან, რომელმაც კიდევ ერთხელ მიიპყრო ყურადღება და საზოგადოებაში ნაწილობრივ აღადგინა ტელევიზიის ირგვლივ არსებული დისკუსია.

გასულ კვირას გადაცემა "დროებაში" გავიდა სიუჟეტი. ამ სიუჟეტის შესახებ განსხვავებულ შეფასებებს მოისმენდით - ეს იყო ომზე, აფხაზეთზე, მხედრიონზე, პაციფიზმზე, ქართველებზე და ა.შ. როგორც დახასიათება, ასევე შეფასებებიც განსხვავებულია. მაგრამ ფაქტია, რომ ამბავი, რომელიც მოვისმინეთ და ვნახეთ, მნიშვნელოვანი და აქტუალურია. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ დამოკიდებულება მის მიმართ მრავალგვარია.

სიუჟეტი ასახავდა ომისდროინდელ აფხაზეთს, როგორ ხვრეტენ ქართველი მებრძოლები დაქირავებულ რუს მებრძოლს, რომელმაც 96 ქართველის მკვლელობა აღიარა. ნაჩვენები იყო სრული სცენა: მსხვერპლს ჯერ საკუთარი ხელით საფლავს ათხრევინებენ და შემდეგ მის პირას ხვრეტენ. ამ საზარელი სცენის წარმოდგენისას, მონტაჟური გადანაცვლებით ვისმენდით იმ ადამიანთა შეფასებებს ომზე, რომელნიც იბრძოდნენ. მათ შორის იყო "მხედრიონის" ერთ-ერთი ყველაზე ნაცნობი სახე გიგა არველაძე. დავუბრუნდეთ დახვრეტის სცენას.

მაყურებლისთვის ყველაზე თვალშისაცემი სწორედ ეს დახვრეტა იყო, რასაც ერთგვარი შეფასება მოჰყვა: "დასახვრეტი იყო"; "96 ქართველი მოკლა და უნდა დაეხვრიტათ, აბა არა?" "იქ რომ ვყოფილიყავი, მეც მივიღებდი მონაწილეობას" და ა.შ. სამწუხაროდ, მაყურებელმა დამნაშავისა და უდანაშაულოს ძიება დაიწყო. რესპონდენტები ერთხმად აღიარებდნენ, რომ მთავარი დამნაშავეა ომი, რომელიც თავის არსში ბოროტებას ატარებს. თუმცა, "ფსევდოპატრიოტული" სულისკვეთება ჭარბობს და "ამბავი" ქართველ მებრძოლთა შეურაცხყოფად აღიქმება. ისმის ასეთი ბრალდებაც, რომ რეპორტაჟი ცალმხრივად იყო წარმოდგენილი, არ იყო ნაჩვენები, რას სჩადიოდნენ თავად აფხაზები და მათი სახელით რუსები, ჩეჩნები. თუ უკანასკნელი 13 წლის სატელევიზიო მედიას გადავავლებთ თვალს, მხოლოდ ერთს აღმოვაჩენთ: აფხაზეთში დამარცხების შემდეგ ჩვენ ვხედავთ მხოლოდ იმ შინაარსის დოკუმენტურ ფილმებს, სიუჟეტებს, გადაცემებს, სადაც ერთმნიშვნელოვნად ჩანს, თუ რას სჩადიოდა აფხაზური მხარე. "თუ ომი საჭირო იქნება, უნდა დავიწყოთ", "ომით დაკარგულს ომით დაბრუნება სჭირდება" - სწორედ ამ 13 წლის მანძილზე დამზადებული სიუჟეტები და ფილმებია ამგვარი გამონათქვამების მიზეზი. ამას, ბუნებრივია, თავისი ლოგიკური გამართლება აქვს - დამარცხებული ერი შურისძიების წყურვილით სულდგმულობს.

სამწუხაროა, რომ სიუჟეტის ყურებისას თვალში არავის მოხვდა - ომში ან ომის დროს როგორ ტკბება ადამიანი მკვლელობით, თუმცა ამ სიუჟეტის შექმნის უმთავრესი მიზანი ალბათ სწორედ ეს იყო - წარმოედგინა ის ბოროტება, რომელიც ომს მოაქვს და მისი დანახვა საკუთარ მაგალითზე გაცილებით უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე მეორე, მოწინააღმდეგე მხარის მაგალითზე. იმ შემთხვევაში მხოლოდ ბრაზი და შურისძიების წყურვილი იკვეთება.

ანალიტიკოსებმა დაიწყეს გამოძიება, რას უნდა უკავშირდებოდეს "იმედის" არხზე ამ შინაარსის სიუჟეტის გამოჩენა, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, ბოლო დროს ერთადერთია და მისი ჩვენება დიდ გამბედაობასთანაც არის დაკავშირებული. დღეს ხომ პაციფიზმი საქართველოში ყველაზე დიდი დანაშაულია. ამიტომ ისიც ითქვა, რომ მხედრიონელი არველაძე თავად იყო პირველი მაროდიორი და მხოლოდ მხედრიონელები სჩადიოდნენ მსგავს სისასტიკეს. ბუნებრივია, "მხედრიონის" გარკვეული ჯგუფი არა მხოლოდ აფხაზეთში და აფხაზეთის ომის დროს, არამედ მანამდეც და მერეც, თბილისშიც, ზუგდიდშიც და საქართველოს სხვა ქალაქებშიც ძალადობით ტკბებოდა. მაგრამ რა იყო ამ მასობრივი აგრესიის მიზეზი? განუკითხაობა და ქვეყანა მუდმივი ომის პირობებში. ასე რომ, მათ (და არა მხოლოდ მათ) ძალადობრივ ქმედებებს გამართლება არა აქვს, რადგან გამართლება არა აქვს შეიარაღებულ დაპირისპირებას და ომს.

ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ამ სიუჟეტის გამოჩენას კიდევ ერთი მიზეზის გამო თვლის გაუმართლებლად. გამწვავებული რუსულ-ქართული ურთიერთობის პირობებში ეს რუსული იმპერიის წახალისებაა. მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია, რა რეაქციას გამოიწვევდა მსგავსი რეპორტაჟი აფხაზ მოსახლეობაში, რომელიც მუდმივად მუქარის, საკუთარი ცოდვების შეხსენების პირობებში იმყოფება. მაშინ, როდესაც საუბარია კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაზე, არავინ ამბობს, რომ ქართული მხარის (როგორც შერიგების ინიციატორის) წინაპირობა საკუთარი შეცდომების აღიარება უნდა იყოს. სამწუხაროდ, მაშინ, როდესაც სოხუმის დაცემის თარიღთან დაკავშირებით სატელევიზიო ფილმები თუ გადაცემები იქმნება, ჯერ არ ყოფილა ამ ომის ისტორიული შეფასების მცდელობა; შეფასებისა, რომლითაც ნათელი გახდება, რომ დამნაშავეები იყვნენ ომის ინსპირატორები ქართული, აფხაზური და რუსული მხრიდან. მთავარ დამნაშავეებზე საჯაროდ და აქტიურად არავინ საუბრობს, რადგან ქართული მხარისთვის მომგებიანია უდანაშაულო დამარცხებულის ამპლუაში ყოფნა. "დამისახელეთ იმპერატორი, რომელიც ომში მოკვდა" - არსებობს ასეთი გამონათქვამი. ჩვენს რეალობაში პასუხი ამგვარია: ქართულ-აფხაზური ომის ქართველი "იმპერატორები" დღესაც კი მედიის საშუალებით ჯერ კიდევ დიდაქტიკური ტონით გვმოძღვრავენ.

ის, რომ მედიაში გაჩნდა ერთი სიუჟეტი, რომელიც საუბრობდა ომზე, როგორც ყველაზე დიდ ბოროტებაზე, აჩენს იმის პერსპექტივას, რომ მომავალში ეს ომი გაანალიზდება და შეფასდება, რომლის გარეშე მშვიდობიანი პროცესის წარმართვა შეუძლებელია.

ყველაზე პარადოქსული კი ის გახლავთ, რომ ტელეკომპანია "იმედში" გასული სიუჟეტის შემდეგ ყველაზე მოსალოდნელი კრიტიკა სწორედ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გაისმა. მაშინ, როდესაც ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს ჯერ საჯაროდ არ გამოუთქვამს უკმაყოფილება, მას საზოგადოება ასწრებს და რეპორტაჟს არაპატრიოტულ ნაბიჯად ნათლავს, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს პოზიციას, რომ საქართველოში პატრიოტიზმი "ხმლითა და ფარით" ხელში, საკუთარი "ღირსების" დაცვას, სამშობლოსთვის სიკვდილს გულისხმობს. ამ სინამდვილეში ყველაზე მეტად გამართლებული ალბათ მშვიდობის პროპაგანდის გააქტიურებაა. ამიტომ მოვითხოვოთ კიდევ ერთი ტელევიზორი, რომ ამ ტელევიზორიდან ჩვენგან მოითხოვონ მშვიდობა!


## პრესრელიზი

26 ოქტომბერს 12 საათიდან "ჩემი ოჯახის კლინიკა"-ში გაიმართება საქველმოქმედო აქცია. აქციაში მონაწილეობას მიიღებენ არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი "პირველი ნაბიჯის" დღის ცენტრის 25 აღსაზრდელი, რომლებსაც "ჩემი ოჯახის კლინიკაში" ჩაუტარდებათ ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება. "ჩემი ოჯახის კლინიკის" წამყვანი ექიმები (პედიატრი, თერაპევტი, ნევროპათოლოგი, ოფთალმოლოგი) გაუწევენ ბავშვებს საჭირო კონსულტაციებს. "პირველი ნაბიჯის" დღის ცენტრის აღსაზრდელებს ასევე ჩაუტარდებათ ექოსკოპიული და საჭირო ლაბორატორიული გამოკვლევები.

საკონტაქტო პირი: საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
მაია ივჩენკო მობ: 877 76 77 20
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქუჩა 34, ტელ: +995
(32) 999 105, +995 (32) 999 205



## ზუგდიდის რაიონის გამგეობის მიერ სანათების შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების ცვლილება

1. ზუგდიდის რაიონის გამგეობის მიერ ***2006 წლის 13 ოქტომბერს*** გამოცხადებულ სანათების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

შევიდეს ცვლილება ლოტი (პოზიცია) N1-ში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ლოტი (პოზიცია) N1 - 150 ვტ. უმაღლესი ხარისხის სანათები (ნათურებით), გასუფთავებული ალუმინის კორპუსით, მაღალი ფოტომეტრით, IP 65, ექსპლუატაციის საგარანტიო ვადით 300 ცალი.

2. ზუგდიდის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებული სანათების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

*სატენდერო კომისია*



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე: თემა - **"კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია - გამოცემები"**

*Lლოტი 1. "სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვა-დაცვის ინსტრუქცია,"*
*ლოტი 2. საქართველოს მუზეუმების გზამკვლევი",*
*ლოტი 3. `ბარი და გეილ ლორდების სახელმძღვანელო "სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი",*
*ლოტი 4. "კრებული მუზეუმების შესახებ",*
*ლოტი5. "ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების უფლება-მოვალეობანი კულტურული მემკვიდრეობის სფეროში",*
*ლოტი6. "კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის კატალოგი",*
*ლოტი7. საინფორმაციო აფიშები სამინისტროს მიერ რეაბილიტირებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე*

ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულებისა და ჩაბარების საბოლოო ვადაა **2006 წლის 20 დეკემბერი**

ტექნიკური დავალების პირობებისა და წარმოდგენილი ვადების ფარგლებში შემსრულებელმა საბოლოო პროდუქციის სახით დამკვეთს უნდა გადასცეს:
P
მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი წიგნები:

ლოტი 1. **1000 ეგზემპლარი**
ლოტი 2. **1000 ეგზემპლარი**
ლოტი 3. **1000 ეგზემპლარი**
ლოტი 4. **1000 ეგზემპლარი**
ლოტი 5. **500 ეგზემპლარი**
ლოტი 6. **1000 ეგზემპლარი**
ლოტი 7. **160 ეგზემპლარი**

ტენდერის შედეგად თითოეულ ლოტზე გამოვლინდება გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სამუშაოების ცალკეული ნაწილების შესრულება შესაძლებელია მოხდეს სუბკონტრაქტორთა მიერ. მათი მონაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორთა საკვალიფიკაციო მონაცემები.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირებისათვის**
■ ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
■ ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;

**როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისათვის:**

■ უნდა გააჩნდეს სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება (ინფორმაცია ყველა მონაწილის, მათ შორის ძირითად თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ);
■ შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი ბოლო 5 წლის მანძილზე;
■ ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;
■ ხარჯთაღრიცხვა მთლიანი და სამუშაოთა სახეობების მიხედვით;
■ სამუშაოს კალენდარული გეგმა-გრაფიკი (სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, აგრეთვე, შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე საშუალედო ანგარიშებისთვის შესრულებული სამუშაოს წარმოდგენით);
■ ადრე შესრულებული ბეჭდური პროდუქციის ხარისხი (ნიმუშების წარმოდგენით);
ასევე, სხვა ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის წარმომდგენი.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე, შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220 101 107 ანგარიშის ნომერზე N 200122900.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღება იწარმოებს 2006 წლის 15 ნოემბრიდან 17 ნოემბრის 17 საათამდე სატენდერო მოსაკრებლის - 200 ლარის - გადახდის შემდეგ,

განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი ერთად, ერთ დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ორი - ქსეროასლის სახით) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სანაპიროს ქ. N4, IV სართული, ოთახი 405.

დაგვიანებით შემოსული განაცხადები, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს რამოდენიმე ლოტზე ერთი სატენდერო წინადადება.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდე.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ვერა შანიძეს, ინგა ქარაიას, მაკა სოხაძეს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.**
ტელეფონები: 990 285, 998 521, 932 188


***პრეპარატ ტამიფლუს მახასიათებლებისა და მისი საქართველოში შემოტანის თაობაზე პრესაში გავრცელდა დაუზუსტებელი და არასწორი ინფორმაცია. პრეპარატის მწარმოებელი და გამავრცელებელი შვეიცარული კომპანია "ჰოფმან ლა როშის" წარმომადგენლობა საქართველოში, გრძნობს რა ანგარიშვალდებულად თავს საზოგადოებისა და პაციენტების წინაშე, გაწვდით ოფიციალურ ინფორმაციას ამ მედიკამენტის წარმოშობისა და მისი გავრცელების თაობაზე.***

- ტამიფლუ (ოსელტამივირი) პერორული ანტივირუსული მედიკამენტია (და არა ვაქცინა), რომელიც გამოიყენება გრიპის სამკურნალოდ და მიეკუთვნება ნეირამინიდაზას ინჰიბიტორების კლასს. აღნიშნული კლასის პრეპარატები ხელს უშლიან გრიპის ვირუსის გავრცელებას ორგანიზმში. ისინი აქტიურნი არიან გრიპის ვირუსის ყველა კლინიკურად მნიშვნელოვანი შტამის მიმართ. ტამიფლუ გამოიყენება გრიპის პროფილაქტიკის და მკურნალობისთვის.
- დადასტურებულია, რომ ტამიფლუ ეფექტურია გრიპის პროფილაქტიკისათვის და სამკურნალოდ **მოზრდილებსა და 1 წლის ასაკის ბავშვებში**.
- ტამიფლუ ჩრდილოეთ ამერიკისა (აშშ და კანადა) და შვეიცარიის ბაზარზე გამოჩნდა 1999/2000 წწ. ყველა საკვანძო ევროპულ ბაზარზე პრეპარატის გაყიდვა დაიწყო 2002/2003 წწ.
-

### ტამიფლუ: ეფექტურობის მონაცემები

- ტამიფლუს გამოყენებას დოზირების დამტკიცებული რეჟიმის მიხედვით თან ახლავს სიმპტომების სიმძიმის შემცირება 38%-ით, მეორადი გართულებების (ბრონქიტი, პნევმონია და სინუსიტი) შემცირება სხვამხრივ ჯანმრთელ პირებში 67%-ით, გრიპით ავადმყოფობის ხანგრძლივობის შემცირება 37%-ით. აღნიშნული მონაცემები მოპოვებულ იქნა გრიპის სეზონური აფეთქებებისას.
- ბავშვებში ტამიფლუ ამცირებს გრიპის დაავადების ხანგრძლივობას 29%-ით და სიმპტომების სიმძიმის 29%-ით. აგრეთვე, 44%-ით მცირდება შუა ყურის ანთების სიხშირე ტამიფლუთი არანამკურნალებ შემთხვევებთან შედარებით.
- ტამიფლუს პროფილაქტიკური მიღება ამცირებს გრიპით დაინფიცირების ალბათობას მოზრდილებში 89%-ით, ხოლო ინფექციის ოჯახის პირობებში არსებობისას 84%-ით. ბავშვებში ტამილფუ ამცირებს გრიპის ვირუსით დაინფიცირების ალბათობას 55%-ით.

### ტამიფლუს უსაფრთხოების მონაცემები

- ტამიფლუ დღემდე გამოყენებული იქნა მსოფლიოს დაახლოებით 80 ქვეყანაში, მათ შორის აშშ, იაპონია, კანადა, ავსტრალია, ევროკავშირი, შვეიცარია და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, სადაც ნამკურნალები იქნა **42 მილიონი ადამიანი** და გამოავლენილი იქნა უსაფრთხოებისა და ეფექტურობის ძალზე კარგი პროფილი.
- ტამიფლუთი ნამკურნალებ პაციენტებში, როგორც მოზრდილებში, ისე ბავშვებში, სიკვდილობა უფრო დაბალია, ვიდრე გრიპით ინფიცირებულში, რომლებიც არ ღებულობენ ტამიფლუს.

### გრიპი

- გრიპი წარმოადგენს გრიპის A და B ვირუსებით გამოწვეულ სერიოზულ დაავადებას, რომელიც, როგორც წესი, სეზონურად ვითარდება შემოდგომისა და ზამთრის თვეებში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მონაცემებით ყოველწლიურად სეზონური გრიპის 3-5 მილიონი შემთხვევა ვითარდება; დაახლოებით 250 000 - 500 000 ადამიანი იღუპება ამ დაავადებისგან.

### გრიპის პანდემია და ტამიფლუ

- ტამიფლუ შექმნილია ისე, რომ აქტიური უნდა იყოს გრიპის ვირუსის კლინიკურად მნიშვნელოვანი ყველა შტამის მიმართ, H5-1-ის ჩათვლით. ნაჩვენებია, რომ ტამიფლუ აქტიურია H5-1-ის მიმართ ლაბორატორიაში და ცხოველებში, რომლებიც ინფიცირებული იყვნენ ადამიანიდან აღებული შტამით.
- არსებული ფაქტები ტამიფლუს ეფექტურობის შესახებ ფრინველის გრიპის საწინააღმდეგოდ ემყარება პაციენტთა მცირე ჯგუფების შემთხვევებს. სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში ტამიფლუთი ფრინველის გრიპის მკურნალობა დაწყებული იყო დაგვიანებით, და არა პირველ 48 საათში, როგორც რეკომენდებულია. ეს ფაქტი ხელს უშლის ობიექტურად შეფასდეს ტამიფლუს ეფექტურობა ფრინველის გრიპის შემთხვევებში.
- ამჟამად **ჯანმო-ს რეკომენდაციით** ადამიანის H5-1 ინფექციის საეჭვო შემთხვევაში მაქსიმალური თერაპიული ეფექტის მისაღწევად ტამიფლუ უნდა იყოს დაწყებული დაუყოვნებლივ (იდეალურ შემთხვევაში, დაავადების დაწყებიდან პირველ 48 საათში). თუმცა, H5-1 ინფექციის მაღალი სიკვდილობის და დაავადების დროს ვირუსის გახანგრძლივებული რეპლიკაციის გათვალისწინებით, ტამიფლუს გამოყენება უნდა განიხილებოდეს დიაგნოზის მოგვიანებით დასმის შემთხვევაშიც.
- ტამიფლუ გამოიყენება პროფილაქტიკისთვის იმ პირებში, ვინც H5-1 ვირუსით ინფიცირებულ ცხოველთა და ფრინველთა განადგურებაში იღებს მონაწილეობას და ჯანდაცვის მუშაკებში, რომლებიც დაავადებულთა მართვაში იღებენ მონაწილეობას.

### ტამიფლუს წარმოება

ტამიფლუს წარმოება კომპლექსურია და მოიცავს 10 ძირითად საფეხურს, ზოგიერთი მათგანი კი საკმაოდ რთულიცაა (მაგ., აზიდირება). წარმოებას დაახლოებით 6-8 თვე სჭირდება ყველა საჭირო მასალის მოგროვების შემდეგ.

### პანდემიასთან დაკავშირებული შეკვეთები

როში შეთანხმებულია დაახლოებით 60 ქვეყანასთან პრეპარატის რაოდენობის და მოწოდების გრაფიკების თაობაზე.
- მაღალი მოთხოვნისა და ტამიფლუს წარმოების ხანგრძლივობის გამო როშმა ნათლად განაცხადა, რომ შეუძლებელი იქნება ტამიფლუს დიდი შეკვეთების შესრულება მცირე მონაკვეთში. სწორედ ამიტომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში როში მოუწოდებდა მთავრობებს წინასწარ შეექმნათ ტამიფლუს რეზერვები.
- ამჟამად აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტი ხელმისაწვდომია მნიშვნელოვნად დაბალ ფასებში განვითარებადი სახელმწიფოებისათვის (7.00 ევრო მკურნალობის ერთი კურსი), სეზონურ ანუ არა პანდემიის საწინააღმდეგო სახელმწიფო შეკვეთის ფასებთან შედარებით. (ევროპაში სეზონური ქარხნული ფასი მერყეობს 20-დან 51 ევრომდე).

### ტამიფლუს დონაციები სწრაფი გადანაწილებისათვის .

**- 2004-2005 წელს როშმა ჯანმოს უსასყიდლოდ გადასცა ტამიფლუს 5,125 მილიონი სამკურნალო კურსი** პოტენციური პანდემიის შემთხვევაში გამოსაყენებლად. 2005 და 2006 წლებში როშმა დონაციის სახით ტამიფლუს 15000 კოლოფი გადასცა თურქეთს, ხოლო რუმინეთს - 2400 კოლოფი, ამ ქვეყნებში ფრინველის გრიპის H5-1 ვირუსის აღმოჩენის შემდეგ. აღნიშნული დონაციის მიზანი გახლდათ იმ პერსონალის დაცვა, რომელიც აწარმოებდა ფრინველების მოგროვებას დაავადების აფეთქების ზონასთან ახლოს მყოფი ფერმებიდან.

### კომპანია "ჰოფმან ლა როში" .

- ფარმაცევტული კომპანია "ჰოფმან ლა როში" დაფუძნებულია 1896 წელს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში. დღესდღეობით იგი მსოფლიო ლიდერია ონკოლოგიური პრეპარატების წარმოებასა და ვირუსოლოგიაში. კომპანიაში, რომლის წლიური ბრუნვა 2005წელს 25.5 მილიარდ შვეიცარულ ფრანკს შეადგენდა და რომელიც მსოფლიოს 150 ქვეყანაში ოპერირებს, ამჟამად დასაქმებულია 68 ათასი თანამშრომელი.

**"ჰოფმან-ლა როშის" წარმომადგენლობა საქართველოში**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, გმირთა მოედანზე მშენებარე შადრევნის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებისა და სარწყავი სისტემის აღდგენის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ხე-მცენარეთა დარგვა, მწვანე მოლის შექმნა, სარწყავი სისტემის აღდგენა.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 თვე. 3.განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 15 ნოემბრის 12 საათიდან 2006 წლის 15 ნოემბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33ა, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

■ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

■ ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 26 ოქტომბრის 12 საათიდან 2006 წლის 14 ნოემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33ა, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ილია ფალავანდიშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 92-07-80, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33ა, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს სტრატეგიული სათადარიგო ნაწილების შეძენაზე (რვა ლოტი).

| ლოტი № | ჩამონათვალი | განზ-ზის ერთეული | რაოდ-ბა |
|---|---|---|---|
| 1 | ძაბვის ტრანსფორმატორი 220კვ | კომპ. | 3 |
| | ძაბვის ტრანსფორმატორი 110კვ | კომპ. | 2 |
| | ძაბვის ტრანსფორმატორი 35კვ(1) | კომპ. | 1 |
| | ძაბვის ტრანსფორმატორი 35კვ(2) | კომპ. | 1 |
| | ძაბვის ტრანსფორმატორი 10კვ | ცალი | 4 |
| | ძაბვის ტრანსფორმატორი 6კვ | ცალი | 2 |
| 2 | დენის ტრანსფორმატორი 220კვ 600/5 | კომპ. | 2 |
| | დენის ტრანსფორმატორი 220კვ 600/1 | კომპ. | 1 |
| 3 | ძალოვანი ტრანსფორმატორი 10კვ 400კვა | ცალი | 1 |
| 4 | 10 კვ გამოსაგორებელი ელემენტი ამომრთველით | ცალი | 12 |
| 5 | გაციების ძრავი | ცალი | **20** |
| 6 | ტრანსფორმატორის ელექტროტუმბო | ცალი | **6** |
| **7** | ნათურები | | |
| **7.1** | სასიგნალო ნათურები | ცალი | **2500** |
| **7.2** | ვარვარა ნათურები (500 ვტ-ნი) | ცალი | **500** |
| **8** | სახაზო არმატურა | | |
| **8.1** | სააპარატო მომჭერი (240) | ცალი | **100** |
| **8.2** | სააპარატო მომჭერი (400) | ცალი | **200** |
| **8.3** | დასაწნეხი შემაერთებელი (500-1) | ცალი | **200** |
| **8.4** | დასაწნეხი შემაერთებელი (330-1) | ცალი | **100** |

საქონლის მოწოდების სასურველი ვადა არის შემსყიდველის მოთხოვნიდან 40 დღის განმავლობაში. ანაზღაურება მოხდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში.

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება

დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 14 ნოემბრის 12:00 საათამდე (თბილისის დროით), ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 14 ნოემბერს 12:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა --- მე-4 სართული

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან ან/და საგადასახადო ინსპექციიდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სანაციის საქმის წარმოების პროცესი, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი; საკონტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

საქართველოში არ რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოებიდან.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სატენდერო კომისიას. ტენდერი N T 0806 G 0210

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების ტენდერის ჩატარების შესახებ მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 989816; ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახური.

# შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს მის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების რეალიზების შესახებ

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:
- სარეალიზაციო ქონება და ღირებულება:

| № | ავტომანქანის დასახელება (მოდელი) | გამოშვების წელი | სახელმწ-იფო ნომერი | გასაყიდი ღირებუ-ლება (ლარი) | მდგომარეობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | მიკროავტობუსი "ფიატ დუკატი" | 1995 | LAD 301 | 3787,5 | საჭიროებს კაპ. რემონტს | ძრავა არ მუშაობს |
| 2 | მერსედეს-ბენცი | 1991 | UUU 613 | 4725 | დამაკმაყოფილებელი | |
| 3 | BMW 730 | 1992 | QOO 082 | 3778 | დამაკმაყოფილებელი | |
| 4 | ვაზ 21093 | 1994 | LAD 888 | 832,7 | საჭიროებს კაპ. რემონტს | |
| 6 | უაზ 31512 | 1991 | LAD 450 | 2297,4 | საჭიროებს კაპ. რემონტს | |
| 6 | მიკროავტობუსი "ფოლკსვაგენი" | 1995 | NON 557 | 6787,5 | საჭიროებს კაპ. რემონტს | ძრავა არ მუშაობს |

საკონკურსო პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტების) მიერ წარმოდგენილ წინადადებებზე და ფასზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 30 ოქტომბირდან დილის 10 საათიდან 2006 წლის 14 ნოემბრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის N52 (ნავსადგურის სამმართველო). ტ. 8(293) 7-01-48.

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
3. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას უპირატესობა მიენიჭება მაქსიმალური ფასის გადამხდელ პრეტენდენტს.

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ცაბაძის ქ-ის ასახვევიდან აკ. წერეთლის გამზ.-სა და გრ. რობაქიძის გამზირის დამაკავშირებელ ხიდამდე არსებული ხეების გადაბელვისა და მოჭრა-გასხვლისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: 5 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა; 9 ძირი II კატეგორიის ხის მოჭრა, 19 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა; 9 ძირი II კატეგორიის ხის გადაბელვა; 485 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა; 210 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა ხეების გადაბელვა, მოჭრა, გასხვლა და ნარჩენების გატანა.

*2*. მომსახურების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 დღე.

***3***. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 15 ნოემბრის 12 საათიდან 2006 წლის 15 ნოემბრის 17.30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

*4*. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

■ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

■ ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

■ ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 26 ოქტომბერი 12 საათიდან 2006 წლის 14 ნოემბრის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის განცხადება

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია დაინტერესებული საზოგადოებისათვის განსახილველად წარმოადგენს "ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის რეაბილიტაციის" და "მეთანის ემისიის შემცირების" (კარბონის დაფინანსება) პროექტების ფარგლებში დაგეგმილი ექვსი პრიორიტეტული უბნის, კერძოდ, 1) მენესოს მეწყერის, 2) ნანიანის მეწყერის ახალი მარშრუტის, 3) ზოტიკიანთკარის ეროზია საწინააღმდეგო ღონისძიებების, 4) მდ. არყალას გადაკვეთის, 5) 193-ე (E) კმ-ნიშნულზე კოროზირებული მილსადენის გამოცვლის და 6) მდ. გლდანულას გადაკვეთის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის მომზადებულ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების საბოლოო ასლებს. კორპორაცია აგრეთვე განსახილველად წარმოადგენს საბოლოო პროექტს "ნანიანის დამეწყრილი უბნის ახალი მარშრუტისა და სხვა გადაუდებელი სარეაბილიტაციო უბნების განსახლების სამოქმედო გეგმა".

გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების საბოლოო ასლების და "ნანიანის დამეწყრილი უბნის ახალი მარშრუტისა და სხვა გადაუდებელი სარეაბილიტაციო უბნების განსახლების სამოქმედო გეგმის" საბოლოო პროექტის საჯარო განხილვა გაიმართება დუშეთის რაიონის გამგეობის შენობაში, 2006 წლის 28 ოქტომბერს, 14 საათზე.

განსახლების სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტის ქართულ და ინგლისურ ვარიანტებს შეგიძლიათ გაეცნოთ:

ა) თბილისში - საქართველოს ნავთობის და გაზის საერთაშორისო კორპორაცია, გარემოს დაცვის დეპარტამენტი, 300 არაგველის 24, 6 სართული, ტელ. 74-82-16, ფაქსი 74-80-67, ელ. ფოსტა ES@GGIC.ge.

ბ) დუშეთში რაიონის გამგეობის შენობაში - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. 27 ტელ: 29-19-20; ბ-ნი თამაზ გუმბათაშვილი, დუშეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

დოკუმენტები განთავსებულია აგრეთვე კორპორაციის ინტერნეტ გვერდზე www.GGIC.ge.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2006 წლის 20 ოქტომბერს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "არსისისათვის" საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სალიცენზიო მასალის ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან 20 დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".


# ბრიტანული ენის დარბაზი გთავაზობთ

■ ინგლისური ენის კურსს სკოლის ასაკის ბავშვებისა და უფროსებისათვის.

■ მოსამზადებელ კურსს კემბრიჯის საერთაშორისო სერტიპიკატებისათვის (**PET, FCE, CAE, IELTS**)

■ სპეცკურსს აბიტურიენტებისათვის სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების მაკმილანის, ჰარპერ-კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უახლესი სასწავლო ლიტერეტურა

ბრიტანეთსა და ამერიკაში კურსდამთავრებული პედაგოგები უზრუნველყოფენ თქვენს წარმატებებსა და მაქსიმალურ პროგრესს..

**Good luck with your English.**

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N7
(ცეკავშირის შენობა) IV სართ. ოთახი 405
ტ. 55-21-29
ელ.ფოსტა: **british-Languaje hall@yahoo.com**

# საკონკურსო განცხადება

ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს / ემ-სი-ჯი და მისი კონტრაქტორი კომპანია C-FA-საქართველო ახორციელებენ აგრობიზნესის განვითარების პროექტს (ADA), რომლის მიზანია ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირება განვითარების გზით. პროექტი მოწოდებულია ხელი შეუწყოს რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, ფერმერებისათვის გასაღების ბაზრის ხელმისაწვდომობას.

ამ მიზნების მისაღწევად, ADA გასცემს წილობრივ გრანტებს კონკურსის წესით შერჩეული აგროსექტორში მოქმედი საწარმოებისათვის, რომელიც მიმართული იქნება წარმოების სრული ჯაჭვის შექმნისაკენ.

საკონკურსო განხილვაში მონაწილეობას მიიღებს ის საპროექტო წინადადებები, რომლებიც ზრდის დასაქმებას და ადგილს ბაზარზე რეგიონებში (თბილისის გარეთ).

**ADA პროექტი აცხადებს წილობრივი გრანტების კონკურსს შემდეგი მიმართულებით:**

**- რძისა და რძის პროდუქტების წარმოება-გადამუშავება, და მასთან დაკავშირებული მომსახურება**
**- მეფრინველეობის პროდუქტების წარმოება-გადამუშავება, და მასთან დაკავშირებული მომსახურება**

**დააფინანსდება მხოლოდ ის სიცოცხლისუნარიანი საპროექტო წინადადებები, რომლებიც სრულად შეესაბამება ADA-ს კრიტერიუმებს. აღნიშნულ კრიტერიუმებთან საპროექტო წინადადებების შეუსაბამობის შემთხვევაში, ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველო და აგრობიზნესის განვითარების პროექტი უფლებამოსილნი არიან, არ დააფინანსონ არცერთი პროექტი.**

საქართველოში მეცხოველეობისა და მეფრინველეობის სექტორი სრული საწარმოო ჯაჭვის განვითარების ფართო შესაძლებლობას გვთავაზობს. ორივე სექტორის პროდუქტი ხასიათდება შიდა მოხმარებისა და მოთხოვნის ფართო მასშტაბით, რაც ქმნის ადგილობრივი წარმოების მოცულობისა და ხარისხის ზრდისა და იმპორტის ჩანაცვლების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ორივე სექტორი უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას და პირველადი პროდუქტის შესყიდვას გადამამუშავებელი წარმოების გაძლიერებისა და საბოლოო პროდუქტის რეალიზაციის გზით.

ADA ელის ინოვაციურ საპროექტო წინადადებებს, რომელთა მიზანი მდგრადი და კონკურენტული სრული საწარმოო ჯაჭვის (პირველადი მწარმოებელი - გადამამუშავებელი - საბოლოო მომხმარებელი) შექმნაა. საპროექტო წინადადებების წარდგენა მიზანშეწონილია (თუმცა, არ არის შეზღუდული) შემდეგი მიმართულებით:

**რძისა და რძის პროდუქტების წარმოება-გადამუშავების სექტორში საწარმოო ჯაჭვის შექმნის ან არსებულის გაძლიერების მიზნით შემდეგი საქმიანობის განხორციელება:**

- ფერმერულ მეურნეობებში მერძეველობის მიმართულების გაძლერება (საკვები ბაზით უზრუნველყოფა, ჯიშთა გაუმჯობესება, სანიტარული და ვეტერინარული მომსახურების უზრუნველყოფა);
- ხარისხიანი ახალი რძის შეგროვების (რძის შემკრები პუნქტების ჩამოყალიბება) და გადამამუშავებელ საწარმოებზე მიწოდების ორგანიზება;
- რძის წარმოების გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება სანაშენე მეცხოველეობის, გენეტიკური გაუმჯობესების, ხელოვნური დათესვლის, საკვებწარმოების უზრუნველყოფის გზით.
- რძის გადამამუშავებელი/შემფუთავი ხაზების გაფართოება/მოდერნიზაცია, კონტროლის თანამედროვე სისტემების დანერგვა (ლაბორატორიული აღჭურვილობა, HACCP, IშO, GMP სერტიფიცირების სისტემები)
- ბაზარზე გასვლისა და დამკვიდრების მიზნით წარმოებული პროდუქციის მარკეტინგი და მომხმარებლისათვის მიწოდების უწყვეტი სისტემის ჩამოყალიბება.
- მარკეტინგული ღონისძიებების გაუმჯობესება თანამედროვე დაფასოების, ნიშანდების და მყდველებთან კომერციული კავშირების დამყარებით

**მეფრინველეობაში საწარმოო ჯაჭვის შექმნის ან არსებულის გაძლიერების მიზნით შემდეგი საქმიანობის განხორციელება:**

- საინკუბაციო ინფრასტრუქტურის განვითარება მაღალპროდუქტიული მეხორცული და მეკვერცხული მიმართულებების ჯიშების წარმოების სტაბილური ბაზის შექმნის მიზნით;
- ხარისხის გაუმჯობესებისათვის საკვები ბაზის განვითარება, განაწილება და რეალიზაცია;
- მეხორცული და მეკვერცხული წარმოებისათვის საჭირო გადამამუშავებელი და შესაფუთი ხაზების მოდერნიზაცია (ლაბორატორიული აღჭურვილობა, HACCP, ISO, GMP სერტიფიცირების სისტემები)
- მარკეტინგული ღონისძიებების გაუმჯობესება თანამედროვე დაფასოების, ნიშანდების და მყდველებთან კომერციული კავშირების დამყარებით

ADA შეაფასებს წარმოდგენილ საპროექტო წინადადებებს და შეარჩევს **არაუმეტეს ორი პროექტისა თითოეული სექტორის მიხედვით.**

შერჩევა მოხდება კონსკურსის წესით, ADA პროექტის შეფასების ფორმის საფუძველზე. საპროექტო წინადადებები გაივლის შერჩევის სტანდარტულ პროცედურებს:
- თანხმობა დამოუკიდებელი საგრანტო კომიტეტიდან;
- თანხმობა MCG-დან
- თანხმობა MCC-იდან.

**გრანტის მიმღები**: საქართველოში დარეგისტრირებული 100%-ით კერძო საკუთრებაში არსებული საწარმოები,

**გრანტის მოცულობა:** 50,000 - დან 300,000 ამერიკულ დოლარამდე

**თანადაფინანსების განაკვეთი:** მინიმუმ 1,5 აშშ დოლარი მოთხოვნილი თანხის 1 დოლარზე

**შერჩევის კრიტერიუმები:** საპროექტო წინადადებების შერჩევა მოხდება კონკურსის წესით, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე: პროქტის შინაარსი, მდგრადობა, დასაქმების პოტენციალი, ფერმერული პროდუქტის რეალიზაციის შესაძლებლობა, არაპირდაპირ ბენეფიციართა ფართო კონტინგენტი და განმცხადებლის პოტენციალი, ფინანსური შესაძლებლობისა და გამოცდილების ჩათვლით.

**განაცხადის შეტანა:** წარმოდგენილი უნდა იქნეს ADA-ს შევსებული განაცხადის ფორმა და დანართები; სრული ბიზნეს გეგმა წარსული ფინანსური დოკუმენტაციის ჩათვლით; სასურველია სხვა დამატებით ინფორმაციაც. შევსებული განაცხადი და ბიზნეს გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე,

განაცხადი უნდა წარმოადგინოთ აგრობიზნესის განვითარების პროექტის ოფისში.

განაცხადი ასევე შესაძლებელია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

**წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 8 დეკემბერის 18.00 საათი.**

*ფონდი ათასწლეული გამოწვევა საქართველოს / ემ-სი-ჯი*
*აგრობიზნესის განვითარების პროექტი (ADA),*
*თბილისი, თავისუფლების მოედანი ?4, 2-ე სართული,*
*ტელ: +995 32 920543/44 ფაქსი: +995 32 997851*
*ელექტრონული ფოსტა*: ada@c-fageorgia.org
www.ada.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK Piti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ორ ეტაპიან ტენდერს ნავსადგურის NN9, 10, 11 ნავმისადგომების საინჟინრო გამოკვლევისა და გამოკვლევის მასალების შემუშავებაზე.

გასაწევი მომსახურების შემადგენლობა:

მასივის კედლის წყალზედა და წყალქვეშა საინჟინრო გამოკვლევის წარმოება, ქვის საფუძველი, რომლის ფსკერის უბნის - სიგანე შეადგენს 15მ და NN9;10;11 ნავმისადგომების ზედნაშენები სიგანით 20მ და გამოკვლევის მასალების გადმოცემით.

გამოკვლევის მასალები უნდა მოიცავდეს:

1. განმარტებით ბარათს;
2. სამუშაოთა შემადგენლობას და შესრულების მოკლე მეთოდიკას;
3. კონსტრუქციულ გადაწყვეტილებას;
4. ნავმისადგომების ტექნიკურ მდგომარეობას გამოკვლევის შედეგების მიხედვით;

4.1. ნავმისადგომის კონსტრუქციის ელემენტები;
4.2. მიმდებარე აკვატორია.
5. ნავმისადგომების გეგმიური-სიმაღლეების მდგომარეობას
5.1. ნავმისადგომების კონსტრუქცია;
5.2. ამწისქვეშა გზები;
5.3. სარკინიგზო გზები;
5.4. საყრდენი ბაზისის მონიშვნა და დამაგრება ადგილზე;
6. საანგარიშო საფუძველს
6.1. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები (ძირითადი მონაცემები);
6.2. საერთო სიმტკიცის შეფასება.
7. დასკვნას;
8. გრაფიკულ მასალებს;
9.დეფექტურ უწყისებს, სარემონტო სამუშაოების მოცულობებს და საჭირო მასალათა ნუსხას, სახარჯთაღრიცხვო ანგარიშებს;
10. ფოტო და ვიდეო მასალებს.

მშენებლობის განსაკუთრებული პირობები

*. სამუშაოთა განსაკუთრებული პირობები:*

- გადამტვირთავი ტერმინალების საექსპლუატაციო მოქმედება ნავმისად-გომებზე NN9;10 და N11 ნავმისადგომზე სანავსადგურო ფლოტის მცურავი ერთეულების დგომა, მოქმედი ნავსადგურის პირობებში.
- სეისმურობა - 8 ბალი, ქარის დატვირთვა - 55 კგ/მ2, თოვლის საფარის დატვირთვა - 50 კგ/მ2, ზაფხულის საანგარიშო ტემპერატურა +270C, ზამთრის საანგარიშო ტემპერატურა - 30C, გრუნტის ბუნებრივი განლაგება - ქვიშნარიანი ლამი, მტვრისებრი ქვიშა.
- სამუშაოები შესრულდეს დამკვეთსა და შემსრულებელს შორის შეთან-ხმებული სამუშაოთა წარმოების პროგრამის შესაბამისად.

**ძირითადი ტექნიკური მახასიათებელი**

I კატეგორიის ობიექტი. NN9,10 ნავმისადგომები გაანგარიშებულ უნდა იქნას I კატეგორიის დატვირთვებზე, ნავმისადგომები კონსტრუქციულად წარმოადგენს სწორი მასივების წყობას, ქვის ნაყარის საფუძველზე და ზედნაშენით ყორე ქვის წყობით, N9 ნავმისადგომის სიგრძეა - 220 მ, N10 ნავმისადგომის სიგრძეა - 264 მ, N11 ნავმისადგომის სიგრძეა - 71 მ, NN9, 10, 11 ნავმისადგომების კორდონთან საპროექტო სიგრძეა - 8 მეტრი პორტის "0"-დან.

- მუშაობის რეჟიმი - მთელი წლის განმავლობაში, სადღეღამისო.
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (კრებსითი და ლოკალური გაანგარიშებები) შემუშავება უნდა მოხდეს საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმატიული დოკუმენტაციის მიხედვით, წარმოდგენილი დამკვეთის მიერ;
- საპროექტო დოკუმენტაციაზე სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარებასა და დამტკიცებას განახორციელებს დამკვეთი, გათვალისწინებული ტექნიკური დავალებით და საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ორგანიზაციის მოწვევით.

**2. მომსახურეობის გაწევის სასურველი ვადაა**: ხელშეკრულების გაფორმებიდან 3,5 თვე.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა", თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, კანცელარია.

**3.1** წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას

**4.1 იურიდიული პირებისათვის:**

4.1.1 ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

4.1.2 ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

4.2.1 ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

4.2.2 ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

4.3.1 მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი);

4.3.2 ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

4.3.3 უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება.

5. ტენდერში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე (დალუქულ კონვერტებში).

7. პირველადი სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 15 ნოემბრის 17:00 საათი.

8. ტენდერის პირველი და მეორე ეტაპით გათვალისწინებული საბუთების წარმოდგენის შედეგები, ტენდერში მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სატენდერო კომისიის მიერ ეცნობება წერილობითი ფორმით. საბუთების წარმოდგენიდან 5 დღის ვადაში.

9. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

12. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

13. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

14. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48, ტექნიკური მონაცემების შესახებ გენადი კაჭაროვსკი შპს "ფ.ს.ნ."-ს ჰიდროტექნიკურ და საინჟინრო ნაგებობათა სამსახურის უფროსი, ტელ: +(99599) 50-42-64; (995393)7-01-35.

# შპს "ორბელი" სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიის 2006 წლის 8 სექტემბრის №373/10 გადაწყვეტილებით ქ. ბათუმში 16XXX-19XXX (4000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ვემატელი", რომელმაც თანხმობა განაცხადა ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 202,500.00 (ორას ორი ათას ხუთასი) ლარის გადახდაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილებით "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-5 პუნქტის და "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" შესაბამისად შპს "ვემატელს" განესაზღვრა ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 30%-ს (60.750 .00 სამოცი ათას შვიდას ორმოცდაათი ლარი) გამოკლებული ბეს სახით გადახდილი 600.00 (ექვსასი ლარი) ლარი ანუ 60,150.00 (სამოცი ათას ას ორმოცდაათი ლარი) ლარის გადახდის წესი 2006 წლის 8 ოქტომბრამდე.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს "ვემატელი"-ს მიერ ერთი თვის ვადაში, 2006 წლის 8 ოქტომბრამდე, არ იქნა გადახდილი ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 30%. "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" მე-5 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად: "ერთი თვის ვადაში რესურსით სარგებლობის საფასურის 30%-ის გადაუხდელობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ასეთ შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებულს არ უბრუნდება ბე-ს სახით გადახდილი თანხა." ამავე დროს, დებულების მე-5 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, "თუ კომისიამ ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული გარემოებისას მიიღო გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ და აუქციონში ერთზე მეტი პირი მონაწილეობდა, კომისია იღებს გადაწყვეტილებას იმ პირის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ, რომელმაც აუქციონის მიმდინარეობისას დააფიქსირა აუქციონში გამოვლენილ გამარჯვებულთან შედარებით ნაკლები, მაგრამ სხვა მონაწილეებთან შედარებით მეტი თანხა, ამავე დროს კომისიის ანგარიშიდან გატანილი არ აქვს ბე-ს სახით გადახდილი თანხა ( რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის 10%).

კომისია აღნიშნავს, რომ 2006 წლის 8 სექტემბერს გამართულ აუქციონში შპს "ვემატელი"-ს გარდა მონაწილეობას იღებდნენ: სს "ტელენეტი" და შპს "ორბელი". პირველი რესურსით სარგებლობის საფასურის ოდენობა (საწყის საფასურს - 6000 ლარს + ერთი ბიჯი - 300 ლარი) დააფიქსირა სს "ტელენეტი"-ს წარმომადგენელმა, შემდეგ ასევე ერთი ბიჯი დაამატა შპს "ორბელმა"-ს წარმომადგენელმა (6300 ლარს + 300 ლარი), და ასევე ერთი ბიჯი შპს "ვემატელი"-ს წარმომადგენელმა (6600 ლარს + 300 ლარი). სს "ტელენეტი"-ს წარმომადგენელმა შემდეგი ბიჯის დასახელებამდე შეწყვიტა აუქციონში მონაწილეობა და შესაბამისად აუქციონი გააგრძელეს შპს "ორბელმა" და შპს "ვემატელმა".

შპს "ორბელის" წარმომადგენლის მიერ ბოლოს დასახელებულმა რესურსით სარგებლობის საფასურის მაქსიმალურმა თანხამ შეადგინა საწყის ღირებულებას (6000 ლარი) დამატებული 654 ბიჯი, ანუ ჯამში 202,200.00 (ორას ორი ათას ორასი) ლარი. აქვე აღსანიშნავია, რომ შპს "ორბელს" კომისიის ანგარიშიდან გატანილი არ აქვს ბე-ს სახით გადახდილი თანხა (რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის 10%).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ უარი უნდა ეთქვას შპს "ვემატელს" ქ.ბათუმში 16XXX-19XXX (4000 სააბონენტო ნომერი) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემაზე და ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულად უნდა გამოცხადდეს შპს "ორბელი".

"რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" მე-5 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ

**გადაწყვიტა:**

**1.** უარი ეთქვას შპს "ვემატელ"-ს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემაზე;

**2.** ა) გამარჯვებულად გამოცხადდეს შპს "ორბელი" ქ. ბათუმში 16XXX-19XXX (4000 სააბონენტო ნომერი) სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ აუქციონში;

ბ) უზრუნველყოს შპს "ორბელმა" ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის (202,200.00 - ორას ორი ათას ორასი ლარი) 30%-ს (60.660 .00 - სამოცი ათას ექვსას სამოცი ლარი) გამოკლებული ბეს სახით გადახდილი 600.00 (ექვსასი ლარი) ლარი ანუ 60,060.00 (სამოცი ათას სამოცი ლარი) ლარის გადახდა 2006 წლის 13 ნოემბრამდე საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

- ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსულობები (ვაკე-საბურთალო) - N200122900;
- საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი - N220101107;
- საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი - N300043018;

გ) ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის დარჩენილი 70%-ის (141,154.00 - ას ორმოცდაერთი ათას ას ორმოცდათოთხმეტი ლარი) გადახდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველივე წელს ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესით;

**3.** კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას აუქციონში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე რესურსით სარგებლობის საფასურის 30%-ის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში;

**4**. აუქციონში გამარჯვებულის მიერ წინამდებარე გადაწყვეტილებით გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებულ ლიცენიზის მაძიებლებს ბეს სახით გადახდილი თანხა (რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა 10%) არ უბრუნდება;

**5.** გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, სარაჯიშვილის №1 ა) ერთი თვის ვადაში;

# ჩინური ფაიფური თბილისში

ეკა ჩიკვაიძე

29 სექტემბერს თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიხსნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი გამოფენა სახელწოდებით "ჩინური ფაიფური". ამ ტიპის გამოფენა "ქარვასლაში" პირველად მოეწყო. გამოფენამ თითქმის ერთ თვეს გასტანა. მისი ორგანიზატორები არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, საქართველოს ეროვნული მუზეუმი და თბილისის ისტორიის მუზეუმი.

ჩინურ ფაიფურს დიდი ისტორია აქვს. ფაიფურის ტექნოლოგიის წარმოშობა ჩინეთის უძველესი კულტურის მიღწევაა და მისი ეტაპობრივი განვითარება ჩინეთის სხვადასხვა დინასტიის პერიოდს უკავშირდება.

ჩინური ფაიფურის სამშობლოდ ითვლება ჯინგდეჯენი, რომელიც იანის დინასტიის დროს აღმოცენდა და ლურჯ-თეთრი ფაიფურით იყო ცნობილი.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჯინგდეჯენის ფაიფურის ინსტიტუტის კოლექცია, თანამედროვე ავტორების მიერ შესრულებული ჯინგდეჯენის ტერიტორიაზე ნაპოვნი უძველესი ფაიფურის ნიმუშების ასლები. ასევე წარმოადგინეს თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები და ფოტოები.

ჩინური ფაიფურის გამოფენა დღეს დაიხურება, მუზეუმი კი ახალი გამოფენებისთვის დაიწყებს მზადებას.

# ფერთა პალიტრა "ვერნისაჟში"

თამთა სამსონაძე



გალერეა "ვერნისაჟის" საგამოფენო დარბაზში მხატვარ ზაქრო ფიცხელაურის მორიგმა პერსონალურმა გამოფენამ დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო 30-მდე ახალი ნამუშევარი. ზაქრო ფიცხელაური იმ მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც მოახერხეს საკუთარი ნამუშევრების საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა. პერსონალური გამოფენები ჰქონდა ჩეხეთში, რუსეთში, უკრაინაში, თურქეთში, გერმანიაში და ორჯერ საფრანგეთში.

დღეს ქართველ მხატვართა შემოქმედებაში აქტუალურია სიახლის ძიება. ზაქრო ფიცხელაურის შემოქმედება ამ მხრივაც განსხვავებული და საინტერესოა. ის არ ეძებს სიახლეებს და ტრადიციული მანერით მუშაობას ანიჭებს უპირატესობას.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია ნატურმორტები, პეიზაჟები და პორტრეტები. თემატიკა მრავალფეროვანია, თუმცა ზოგ შემთხვევაში (ძირითადად პეიზაჟებში) ერთი და იგივე პეიზაჟი სხვადასხვა რაკურსით მრავალჯერაა წარმოდგენილი. ეს არის პეიზაჟების ვრცელი სერია. მხატვარი თითქოს ცდილობს ბოლომდე ამოწუროს თემა და შესანიშნავად ახერხებს თითოეული ნამუშევრიდან სხვადასხვა განწყობა შეუქმნას მნახველს. ძირითადად გამოყენებულია ზეთის საღებავები და ჭარბობს ფერადოვანი: მომწვანო, მოყავისფრო და მოწითალო ტონები.

მხატვარი წარმოშობით თელაველია. ფერთა მდიდარი პალიტრით შექმნილი ნამუშევრები საოცარი სითბოთი გამოირჩევა. ზაქრო ფიცხელაურს აქვს ორიგინალური ხელწერა და მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური ხედვა. ნამუშევრებში ფერი და კომპოზიცია ორგანულ მთლიანობაშია გადმოცემული.

საოცრად ფერადოვანია მხატვრის თითოეული ნატურმორტი. ფერთა მკვეთრი კონტრასტით ის ახერხებს უფრო მკაფიო გახადოს საგნის ფორმა, მოცულობა და ამით ხაზს უსვამს ნახატის სტრუქტურულ ერთიანობას.

დამთვალიერებლის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთმა პორტრეტმა - ფანქრით შესრულებული "თამრიკოს" სახე განსაკუთრებული და გამორჩეულია. მხატვარი არ ცდილობს უნაკლოდ დახატოს ადამიანი და წინა პლანზე მისი ხასიათის შტრიხები გამოაქვს.

საკუთარი ნახატებივით კეთილი და გულთბილი, უდავოდ ნიჭიერი მხატვრის ზაქრო ფიცხელაურის ნამუშევრების გამოფენა "ვერნისაჟში" 6 ნოემბრამდე გაგრძელდება.




# ალ პაჩინოს კიდევ ერთი აღიარება

ალ პაჩინო ამერიკის კინოს ინსტიტუტის უმაღლეს ჯილდოს - პრემიას კინოხელოვნების სფეროში უდიდესი მიღწევებისა და წვლილისათვის მიიღებს. ამერიკის კინოს ინსტიტუტის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარემ, სერ ჰუარდ სტრინგერმა ალ პაჩინო ამერიკული კინოს ლეგენდად დაასახელა. სპეციალისტების აზრით, მსახიობის ყველაზე ცნობილ ნამუშევრად, მისი 40-წლიანი სამსახიობო კარიერის განმავლობაში, დღემდე "ნათლიმამაში" შესრულებული როლი რჩება. ალ პაჩინო 1993 წელს ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოს "ოსკარის" მფლობელი გახდა ფილმისათვის "ქალის სურნელი".იმავე წელს მსახიობი "ოსკარზე" სხვა ნომინაციაშიც იყო წარდგენილი - მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისათვის. ცნობილია, რომ ამერიკის კინოს ინსტიტუტი თავის პრემიას 35 წელიწადია გასცემს. პრემიის ლაურეატთა შორის არიან: შონ კონერი, მარტინ სკორსეზე, ელიზაბეტ ტეილორი, სტივენ სპილბერგი და სხვა აღიარებული მსახიობები.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# "სონი" "PlayStation 3"-ის გამოშვებისთვის ემზადება

Sony-ს კომპანიამ განაცხადა, რომ PlayStation-ის შემდეგი თაობის გამოშვების მზადებისას იაპონიაში Sony Playstation 2-ს ფასი 19 პროცენტით დააკლდება. სათამაშო სისტემის ახალი რეკომენდებული ფასი 16 ათას იენია (138 ამერიკული დოლარი). Sony მხარს უჭერს ღია ფინანსურ პოლიტიკას PlayStation 2-ის მიმართებაში, იმის გათვალისწინებით, რომ მაღაზიები შეძლებენ საქონლის ფასი თავად დააწესონ. 2000 წლის გაყიდვებიდან Sony-მ გაყიდა 100 მილიონზე მეტი PS2-ის გადამყვანი. შეგახსენებთ, რომ ახალი PlayStation 3 2006 წლის 11 ნოემბრიდან იაპონიაში და 17 ნოემბრიდან ევროპასა და ამერიკაში გამოჩნდება და ბაზარზე ყველაზე ძვირადღირებულ სათამაშო სისტემად იქნება მიჩნეული.

ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".

# უნიკალური მოზაიკა

ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ინტერიერში არქეოლოგებმა უნიკალურ, მე-10 - მე-11 საუკუნეების მოზაიკას მიაკვლიეს. მოზაიკა საკურთხევლის მთელ ტერიტორიას მოიცავს. თეთრი, ვარდისფერი და იისფერი, სამი ვარდული თითქმის უვნებლად არის შემორჩენილი. მასალები, იმის დასადგენად, თუ რისგან არის დამზადებული თითოეული ფერი, ლაბორატორიაშია გადაგზავნილი. ექსპედიციის ხელმძღვანელის ომარ ლანჩავას განცხადებით, მოზაიკა 1003 წლის წინაა დაგებული, ხოლო ბოლო ორი წლის განმავლობაში ბაგრატის ტაძარში ეს მესამე მნიშვნელოვანი აღმოჩენაა. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიურ ექსპედიციაში სტუდენტებიც მონაწილეობენ.

*ინტერპრესნიუსი*

# პენელოპა კრუზი უკანალს მისტირის

მსახიობმა ფსიქოლოგიური კრიზისი განიცადა, როდესაც თავის ხელოვნურ უკანალს გამოემშვიდობა. შეგახსენებთ, რომ პენელოპა კრუზმა მთავარი როლი ითამაშა პედრო ალმადოვარის ფილმში "დაბრუნება". იმისათვის, რომ 50-იანი წლების გმირისთვის მეტი პიკანტურობა მიენიჭებინათ, რეჟისორმა მსახიობს უკან სილიკონის მიკრობა ურჩია და სწორედ ასეც მოხდა. ხელოვნური უკანალით პენელოპა 6 თვე დადიოდა, მანამ ფილმის გადაღებები მიმდინარეობდა. პენელოპას განცხადებით, იგი იმდენად დაუახლოვდა თავის გმირს, რომ განიცადა ემოციური კრიზისი, როდესაც სილიკონთან მოუწია დაშორება.



"მე არ შემეძლო გადაღებები დამეტოვებინა. არც ის მინდოდა, რომ ჩემი ყალბი უკანალი გადაეღოთ. ეს ემოციური კავშირი იყო. ორი თვის განმავლობაში თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. ეს აუტანელი იყო" - განუცხადა კრუზმა კინოფესტივალზე მყოფ ჟურნალისტებს ტორონტოში, სადაც ფილმის პრემიერაზე ჩაფრინდა.

## სიახლე!

## ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

მის. ი. ჭავჭავაძის 78

დავით ტატიშვილის აღდგენითი

მედიცინის ცენტრი
ტელ: 293 -292
(899) 222 - 912
(893) 65 38 39

## "მარადიული ასორტიმენტი: ჭეშმარიტების გამხმარი პური და სიცრუის ფუნთუშა"

5 ნოემბერს 20 საათზე

კულტურულ-საგანმანათლებლო საერთაშორისო კავშირი "რუსული კლუბი" და რუსული კულტურის ცენტრი საქართველოში თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის სცენაზე წარმოადგენს ცნობილი რუსი მწერალ-სატირიკოსისა და ტელესცენარისტის ვიქტორ შენდეროვიჩის შემოქმედებით საღამოს.

ბილეთების შეკვეთა თეატრის სალაროებში. მისამართი: რუსთაველის 2

ტელ: 93 11 06, 93 43 36

## ჯანმრთელობის სერვისების მენეჯერების ტრენინგის
# განცხადება

**1. შესავალი**

საქართველოს მთავრობა ახორციელებს ჯანმრთელობის სისტემის რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, მოქალაქეების ფინანსურ დაცვას და ჯანმრთელობის სერვისების მაქსიმალურ მისადაგებას მოსახლეობის მოთხოვნებზე. ამის მიღწევა შესაძლებელია ხელმისაწვდომობის და სერვისების უტილიზაციის გაზრდით მთელი მოსახლეობისათვის (და განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობისათვის), მომსახურების ხარისხის, სერვისების წარმოების ეფექტურობის და ასევე მომხმარებლის და მიმწოდებლის კმაყოფილების მიღწევით.

საჭირო ადამიანური რესურსების გადამზადების ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ჯანმრთელობის სერვისის მენეჯერების კონტინგენტის შექმნა, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისა და საავადმყოფოების მართვაზე თანამედროვე მენეჯერული კრიტერიუმების შესაბამისად.

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის პროექტი, რომელსაც დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის დაფინანსებით ახორციელებს ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფი დახმარებას უწევს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტროს ამ მიმართულებით. რეფორმის პროცესის ტექნიკური დახმარების სხვა ელემენტებთან ერთად ოქსფორდის პოლიტიკის მართვის ჯგუფი ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის სერვისის მენეჯმენტის ტრენინგის პროგრამას.

ტრენინგს კოორდინაციას გაუწევს ქართველი და უცხოელი ექსპერტებისაგან შემდგარი ჯგუფი. ეს ტრენინგის უნარ-ჩვევების თანმიმდევრული გადაცემის საშუალებას მოგვცემს და უზრუნველყოფს პროგრამის საქართველოს რეალობასთან უკეთ ადაპტაციას.

**2. მიზანი**

კურსი მიზნად ისახავს აღჭურვოს კურსდამთავრებულები ჯანმრთელობის სერვისებში მენეჯმენტის თეორიების, მცნებების, მიდგომების და ტექნიკის გამოყენების უნარით საქართველოს ჯანმრთელობის სისტემის რეფორმის კონტექსტში.

წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ სერტიფიკატი.

**3. შინაარსი**

მენეჯმენტის კურსი შედგება 600 საათისაგან (20 კვირა). პირველი სეგმენტი დაფარავს ზოგადი მენეჯმენტის საკითხებს. ეს სეგმენტი საერთო იქნება ყველა მონაწილესათვის. მეორე და მესამე სეგმენტები მიზნად ისახავს პირველ სეგმენტში განხილული საკითხების შემდგომ განვითარებას და დახვეწას. მეორე და მესამე სეგმენტის პროგრამა განსხვავებული იქნება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების, საავადმყოფოების და სამთავრობო დაწესებულებების მენეჯერებისათვის. პირველად ჩატარდება 1 სეგმენტი (6 კვირა) და პროგრამის დანარჩენი ნაწილი მიწოდებული იქნება მოგვიანებით.

**4. ტრენინგის თარიღი და ადგილი**

ტრენინგის პირველი ფაზა (სეგმენტი 1) დაიწყება ნოემბრის შუა რიცხვებში და გასტანს დეკემბრის ბოლომდე.

ადგილი: ტრენინგი ჩატარდება თბილისში

სამიზნე რეგიონები: ტრენინგის პირველი ფაზა გამიზნული იქნება აჭარის, იმერეთის და კახეთის რეგიონებისათვის. სხვა რეგიონების მოცვა მოხდება შემდეგ ტრენინგებში.

**5. განაცხადის შემოტანა**

დაინტერესებულ კანდიდატებს მოეთხოვებათ აპლიკაციის გამოგზავნა (გთხოვთ შეავსოთ თანდართული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც შეგიძლიათ აიღოთ ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან იხილოთ ვებ-გვერდები: www.opm.ge; www.jobs.ge; www.humanresource.ge):

მენეჯმენტის ტრენინგის პროგრამა, OPM
ოთახი 209, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამინისტრო
30, გამსახურდიას (პეკინის) გამზირი,
0160, თბილისი
ფაქსი: 995 32 387904
ელ-ფოსტა: mtraining@opm.ge
განაცხადების შემოტანა ასევე შეიძლება პირადად ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.
განაცხადების შემოტანის საბოლოო ვადაა **2006 წლის 29 ოქტომბერი**

აპლიკაციები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

***ა. განათლება***
ა.1 დიპლომი მენეჯმენტში, ეკონომიკაში ან მედიცინაში
ა.2 სასურველია დიპლომის შემდგომი სპეციალიზაცია
ა.3 სასურველია ინგლისური ენის ცოდნა

***ბ. გამოცდილება***
ბ.1 საქართველოში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის სულ მცირე 2 წლიანი გამოცდილება
ბ.2 სასურველია კახეთის, იმერეთის ან აჭარის რეგიონის ჯანმრთელობის სისტემაში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება

**გ. არაპროფესიული მოთხოვნები**
გ.1 ასაკობრივი შეზღუდვა 55 წელი
გ.2 კახეთის, იმერეთის ან აჭარის მცხოვრები (სურვილი გაქვთ მოთხოვნის შესაბამისად ტრენინგის დასრულების შემდგომ იმუშავოთ ამ რეგიონებში)
გ.3 ცვლილებებისადმი დადებითი დამოკიდებულება, მოქნილობა, ადაპტაციის უნარი, და ინიციატივის და ინტერესის დემონსტრირება
გ.4 გუნდში მუშაობის სურვილი
გთხოვთ თან დაურთოთ აპლიკაციაში მოთხოვნილი დიპლომების ასლები.

**6. შერჩევის პროცესი**

აპლიკაციების გადარჩევა მოხდება შემდეგი პროცესის შესაბამისად

■ დოკუმენტაციის მიმოხილვა და კანდიდატების გამოცდილება განსაზღვრავს მათ შესაძლო დაშვებას შემდგომ ეტაპზე
■ ინტერვიუზე და ტესტირებაზე მოსაწვევად შეირჩევა 40 კანდიდატი. (ინტერვიუს ადგილი და თარიღი ეცნობებათ კანდიდატებს აპლიკაციაში მითითებულ ტელეფონზე ან ელ-ფოსტაზე)
■ 20 შერჩეული კანდიდატის სია გამოქვეყნდება OPM-ის ვებ-გვერდზე

აპლიკანტებს, რომლებიც არ იქნებიან შერჩეული, მიეცემათ 1 კვირიანი ვადა დასაბუთებული საჩივრის შემოსატანად.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 995 32 387904
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არასრული განცხადებები არ იქნება განხილული.

## ჩვენ მივდევთ დროს!

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი**

## გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

**ულტრათანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის**

■ სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.
■ ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.
■ უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.
■ რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.
■ მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.
■ ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.
■ აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.
■ ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.
■ კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.
■ ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.
■ აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.
■ წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.
■ სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.
■ ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში
■ ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.
■ ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.
■ შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

**თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8**
**ტელეფონი: 91 31 19, 91 32 42**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## რაჭველებს ყურძენი კახელებზე უკეთ ეყიდებათ

B4

### Aston Martin-მა VIP-პერსონებს ორი ახალი ავტომობილი წარუდგინა

კომპანია Aston Martin-მა სპეციალურად 300-მდე VIP-სტუმრისთვის ორი ახალი ავტომობილის დახურული პრეზენტაცია მოაწყო. Forbes-ის ინფორმაციით, საპატიო სტუმრებს შორის Aston Martin-ის ავტომობილის ყველაზე გავლენიანი და მდიდარი მფლობელები, პოტენციური მყიდველები და დილერული კომპანიების წარმომადგენლები იყვნენ. პრეზენტაციაზე ბრიტანულმა საავტომობილო კომპანიამ უახლესი Vantage Roadster-ი და სპორტული კუპე - Aston Martin DBS-ი წარმოადგინა.

ამ ავტომობილების მსოფლიო პრემიერა 2007 წლის დასაწყისში დეტროიტის ავტოშოუზე შედგება.

სპორტული კუპე DBS-ი მოდელ DB9-ის ბაზაზეა შექმნილი. ამ სერიული მოდელისგან ახალი ავტომობილი ბევრად უფრო აგრესიული დიზაინის ძარით, ექსკლუზიური სალონით, მძლავრი ძრავით და სპორტული დაკიდების სისტემით განსხვავდება. მისი სერიული მოდელები გაყიდვაში 2007 წლის მეორე ნახევრიდან გამოვა.



### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3172 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9923 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4739 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7405 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8127 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1156 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2926 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3038 |
| 1 | ევრო | EUR | 2,1812 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,3946 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3347 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1784 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1456 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2525 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1891 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2532 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4060 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5396 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1248 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3464 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3186 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2604 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5635 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6170 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0646 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1043 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4559 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5131 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4127 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4478 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8286 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0200 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1362 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4480 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2372 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3710 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0770 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2202 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2236 |




# ხორბლის დეფიციტის საფრთხე და რუსეთის ალტერნატივა

## რუსულ ხორბალს ყაზახური და უკრაინული მარცვლეული ჩაენაცვლება

ნინო ნატროშვილი

*საქართველოში ხორბლის ორი თვის მარაგი დარჩა. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აცხადებს, რომ ქვეყნის ხორბლით მომარაგების საკითხი მალე გადაიჭრება. ხორბლის თემა, რუსული ემბარგოს შემდეგ, მთავრობის სხდომის მსჯელობის საგანი პირველად გახდა.*
*საგულისხმოა, რომ საქართველოში ხორბლის იმპორტის 70 პროცენტი რუსეთიდან ხორციელდებოდა. მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანასთან სატრანსპორტო ბლოკადა შეიქმნა, ბაზარზე ხორბლის დეფიციტის საფრთხე გაჩნდა.*



B2

# ქაფშიის გამო საპროტესტო აქციებით იმუქრებიან

## ხელისუფლების გადაწყვეტილებას ბიორესურსები ეწირება

ემზარ დიასამიძე

*გარემოს დაცვის სამინისტრომ შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მოსაპოვებლად აუქციონი გამოაცხადა. ლიცენზია 10 წლის ვადით იყიდება. ბიზნესმენების აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ დრაკონული გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ადგილობრივი ბიზნესმენები ათწლიან ლიცენზიას წინასწარ ვერ იყიდიან. მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება შავი ზღვის შელფს ძარცვისთვის უცხოელებს აძლევს.*





B2

# მადიარების ქვეყანას ინვესტორები ტოვებენ

ამბროსი გრიშიკაშვილი
*კრაკოვიდან*

*ვიდრე უშუალოდ მთავარ თემაზე დავიწყებდეთ საუბარს, გავიხსენოთ არცთუ შორეული ტრაგიკული ამბები, რომლებსაც 1956 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში უნგრეთში (ბუდაპეშტში და სხვა ქალაქებში) ჰქონდა ადგილი.*
*1956 წლის ოქტომბერში, სოციალისტური სისტემის რეფორმირების და განახლების მოთხოვნით, მთელი უნგრეთი ქუჩაში გამოვიდა. ამის საპასუხოდ საბჭოთა კავშირმა ქვეყანაში ჯარები შეიყვანა და აჯანყება სისხლში ჩაახშო. ამ გამოსვლებს 2000-დან 3000 კაცამდე ემსხვერპლა. დაიჭრა 25 ათას ადამიანამდე. მხოლოდ ბუდაპეშტში 4 ათასზე მეტი სახლი დაინგრა. შემდეგ დაიწყო რეპრესიები, რომელიც 10 წელზე მეტხანს გაგრძელდა. სასამართლოს წინაშე წარდგა 26 ათასი უნგრელი, რომელთაგანაც 22 ათასმა სხვადასხვა სახის სასჯელი დაიმსახურა, ხოლო 500 ადამიანს სასიკვდილო სასჯელი გამოუტანეს.*
*ამ ამბების შემდე ქვეყანა დატოვა 200 ათასზე მეტმა უნგრელმა, რომელთაგან, ამნისტიის შემდეგ, მხოლოდ 17 ათასი დაბრუნდა უკან, სამშობლოში.*




B3

## სოფლის მეურნეობის სამინისტროში საკადრო ცვლილებები მზადდება

გუშინ, მთავრობის სხდომაზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულებაში შესატანი ცვლილებები განიხილეს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, დებულებაში შესატანი ცვლილება სამინისტროს შიგნით საკადრო ცვლილებებს ითვალისწინებს, რომელიც უახლოეს ხანებში განხორციელდება და ეს სამინისტროსთვის მეტად "უმტკივნეულო" პროცესი იქნება. მასში თავად სამინისტროს შიგნით არსებული უწყებების შერწყმა არ იგულისხმება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ზურაბ ნოღაიდელი მინისტრების ირანში ვიზიტს დადებითად აფასებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ირანში ენერგეტიკის მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტს დადებით შეფასებას აძლევს და მიაჩნია, რომ ამ ვიზიტით საქართველომ ენერგომომარაგების პრობლემა გადაჭრა. "მინისტრების ირანში ვიზიტისას უმნიშვნელოვანესი შეთანხმება მოხდა და საქართველოს ენერგომომარაგების პრობლემების მოსაგვარებლად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. უკვე ცნობილია, რომ ზამთარში, საჭიროების შემთხვევაში, დენს ირანიდან მივიღებთ. მართალია, ამ ეტაპზე მოლაპარაკებები გაზთან დაკავშირებით არ დასრულებულა, თუმცა მიმაჩნია, რომ ყველაფერი კარგად იქნება და საქართველო ირანულ გაზს სულ მალე მიიღებს," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ღვინის და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენისთვის რეგისტრაცია დაიწყო

ღვინის და სპირტიანი სასმელების ყოველწლიურ საერთაშორისო გამოფენაში "ProWein" მონაწილე კომპანიების რეგისტრაცია დაიწყო. გამოფენა 18-20 მარტს გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გაიმართება. "ProWein" მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი სპეციალიზირებული გამოფენაა ღვინისა და სპირტიანი სასმელების სფეროში. არც ერთი სხვა გამოფენა არ გვაძლევს საშუალებას, ასე ყოვლისმომცველად გადავხედოთ მთელი მსოფლიოს ღვინისა და სპირტიანი სასმელების წარმოებას. გამოფენაზე წარმოდგენილნი იქნებიან როგორც ევროპის ცნობილი ტრადიციული ღვინის მწარმოებელი ქვეყნები, ასევე მწარმოებლები აღმოსავლეთ ევროპიდან და სხვა კონტინენტებიდან. გასულ წელს გამოფენაში მონაწილეობა 28 500 ღვინის სპეციალისტმა მიიღო," - განაცხადეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ჯერჯერობით უცნობია, ქართული ღვინის რომელი კომპანიები მიიღებენ გამოფენაში მონაწილეობას. რეგისტრაციის ვადა 20 მარტამდე გაგრძელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს პარლამენტში ბიზნესის დღე აღინიშნა

საქართველოს პარლამენტის რუსთაველის სახელობის დარბაზში, გუშინ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტმა, საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობით, გამართა ფორუმი სახელწოდებით "ბიზნესის დღე პარლამენტში". ფორუმს პარლამენტის, საქართველოს ბიზნესმენთა ასოციაციის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა და დისტრიბუტორთა ასოციაციის, ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პარლამენტის ინფორმაციით, ფორუმი იმ პროექტის ნაწილია, რომელიც სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაზეა ორიენტირებული. ბიზნესსაბჭო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ინიციატივით დაარსდა. საბჭო პარლამენტსა და კერძო სექტორს შორის კონსტრუქციულ და აქტიურ თანამშრომლობას უწყობს ხელს. ბიზნესგარემოს განვითარების ხელშეწყობაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს ჯემალ ინაიშვილს და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი კოვზანაძეს ჯილდო გადაეცა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ირაკლი ჩოგოვაძე – ღვინის სექტორში ინვესტირება გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ ღვინის მწარმოებელი კომპანია "ბადაგონის" ოფიციალურ მიღებაზე განაცხადა, რომ საქართველოში ღვინის სექტორში ინვესტიციების განხორციელება გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. ჩოგოვაძის განცხადებით, რუსული ბლოკადის პირობებში საქართველოში ღვინის ახალი ქარხნები შენდება და სექტორში უცხოური ინვესტიციები ხორციელდება. ქართულ-იტალიური კომპანია "ბადაგონის" ოფიციალურ მიღებას, რომელიც სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" სამშაბათს გაიმართა, საქართველოს მთავრობის და პარლამენტის წევრები, საზოგადოების, ბიზნესწრეების წარმომადგენლები, უკრაინიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები ესწრებოდნენ. უკრაინიდან ჩამოსულ დელეგაციაში ჟურნალისტები, უმაღლესი რადას დეპუტატები და ბიზნესმენები შედიან. ღვინის კომპანიამ "ბადაგონი" გუშინ ევროპული სტანდარტების შესაბამისი ღვინის ქარხანა კახეთში, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში საზეიმოდ გახსნა. საზეიმო ცერემონია ალავერდის ტაძარში დაიწყო, სადაც კომპანიის დახმარებით ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ღვინის მარანი გაიხსნა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ფინანსთა სამინისტრო საგარეო ვალის მომსახურებას იწყებს

ფინანსთა სამინისტრო საგარეო ვალის მომსახურებას იწყებს და ამ მიზნით 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებები შევა. როგორც ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილი განმარტავს, საქართველოს ავსტრიის საგარეო ვალი - 75 მილიონი ევრო მართებს, რომელსაც წელს გადაიხდიან. "ავსტრიის 75 მილიონი ევრო გვმართებს, თუმცა ავსტრიის ხელისუფლებამ გარკვეული "დისკაუნტი" გაგვიკეთა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ 22,5 მილიონი ევროს გადავიხდით. 13,5 მილიონი ევრო, რომელიც ავსტრიაში საერთო ანგარიშზე იდო, ჩვენს ვალში გაიქვითება. კონტრაქტის თანახმად, "შერატონ მეტეხი პალასის" ანგარიში ავსტრიაში იყო გახსნილი და სწორედ ამ ანგარიშიდან გახდება შესაძლებელი თანხის გაქვითვა. თავის დროზე ავსტრიის ვალი სწორედ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" მშენებლობის გამო წარმოიშვა," - აცხადებს ფინანსთა მინისტრი. შეგახსენებთ, რომ 90-იანი წლებიდან საქართველომ ყოველწლიურად 2,5 მილიონი ევროს გადახდა ვერ შეძლო და ამიტომ ავსტრიის საგარეო ვალი 75 მილიონ ევრომდე დაგროვდა. როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, ვალს გარკვეული "დისკაუნტებით" წელს გადაიხდიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ქაფშიის გამო საპროტესტო აქციებით იმუქრებიან

პირველი გვერდიდან

შავი ზღვის შელფი საქართველოს უმდიდრეს რესურსს წარმოადგენს. თუმცა, ბიორესურსებსა და, საერთოდ, საზღვაო საკითხს ქართულ ცნობიერებაში, ჯერჯერობით, უმნიშვნელო ადგილი უკავია.

მეცნიერი მაია შავლაყაძე შავი ზღვის ბიორესურსების საკითხზე წლების განმავლობაში მუშაობდა. იგი "ზღვის, ტბებისა და ბიომრავალფეროვნების" სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დოცენტი იყო (ამჟამად გაუქმებული ინსტიტუტი "მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრს" მიუერთეს). "ზევრ ქვეყანაში თევზჭერა ომის მიზეზიც კი გამხდარა. საქართველოს მთავრობა კი, სამწუხაროდ, ჩვენი უნიკალური სიმდიდრის ძარცვის საქმეში ყოველთვის უცხოელებს უწყობდა ხელს. ქვეყანას არ გააჩნია სათევზმეურნეო, ეკოლოგიური და ეკონომიკური პოლიტიკა," - აცხადებს შავლაყაძე.

შავ ზღვაში სარეწაო მნიშვნელობა ქაფშიას აქვს. იგი ზამთარში გუნდებად იკვრება და სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირთან, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში იზამთრებს. კომუნისტურ პერიოდში ქაფშიას მხოლოდ 40%-ის დაჭერა იყო ნებადართული. "სამინისტრომ ათწლიან ლიცენზიაზე გამოაცხადა აუქციონი, რაც არასწორია. აუქციონში გამარჯვების დიდი შანსი უცხოელებს აქვთ. ზღვის ეკოლოგია და ბიორესურსები განუწყვეტელი შესწავლის საგანი უნდა იყოს, რაც ამიერიდან აღარ მოხდება. თუ მარაგი დაიკლებს, კვოტას უნდა დაუწიო. ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა შავი ზღვის ბიორესურსებს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს," - აცხადებს შავლაყაძე.

თევზის ფქვილი ძალიან მდიდარია პროტეინით (ცხოველური ცილით). მეწარმე ნოდარ თედორაძეს კი თავის საწარმოში ქაფშიის ნედლეულიდან 2 ათასი ტონა თევზის ფქვილის მიღება შეუძლია: "1 კილოგრამი თევზისაგან 10% ზეთსა და 25% ფქვილს ვიღებთ. მსოფლიო ბაზარზე ტონა ფქვილი 1300 დოლარი ღირს, ჩვენთან დამზადებული - 900 დოლარი".

თევზის ფქვილისაგან მეთევზეობის, მეღორეობისა და მეფრინველეობისთვის კომბინირებული საკვები მზადდება. "ჩვენს მეწარმეებს კომბინირებული საკვები საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. კილოგრამი საკვები იქ დოლარზე მეტი ღირს. თუკი ჩვენ თავად ვაწარმოებთ, ფასი 20%-ით დაიკლებს," - ამბობს თედორაძე. მისივე ინფორმაციით, ქაფშიას მოპოვებას საქართველოში, ძირითადად, უცხოური ფირმები აწარმოებენ და ნედლეულიც საზღვარგარეთ გააქვთ.

იხტიოლოგ რეზო გორაძის თქმით, "ჩვენში თევზსაშენი მეურნეობების მოწყობის დიდი პოტენცია არსებობს. შეიძლება, კალმახი, ორაგული, ზუთხი და სხვა სახეობა ვაწარმოოთ. მათზე ევროპაში დიდი მოთხოვნილება და მაღალი ფასებია". გორაძის ინფორმაციით, შიგა წყლებში, ამჟამად, კალმახის ჯიშის 1500 ტონამდე თევზი იწარმოება. თუკი ადგილზე მისი საკვები ბაზა იქნება, ეს ციფრი ასჯერ გაიზრდება, რაც მილიარდ დოლარზე მეტ მოგებას მოუტანს ქვეყანას.

სახელმწიფო პოლიტიკით უკმაყოფილონი არიან თევზსაჭერის ფლოტშიც. ბათუმის მეთევზეთა კოლმეურნეობამ გასულ წელს ორი ხუთასტონიანი ლოტი შეისყიდა, მაგრამ თევზი არ დაუჭერია. "56 ათასი ლარი ბიუჯეტში შევიტანეთ. წელს ამ ფულს აღარ გვითვლიან. რაც შეეხება ლიცენზიის 10 წლის ვადით გაყიდვას, წინასწარ ამ თანხას ქართველი მეწარმეები ვერ გადაიხდიან," - აცხადებს საწარმოს ხელმძღვანელი ზაურ შერვაშიძე.

უცხოური თევზსაჭერი გემების შემოყვანის საწინააღმდეგო არგუმენტად თევჭერის კონტროლის თვალსაზრისით არსებული პრობლემაც სახელდება. თევზჭერას შავი ზღვის კონვენციური ინსპექცია აკონტროლებს, მაგრამ მას მხოლოდ ერთი კატარღა აქვს. კონვენციის მთავარი სპეციალისტის, რამაზ მიქელაძის განცხადებით, ამ სფეროში ბევრი პრობლემებია: "შარშან თევზჭერაზე აუქციონის გამოცხადებამ გაამართლა. ტონა ქაფშია 25 ლარი ღირდა. დაგეგმილი 500 ათასის ნაცვლად, ბიუჯეტში 2 მილიონი ლარი შევიდა. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა დაიცვას ადგილობრივი მეწარმეების ინტერესები. შარშან თევზჭერის ნორმების დარღვევის ორი სერიოზული ფაქტი გამოვლინდა, თურქულმა ფირმებმა უკანონოდ სცადეს ძვირფასი ჯიშის თევზის გატანა."

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ლიცენზირების სამსახურის ხელმძღვანელის დავით მაჭავარიანის განცხადებით, ადგილობრივი მეწარმეების უფლებები დაცული იქნება: "ადგილობრივ მეწარმეებს შეღავათები დავუწესეთ. ადგილობრივ გემებს ლიცენზიის მფლობელები თავიანთი კვოტიდან 10%-ს აძლევენ. ეს, ფაქტობრივად, ჩუქებაა - ისინი არანაირ გადასახადს არ იხდიან. ამასთან, აუქციონში მონაწილეობა და, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში თევზჭერის უფლება მხოლოდ საქართველოში დარეგისტრირებულ გემებს მიეცემათ. ლიცენზიის მფლობელმა დაჭერილი თევზის 2/3 საქართველოში უნდა გადაამუშაოს."

გარემოს დამცველთა გადაწყვეტილებას მეთევზეთა მეურნეობაში აპროტესტებენ: "ფოთის მეთევზეებმა გვითხრეს, რომ საპროტესტო აქციებს იწყებენ. მათ ჩვენც შევუერთდებით. აუქციონში გამარჯვებული ფირმები არაფერს არ დაგვითმობენ. ეს ქართული მეთევზეობის დასამარებაა."

# ხორბლის დეფიციტის საფრთხე და რუსეთის ალტერნატივა

პირველი გვერდიდან



"ბოლო 20-25 დღის განმავლობაში ხორბლის იმპორტირების პრობლემა შეიქმნა, რის მოგვარებაზეც ყველა სათანადო სამსახური მუშაობს. მომავალ კვირაში კი ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე ყაზახეთსა და აზერბაიჯანში გაემგზავრება და ხორბლის შემოტანის საკითხზე მოლაპარაკებებს გამართავს," - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გუგუშვილმა "24 საათს" განუმარტა, რომ "ქვეყანაში ხორბლის მარაგების კუთხით კრიზისული სიტუაცია არ არსებობს. ამ ეტაპზე მარაგის სახით 70 ათასი ტონა ხორბალი არსებობს, რასაც ადგილობრივი ბაზარი ორ თვეში აითვისებს" . რაც შეეხება ხორბლის იმპორტის საკითხს, რუსეთიდან იმპორტირებულ ხორბალს ყაზახური და უკრაინული ჩაენაცვლება. თვის ბოლომდე საქართველოში დაახლოებით ათი ათასი ტონა ყაზახური ხორბალი შემოვა. განიხილება ხორბლის იმპორტის პერსპექტივა რუმინეთიდან და კანადიდან. ამ ეტაპზე იტვირთება 8 ათასი ტონა ამერიკული ხორბალი. რაც შეეხება ადგილობრივ პროდუქტს, ამ ეტაპზე აღებულია 140 ტონა ხორბალი, საიდანაც 50 პროცენტი არის სასურსათო მოხმარების. ეს მოცულობა ადგილობრივ ბაზარზე გაჩენილი მოთხოვნის მხოლოდ 15-20 პროცენტს აკმაყოფილებს.

ხორბლის მოსავალი წელს საქართველოში დაახლოებით 50 ათასი ტონით შემცირდა. გასულ წელს ქვეყანაში 200-210 ათასი ტონა მარცვლეულის მოსავალი მიიღეს, წელს კი ეს მაჩვენებელი 140 ათას ტონას გაუტოლდა. აქედან მხოლოდ 50 პროცენტია სასურსათო ხორბალი. მაგრამ წელს ხორბლის მოსავალი ხარისხით ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე გასულ წლებში. ადგილობრივი რესურსი წლიური მოხმარების მხოლოდ 20 პროცენტია. არადა, სხვადასხვა გათვლებით, ქვეყანაში ხორბლის წლიური მოხმარება 750 ათასსა და 800 ათას ტონას შორის მერყეობს.

იმ ფონზე, რომ მსოფლიოში წელს, შარშანდელთან შედარებით, ხორბლის მოსავალი 30-40 პროცენტით არის შემცირებული, ხოლო მოთხოვნა - თითქმის 25 პროცენტითა გაზრდილი (წელიწადში დაახლოებით 110 მილიონი ტონა), ქართველ მეწარმეებს ამ მარცვლეულის შეძენა შედარებით გაზრდილ ტარიფებით უწევთ.

. ქართული-რუსული ურთიერთობების დაძაბვის შემდეგ, ქვეყანაში რუსული ხორბლის იმპორტი მთლიანად შეჩერებულია. არადა, რუსული ხორბლის წილი ამ მარცვლეულის მთლიან იმპორტში 60 პროცენტზე მეტი იყო. მარტივი შედარებისთვის: მიმდინარე წლის 8 თვეში ქვეყანაში 355 ათასი ტონა ხორბალი შემოვიდა, აქედან 277 ათასზე მეტი რუსეთიდან იყო იმპორტირებული.

ქართველი მეწარმეების პარალელურად, აქტიურობას იწყებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ე.წ. სახელმწიფო რეზერვების შესავსებად. ხორბლის სახელმწიფო მარაგი, ძირითადად, სხვადასხვა სახელმწიფოებიდან მიღებული ჰუმანიტარული ტვირთებით შეივსება.

რაც შეეხება მაღალ ფასს, თუკი ქართულ ბაზარზე 1 ტონა ფქვილის ფასი საშუალოდ 520-530 ლარის ფარგლებში მერყეობდა, დღეს ის 600 ლარამდეა გაზრდილი. თავის მხრივ, წისქვილკომბინატის მესაკუთრეები ფქვილის ფასის გაზრდას მსოფლიო ბაზარზე გაძვირებული ხორბლით ხსნიან. ამიტომ პურპროდუქტების გაძვირება დეფიციტური ბაზრის ფონზე კანონზომიერია. თუმცა ამ საქმის ექსპერტები აცხადებენ, რომ ხორბლის ახალი პარტიების იმპორტირების შემდეგ სამომხმარებლო ბაზარზე პურზე ფასი აღარ გაიზრდება.

# რუსეთში ქართული რესტორნები და კაზინოები ისევ მუშაობს

გაზეთ "ვედომოსტის" ცნობით, რუსეთში ქართულ ბიზნესთან ბრძოლა შესუსტდა. დახურული კაზინოების უმეტესობა უკვე მუშაობს. იგივე წყარო იუწყება, რომ ანტიქართული კამპანიის "დამუხრუჭებასთან" დაკავშირებით იმპულსები ზედა ეშელონებიდან - კრემლიდანაც და შედარებით ქვემდგომი ორგანოებიდანაც იყო. "ვედომოსტი" წერს, რომ ქართველმა ბიზნესმენებმა რუსულ მილიციასთან საერთო ენა იპოვეს.

კაზინოები "გოლდენ პალასი" და "გოლდენ პალას ვიქენდი", რომლებიც რუსეთის შსს-ს ეკონომიკური უსაფრთხოების დეპარტამენტმა დახურა, მხოლოდ რამდენიმე დღე იყო უმოქმედოდ. სავაჭრო-გასართობი ცენტრი "კრისტალი", ცენტრის თანამშრომლის თქმით, უახლოეს დღეებში გაიხსნება. სასტუმრო "კოსმოსის" კაზინოს ადმინისტრატორის განცხადებით, კაზინო გახსნილია და სრული დატვირთვით მუშაობს. თუმცა, ეკონომიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენელი ალექსანდრე ვორობიოვი "ვედომოსტისათვის" მიცემულ კომენტარში ამბობს, რომ აღნიშნული კაზინოები არ უნდა ფუნქციონირებდეს და, თუ ისინი მუშაობენ, ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება გახლავთ.

არბატზე მდებარე რესტორანი "გენაცვალე" მხოლოდ ერთი დღე-ღამის განმავლობაში იყო დაკეტილი. სანკტ-პეტერბურგში, კომპანია "კონტის" კუთვნილი სამი კაზინო ასევე 24 საათის განმავლობაში იყო გაჩერებული. "ვედომოსტი" წერს, რომ ასევე შემცირდა დეპორტირებული ქართველების რიცხვიც - უკანასკნელი თვითმფრინავი მოსკოვიდან თბილისის მიმართულებით ერთი კვირის წინ გაფრინდა და დეპორტირებულების საერთო რაოდენობამ 800 ადამიანი შეადგინა. მისივე ინფორმაციით, აკრძალვები ისევ მოქმედებს საქართველოსთან სატრანსპორტო და საფოსტო გადაზიდვებზე.

**24 საათი**

## ოპერაცია ერაყში აშშ-ს 2 ტრილიონი დოლარი დაუჯდება

აშშ-ს ხარჯებმა ერაყის ოპერაციისათვის შეიძლება 2 ტრილიონ დოლარს მიაღწიოს - ასე ფიქრობენ მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები.

გამოკვლევა ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯოზეფ სტიგლიცმა და ჰარვარდის უნივერსიტეტის სპეციალისტმა ლინდოი ბილმესმა ჩაატარეს. სტატისტიკაში ჩართულია როგორც ომის პირდაპირი ხარჯები, აგრეთვე მის მიერ გამოწვეული მაკროეკონომიკური და სოციალური ზარალი აშშ-ში.

ასე რომ, ამერიკის ჯარების ერაყში ყოფნის თითოეული წუთი ქვეყნის ბიუჯეტს უკვე 380 ათასი დოლარი დაუჯდა. სავარაუდოდ, ეს თანხა კიდევ უფრო გაიზრდება.

## მსოფლიოს ბაზრებზე ნავთობის ფასი იზრდება

ნავთობზე ფასების ზრდა მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე გრძელდება. დღეს ლონდონის საერთაშორისო სანავთობო ბირჟაზე ერთი ბარელი ნავთობი 60,13 დოლარი ჯდება.

ამ დროისათვის ნიუ-იორკის ბირჟაზე ელექტრონულ ვაჭრობაში ბარელი 59,55 დოლარი ღირს. აქ ფასმა 20 ცენტით მოიმატა. გასულ ხუთშაბათს დაწყებული ნავთობზე მოთხოვნის კლების ტენდენცია სამშაბათს საპირისპიროსკენ შეიცვალა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გაერთიანებული არაბეთის ემირატების სახელმწიფო კომპანიამ "ნაციონალურმა კორპორაციამ" ნავთობის მოპოვების 5 პროცენტით შემცირების შესახებ განაცხადა. ეს პირველი სიგნალი იყო ბაზარზე ოპეკ-ის ქვეყნების სერიოზული განზრახვის შესახებ, რომ სისრულეში მოიყვანონ 19 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება ნავთის ექსპორტის დღე-ღამეში 1,2 მლნ ბარელით შემცირების თაობაზე. აქამდე ბაზრის ოპერატორებს ეჭვი ეპარებოდათ, რომ ოპეკ ვერ შეძლებდა ნავთობის მოპოვების შემცირებას.

## "ჰონდას" სუფთა მოგება 4,3 პროცენტს შეადგენს

იაპონური ავტოსაწარმოს **Honda Motor Co.**-ს სუფთა მოგება 2006/2007 ფინანსური წლის მეორე კვარტალში 4,3 პროცენტია. ამის შესახებ კომპანიის წარმომადგენელმა ოთხშაბათს განაცხადა.

ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით "ჰონდას" მოგებამ 127,91 მლრდ იენი (1, 07 მლრდ. დოლარი) შეადგინა, მაშინ როდესაც წინასწარი პროგნოზი 135,5 მლრდ იენი იყო.

მოგება ოპერაციებიდან, ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში მდებარე შვილობილი საწარმოების მოგების გამოკლებით, 18,6 პროცენტით გაიზარდა და 193,02 მლრდ იენს მიაღწია.

"ჰონდაში" ელოდებიან, რომ 2007 წლის მარტისთვის მოგება ოპერაციებიდან 820 მლრდ იენს მიაღწევს, მაშინ როდესაც აქამდე 750 მლრდ-ს ელოდებოდნენ.

## დოლარის კურსი იაპონური ავტოკონცერნის გამო ეცემა

დოლარმა პოზიციები ოთხშაბათს, შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის სხდომის დამთავრების წინ დაკარგა. როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ბაზარი ელოდება, შენარჩუნდება თუ არა ამერიკის ცენტრობანკის მხრიდან საინფლაციო რისკის შესაძლებლობა. ცენტრობანკის ჩინოვნიკები ამბობენ, რომ ინფლაციის პროგნოზი გაურკვეველია.

ერთერთი ევროპული საინვესტიციო ბანკის ტრეიდერი თვლის, რომ დოლარის კურსის დაცემა რომელიღაც იაპონური ავტომეწარმის მიერ ამერიკული ვალუტის გაყიდვითაა გამოწვეული. სხვები უცხოელი ინვესტორების მიერ მოგების ფიქსაციაზე ლაპარაკობენ.

## საფონდო მიმოხილვა: ევროპის ბაზარი

24 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები ევროპაში მთავარი ინდექსების არაერთგვაროვანი ცვლილებით დასრულდა.

**გაზრდა:**

*სანავთობო სექტორი*

კომპანიების British Petroleum და Royal Dutch Shell აქციები შესაბამისად 1,1%-ით და 0,6%-ით გაძვირდა.

მაღალტექნოლოგიური სექტორი

ფრანგული კომპანია Alcatel SA ფასიანი ქაღალდების ღირებულება 7,2%-ით გაიზარდა.

საყოფაცხოვრებო ქიმიური პროდუქციის წარმოება

კომპანიის Reckitt Benckiser Plc. კოტირება 5,6% -ით გაიზარდა.

პროგრამული უზრუნველყოფა

პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი გერმანული კომპანიის Software AG აქციები 3,7% -ით გაძვირდა.

**შემცირება:**

*მიკროსქემების წარმოება*

კომპანიის STMicroelectronics NV. აქციები 2,7%-ით გაიაფდა.

ელექტროტექნიკის წარმოება

ფრანგული კომპანიიის Schneider Electric S.A. კოტირება 1,3% -ით შემცირდა.

*24 ოქტომბრის რეზულტატი:*

ბრიტანული ინდექსი FTSE 100 გაიზარდა 16,40 პუნქტით (+0,30%);
გერმანული Dax აიწია 4,61 პუნქტით (+0,07%);
ფრანგული CAC 40 დაეცა 7,27 პუნქტით (-0,13%);
ამსტერდამული AEX-Index გაიზარდა 0,59 პუნქტით(+0,12%);
შვეიცარიული SMI დაეცა 34,94 პუნქტით (-0,40%);
საერთოევროპული FTSEurofirst 300 შემცირდა 0,02% - ით 1450,08 პუნქტამდე.

## ევროპის საფონდო ინდექსები-
### 24 ოქტომბრის რეზულტატი

24 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები ევროპაში მთავარი ინდექსების არაერთგვაროვანი ცვლილებით დასრულდა.

ბრიტანული ინდექსი FTSE 100 გაიზარდა 16,40 პუნქტით (+0,30%);
გერმანული Dax აიწია 4,61 პუნქტით (+0,07%),
ფრანგული CAC 40 დაეცა 7,27 პუნქტით (-0,13%).
ამსტერდამული AEX-Index გაიზარდა 0,59 პუნქტით(+0,12%),
შვეიცარიული SMI დაეცა 34,94 პუნქტით (-0,40%).
საერთოევროპული FTSEurofirst 300 შემცირდა 0,02% - ით 1450,08 პუნქტამდე.

## საფონდო ანალიზი

25 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები იაპონიაში მთავარი ინდექსის Nikkei შემცირებით დასრულდა.

**შემცირება**

*საბანკო - საფინანსო სექტორი:*

ბაზარზე ნეგატიური გავლენა საკრედიტო დაწესებულებებთან დაკავშირებულმა სიახლეებმა მოახდინა. დღეს იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ უარი თქვა გეგმაზე, რომელიც სამომხმარებლო კრედიტის გამცემ ორგანიზაციებისათვის გარკვეული შეღავათების დაწესებას გულისხმობდა. რის გამოც ამ ტიპის კომპანიათა კოტირებები ტოკიოს საფონდო ბირჟაზე საგრძნობლად დაეცა.

ამ სექტორში იაპონური ლიდერის Aiful Corp აქციები 7,2% -ით გაიაფდა. კომპანიის Promise Co. ფასიანი ქაღალდების ღირებულება შემცირდა (-4,7%). ამ უარყოფით ფონზე 7,7% -ით დაეცა, პლასტიკური ბარათების უმსხვილესი იაპონური მიმწოდებლის, Credit Saison Co. -ის აქციების კურსი.

საფინანსო სექტორში დაფიქსირებულმა, ზემოაღნიშნულმა ნეგატივებმა სამაკლერო კომპანიების კოტირებებზეც უარყოფითად იმოქმედა. ინვესტორებს იმის შიშიც გაუძლიერდათ რომ ამ კომპანიათა ფინანსური მაჩვენებლები ანლიტიკოსთა პროგნოზებს ვერ გაამართლებდა. კომპანიის Nomura Holdings Inc აციები 2,5%-ით გაუფასურდა, Daiwa Securities Group Inc.-ის კოტირება 4,1%-ით შემცირდა. კომპანიის Nikko Cordial Corp.ფასიანი ქაღალდები 3,7%-ით გაიაფდა.

**გაზრდა**

საფონდო ვაჭრობები იაპონიის უმსხვილესი ექსპორტიორებისათვის სახარბიელოდ დასრულდა. რისი მიზეზიც ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მაკროეკონომიკური მონაცემები გახდა.

სექტემბრის თვეში იაპონიის სავაჭრო ბალანსის პროფიციტი წინასწარი მონაცემებით, წლიური გაანგარიშებით 6,9% -ით გაიზარდა და დაფიქსირდა 1,014 ტრილიონი იენის დონეზე(8,95 მლრდ დოლარი). გარდა ამისა იაპონური ექსპორტის მოცულობა სექტემბერში 15,3% -ით გაიზარდა 6,83 ტრლნ იენამდე(57,17 მლრდ დოლარი). ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ იაპონიის სავაჭრო ბალანსის პროფიციტი სექტემბერში 844,8 მლრდ იენი(7,07მლრდ დოლარი) იქნებოდა. ვინაიდან ოფიციალური მონაცემები ექსპერტთა პროგნოზებზე მაღალი აღმოჩნდა , იაპონური ექსპორტიორების აქციები ბირჟაზე მნიშვნელოვნად გაძვირდა.

*მანქანათმშენებლობა:*

ავტომშენებელი კომპანიისToyota Motor Corp.-ის აქციები 0,4%-ით გაძვირდა, ხოლო Nissan Motor Co. - ის კოტირება 0,8%-ით გაიზარდა.

*სათბობ-ენერგეტიკა:*

ნავთობზე ფასების ზრდამ ენერგეტიკული სექტორის კომპანიათა კოტირებების ზრდა გამოიწვია.

სანავთობო გიგანტის Inpex Holdings Inc.ფასიანი ქაღალდები 1,1%-ით გაძვირდა, ხოლო Japan Petroleum Exploration Co. - ის აქციების კურსი 1%-ით გაიზარდა.

*25 სექტემბრის რეზულტატი:*

ინდექსი Nikkei შემცირდა 81,17 პუნქტით (-0,48%) და დაფიქსირდა 16699,30 ნიშნულზე.

ამერიკული დოლარის კურსი იენთან 0,22 იენით შემცირდა და დადგინდა 119,24 იენ./დოლარ. დონეზე.

## სანავთობო ფიუჩერსების Light Sweet და Brent ფასების ცვლილებები

სანავთობო ფიუჩერსების Light Sweet და Brent ფასებს 25 ოქტომბერს, ნაშუადღევისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეხებია.

13:00 თბ/დრ მდგომარეობით ფასებმა სანავთობო ფიუჩერსებზე შეადგინა(დოლარ./ბარელ.):

- Light, Sweet Crude Oil (დეკემბერი) - 59,37 (+0,02). ცალკეული გარიგებების ფასები მოძრაობდა კოტირების 59,36-59,65 დიაპაზონში;
- IPE e-Brent Crude Futures Electronic (დეკემბერი) - 59,84 (-0,02). ცალკეული გარიგებების ფასები მოძრაობდა კოტირების 59,76-60,27 დიაპაზონში;

სანავთობო კოტირებათა ფასების ტექნიკური ცვლილებები 25 ოქტომბრისათვის მოსალოდნელია შემდეგ დიაპაზონში:

Light, Sweet Crude Oil
- საპროგნოზო მაქსიმუმი- 59,70-60,54 დოლარ./ბარელ;
- საპროგნოზო მინიმუმი- 58,42-58,12 დოლარ./ბარელ;

IPE Brent Crude
- საპროგნოზო მაქსიმუმი - 60,32-60,43 დოლარ./ბარელ.;
- საპრონოზო მინიმუმი- 58,52-58,16 დოლარ./ბარელ.

## ერთი ტროული უნცია ვერცხლი გუშინდელ სავაჭრო სესიაზე 18 ცენტით გაძვირდა (+1,5%)

ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე (COMEX) ერთი ტროული უნცია ვერცხლი 24 ოქტომბერს 18 ცენტით გაძვირდა(+1,5%). დეკემბრის ფიუჩერსის ოფიციალურმა ფასმა 11,850 დოლარ./უნც. შეადგინა. ცალკეული გარიგებების მიხედვით ფასები მერყეობდა 11,350-11,895 დოლარ./უნც. დიაპაზონში.

24 ოქტომბერს საფონდო ბაზარზე ვერცხლის დერივატივის ფასი გაიზარდა:

iShares Silver Trust ფასიანი ქაღალდები 1,3% -ით გაძვირდა და დაფიქსირდა 117,89 დოლარ./აქცია დონეზე.

ვერცხლზე მსოფლიო ფასების ცვლილების სავარაუდო დიაპაზონი:
- ახლო პერსპექტივა - 11,350-12,170 დოლარ./უნც.;
- საშუალოვადიანი პერსპექტივა - 11,000-12,300 დოლარ./უნც.

## გუშინ ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (COMEX) ოქროს ფასი 0,8% -ით გაიზარდა

ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (COMEX) ოქროს ოფიციალური ფიუჩერსის ფასი 24 ოქტომბერს, პირველად უკანასკნელი სამი სესიის განმავლობაში, გაიზარდა. ერთი ტროული უნცია ოქრო 4,7 დოლარით გაძვირდა(+ 0,8%).

ოქროს ფიუჩერსის(დეკემბერი) ოფიციალური ფასი 587,6 დოლარ./უნც. დონეზე დადგინდა. ფასები ცალკეული გარიგებების მიხედვით მერყეობდა 576,0-589,0 დოლარ./უნც. დიაპაზონში.

საფონდო ბაზრის ოქროს დერივატივის ფასი გაიზარდა:

StreetTracks Gold Trust-ის ფასიანი ქაღალდები 0,7% -ით გაძვირდა და დაფიქსირდა 58,17 დოლარ./აქცია დონეზე.

ოქროზე ფასების ცვლილებების სავარაუდო დიაპაზონი(დოლარ./უნცია):
- ახლო პერსპექტივა - 576,0-606,0;
- საშუალოვადიანი პერსპექტივა - 563,5-612,0.

## სანავთობო ფიუჩერსების Middle East crude oil ფასი დღეს 1,4% -ით გაიზარდა (25 ოქტომბრის ვაჭრობის შედეგი)

სანავთობო ფიუჩერსის Middle East crude oil ფასი ტოკიოს სასაქონლო ბირჟაზე (რOCOM) დღეს შესამჩნევად გაიზარდა . 25 ოქტომბრის სავაჭრო სესიაზე სააღრიცხვო ფიუჩერსის (დეკემბერი) ოფიციალური ფასი 1,4%-ით აიწია და 43,410 (+0,590) ათასი იენი /კილოლიტრი (57,84 დოლარ.//ბარელ.) დონეზე დაფიქსირდა.

Middle East crude oil სანავთობო მარკების Dubai და Oman გაერთიანებულ მაჩვენებელს წარმოადგენს და გამოიყენება, როგორც ახლო აღმოსავლეთის სანავთობო ბაზრის საფასო ეტალონი. ტოკიოს სასაქონლო ბირჟაზე Middle East crude oil - ის ფიუჩერსებით ვაჭრობა 2001 წლის სექტემბრიდან მიმდინარეობს. კონტრაქტი სააღრიცხვო ტიპისაა, შესაბამისად ფიუჩერსით ნავთობის ფიზიკური მიწოდება გათვალისწინებული არ არის.

## ნავთობი გაძვირდა -
### 24 ოქტომბრის რეზულტატი

24 ოქტომბერს ნავთობის მსოფლიო ფასები მთავარ სანავთობო ბირჟებზე გაიზარდა.

სანავთობო ფიუჩერსების ოფიციალურმა ფასებმა შეადგინა:

- ლონდონში InterContinental Exchange Futures-ზე ფიუჩერსის IPE e-Brent Crude Futures Electronic -ის ფასი 59,86 (+0,65) დოლარ./ბარელ.;
- ნიუ იორკში New York Mercantile Exchange -ზე ფიუჩერსის Light, Sweet Crude Oil ფასი - 59,35 (+0,54) დოლარ./ბარელ.

**(GBC)**

# მადიარების ქვეყანას ინვესტორები ტოვებენ



პირველი გვერდიდან

უნგრეთში ახლაც, იმ ტრაგიკული ამბებიდან ოცი წლის შემდეგ, კვლავ არეულობაა. ათიათასობით დემონსტრანტი გამოდის (განსაკუთრებით, ბუდაპეშტის ქუჩებში, პარლამენტის წინ) და ხელისუფლების, განსაკუთრებით, პრემიერ-მინისტრის გადადგომას მოითხოვს.

ამ მოთხოვნების უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ ხელისუფლება არ ასრულებს თავის საარჩევნო დაპირებებს და ხელფასების, პენსიების, სოციალური დახმარებების გაზრდის ნაცვლად (ბიუჯეტის დიდი დეფიციტის მომიზეზებით) მოსახლეობას "ქამრების შემოჭერას" სთავაზობს.

მდგომარეობა განსაკუთრებით გაამწვავა იმან, რომ გამოქვეყნდა მალულად ჩაწერილი კასეტა, სადაც მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე მთავრობის ხელმძღვანელი უდიერად მოიხსენიებს საკუთარ ხალხს.

ეს ყველაფერი კი ცუდად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. პოლიტიკურ კრიზისებს განსაკუთრებით უცხოელი ინვესტორები გაურბიან. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ უნგრეთი აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა იყო. კერძოდ, მან 2005 წელს 6,7 მილიარდი დოლარზე მეტი უცხოური ინვესტიცია მოიზიდა.

უნგრელთათვის განსაკუთრებით საამაყო ის იყო, რომ უნგრეთში თავისი ქარხნები გახსნა ისეთმა საავტომობილო გიგანტმა, როგორიც გერმანული კონცერნი "აუდია". ეს კონცერნი 1993 წლიდან მუშაობს უნგრეთში. თავიდან მან 3 მილიარდი ევრო ჩადო წარმოებაში და უახლოეს მომავალში კიდევ აპირებდა 1 მილიარდის ჩადებას. თავის დროზე ამ კონცერნს უნგრეთის მთავრობამ გარკვეული შეღავათები დაუწესა. კერძოდ, 2011 წლამდე იგი გათავისუფლებული იყო გადასახადებისაგან.

მაგრამ, ამ ბოლო დროს უნგრეთის მთავრობამ ახალი - "სოლიდარობის" გადასახადი შემოიღო, მოგების 4 პროცენტის ოდენობით, რომელიც ქვეყანაში მომუშავე ყველა ფირმამ და, მათ შორის, "აუდიმაც" უნდა გადაიხადოს. ამის საპასუხოდ კონცერნმა განაცხადა, რომ აღარ აპირებს საქმიანობის გაგრძელებას უნგრეთში და საწარმოები ქვეყნიდან გააქვს.

**ცნობისათვის: AUDI Hungaria Motor-სი ყოველწლიურად ზრდიდა წარმოების მოცულობას. 2003 წელს მან აწარმოა 4,36 მილიარდი დოლარის პროდუქცია, 2004 წელს - 5,36 მილიარდი დოლარის, ხოლო 2005 წელს - 5,82 მილიარდი დოლარის პროდუქცია.**

ექსპერტები ფიქრობენ, რომ აუხლოეს მომავალში ანალოგიურ განცხადებას გააკეთებს იაპონური კომპანია "Suzuki Motors-ი, რომელსაც უნგრეთში ასევე ავტომობილების მწარმოებელი ქარხნის აშენება ჰქონდა დაწყებული.

აღსანიშნავია, რომ ქარხნების ასეთი გადაწყვეტილება, განსაკუთრებით - "აუდის", დიდი დარტყმა იქნება უნგრეთის ეკონომიკისათვის. ეს კონცერნი ასაქმებს მრავალ ათას უნგრელს და, ამასთან, იგი არის ამ ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ექსპორტიორი.

არც ერთი ცნობილი ეკონომისტი არ ეწინააღმდეგება უნგრეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში ფისკალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. უნგრეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 10 პროცენტს (!) აჭარბებს. მაგრამ ყველა ერთსულოვანია იმაშიც, რომ ეს უნდა მოხდეს არა გადასახადების გაზრდის გზით, არამედ ბიუჯეტის ძალზე გაბერილი ხარჯების შემცირების ხარჯზე. ისინი უნგრეთის ხელისუფლებას სთავაზობენ მრავალი ადმინისტრაციული დაწესებულების ლიკვიდაციას და მოხელეთა უამრავი შტატის გაუქმებას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ქრისტოფ როზენბერგი აცხადებს:

"ცხადია, უნგრელებმა ფინანსების დაზოგვას უნდა მიმართონ და, გარკვეულწილად, ამ გზით გამოასწორონ ის მძიმე ფისკალური მდგომარეობა, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი. მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ხარჯების შეკვეცას უნდა ეხებოდეს და არა სხვადასხვა გადასახადის შემოღებას. ჩვენი გამოცდილება გვასწავლის, რომ ასე ცხელ გულზე შემოღებულ გადასახადებს ქვეყნისათვის მხოლოდ ზიანის მიყენება შეუძლია. სამწუხაროდ, სწორედ ასეთ სიტუაციას ვხედავთ უნგრეთში."

რადგანაც გადასახადები ასეთ დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ (არა მხოლოდ) ცხოვრებაში, გვინდა კიდევ ერთხელ გადავხედოთ მათ სიდიდეს ევროპის ქვეყნებში.

ფირმები ყველაზე დიდ გადასახადს იხდიან:

გერმანიაში - 38,34
იტალიაში - 37,25
ესპანეთში - 35 პროცენტი
დიდ ბრიტანეთში - 30
ჰოლანდიაში - 25,5-29,6
დანიაში - 28
შვედეთში - 28
ფინეთში - 28
ავსტრიაში - 25
ესტონეთში - 24
ჩეხეთში - 24
პოლონეთში - 19
სლოვაკეთში - 19
უნგრეთში - 18
ლატვიაში - 15
ლიტვაში - 15
კვიპროსში - 10

# რუსეთში უალკოჰოლო სასმელების წარმოებამ 13,3 პროცენტით მოიმატა

სტატისტიკის მიხედვით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელმა რუსულმა კომპანიებმა 268,7 მილიონი დეკალიტრი პროდუქცია გამოუშვეს, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 13,3 პროცენტით მეტია. რაც შეეხება მინერალურ წყალს, იგი 138,7 მილიონი დეკალიტრი, შარშანდელთან შედარებით 4,8 პროცენტით მეტი ჩამოისხა.

აღსანიშნავია, რომ სააგენტო "ექსპერტ რა"-ს მიერ შედგენილ 400 უმსხვილესი რუსული კომპანიის რეიტინგში 8 უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი კომპანია შევიდა. მათგან საუკეთესო მაჩვენებელი აქვს საერთო რეიტინგში 59-ე პოზიციაზე მყოფ "ვიმ-ბილ-დან" (WBD)-ს, რომლის რეალიზაციის მოცულობამ გასულ წელს 39,586 მილიარდი რუბლი (1 რუბლი - 0,04 დოლარი), ხოლო სუფთა მოგებამ 0,86 მილიარდი დუბლი შეადგინა.

უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელმა სხვა უმსხვილესმა კომპანიებმა რეიტინგში შემდეგი ადგილები დაიკავეს: 129-ე ადგილი - "კოკა-კოლა ეიჩბისი ევრაზია" (Coca-Cola HBC) - გაყიდვების მოცულობა 17,637 მილიარდი რუბლი, მოგება 1,513. 162 - "ლებედიანსკი" - 14,559, 2,138. 241 - "ოჩაკოვო" - 10,387, 0,396. 247 - "მულტონი" - 10,037, 0,396. 278 - "პეპსიკო ჰოლდინგსი" (PepesiCo Holdimgs) - 8,443, 0,388. 362 - "ნიდან სოკი" - 6,105, 0,449. 368 - "ორიმი ტრეიდი" - 6,026, 0,362.

აქვე უნდა ითქვას, რომ ყველაზე დინამიურად მზარდ არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელ რუსულ კომპანიად "მულტონი" დაასახელეს, რომლის საშუალო წლიურმა ზრდამ 56,9 პროცენტი შეადგინა.

# ლონდონი მსოფლიოს სავალუტო დედაქალაქად რჩება

ლონდონმა ვალუტით ვაჭრობის სფეროში თავის კონკურენტებთან უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. სააგენტო International Finansial Services-ის ინფორმაციით, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქზე მსოფლიოში ყოველდღიურად წარმოებული სავალუტო ვაჭრობის მოცულობის მესამედი, კერძოდ, 32,4 პროცენტი მოდის. აღსანიშნავია, რომ იგივე შარშანდელი მაჩვენებელი 31,3 პროცენტი იყო.

მეორე ადგილზე 18,2 პროცენტით აშშ გახლავთ, რომლის წილი შარშანდელთან შედარებით 0,8 პროცენტით შემცირდა. მესამე - 7,6 პროცენტით (შარშან 8,3 პროცენტი) იაპონიაა, მეოთხე კი - 5,7 პროცენტით (5,2) სინგაპური. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მსოფლიოს სავალუტო ბაზარი 37 პროცენტით, დღიურ 2,7 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა.

## მრავალმხრივი ცვლილება აშშ-ს ბირჟაზე










გუშინ აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა მრავალმხრივი ცვლილება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა რიგმა დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა მოახდინა, რომელთაგან აღსანიშნავია General Motors-ის მიერ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში წაგების 14,5-ჯერ, 115 მილიონ დოლარამდე შემცირება და DaimlerChrysler-ის მოგების სამი კვარტლის მიხედვით - 41 პროცენტით, 3,36 მილიარდ დოლარამდე გაზრდა. ხოლო ინვესტორების შეშფოთება ნავთობის გაძვირებამ და ფედერალური სერეზერვო სისტემის ხელმძღვანელობის მოლოდინმა განაპირობა. თუმცა, ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ძირითადი საპროცენტო განაკვეთი ამჯერად არ გაიზრდება და კვლავ 5,25 პროცენტის დონეზე დარჩება.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,05 პროცენტით, 12.130,75 პუნქტამდე შემცირდა. 0,55 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.357,81 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,16 პროცენტით, 1.379,55 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ფასი კვლავ იზრდება

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მცირე ზრდა გაგრძელდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 60,05 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 59,47 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

მოიმატა ბუნებრივი აირის ფასმაც და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 7,091 დოლარი შეადგინა. ამის მიზეზი აშშ-ს დიდ ნაწილში ძლიერი აცივება და სინოპტიკოსთა არადამაიმედებელი პროგნოზი გახლავთ.

"შავი ოქროს" გაძვირების მიზეზი აშშ-ში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის ზრდის შეფერხების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია გახლდათ. გარდა ამისა, კვლავ გაჩნდა ირანის ირგვლივ სიტუაციის დაძაბვის და ბაზარზე ნავთობის მიწოდების შეფერხების საშიშროება.

შედეგად, მცირედით მოიმატა "ოპეკის ნავთობის კალათის" ფასმა, თუმცა, იგი 54 დოლარი/ბარელს ვერ ასცდა და 53,89 დოლარი/ბარელის ნიშნულზე დაფიქსირდა.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი "ოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა. "ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

## ძვირფასი ლითონები გაძვირდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, პირველად სამი სესიის განმავლობაში, ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 0,8 პროცენტით მოიმატა და 587,6 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 1,5 პროცენტით, 11,85 დოლარი/უნციამდე პალადიუმი კი 0,5 პროცენტით, 323 დოლარი/უნციამდე გაძვირდა. რაც შეეხება პლატინას, იგი კვლავ, 1,1 პროცენტით გაიაფდა და 1 უნციის ღირებულებამ 1063,1 დოლარი შეადგინა, რაც ბოლო შვიდი თვის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია.

ანალიტიკოსთა აზრით, ძვირფასი ლითონების გაძვირება ნავთობის ფასის ზრდამ და მსოფლიოს წამყვან ვალუტებთან მიმართებაში დოლარის კურსის შესუსტებამ განაპირობა. ამასთან, ინდოეთში კვლავ გრძელდება ქორწინებათა სეზონი, რაც ძვირფას ლითონებზე მოთხოვნილებას ზრდის.

## AMD-მ ATI Technologies-ი იყიდა

მაღალტექნოლოგიური სექტორის წარმომადგენელმა კომპანიამ Advanced Micro Devices (AMD)-მ კონკურენტი კომპანია ATI Technologies-ი შეიძინა. გარიგების ღირებულებამ 5,4 მილიარდი დოლარი შეადგინა. აქედან, ATI-ის მფლობელები 4,3 მილიარდი დოლარს ნაღდი ფულით, დანარჩენს კი AMD-ს 85 მილიონი აქციის სახით მიიღებენ.

როგორც ცნობილი გახდა, აღნიშნული გარიგების განსახორციელებლად AMD-მ საინვესტიციო ბანკ Morgan Stanley-საგან 2,5 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტი აიღო. სავარაუდოდ, გაერთიანებული კომპანიის ახალი, ერთობლივი მოღვაწეობისას შექმნილი პროდუქტი ბაზარზე უკვე მომავალ წელს გამოჩნდება.

## ფრანგული გაზის კომპანიები ერთიანდებიან

ფრანგული გაზის კომპანიების Suez-ის და Gaz de France-ის გაერთიანებას ევროკომისიამ მწვანე შუქი აუნთო. ასე რომ, 72 მილიარდ ევროდ (90,26 დოლარი) შეფასებული ამ გარიგების შედეგად დაწნეხილი ბუნებრივი აირის მიმწოდებელი მსოფლიოს უმსხვილესი კომპანია და ევროპაში ელექტროენერგიის სიდიდით მესამე მწარმოებელი წარმოიქმნება. ამასთან, გაერთიანება კომპანიების დანახარჯს წელიწადში 500 მილიონი ევროთი შეამცირებს. აღსანიშნავია, რომ ორი ფრანგული კომპანიის გაერთიანების წინადადება ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვალში ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა გააჟღერა. ამის უმთავრესი მიზეზი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფრანგული კომპანია Suez-ის იტალიური Enel-ის მიერ მტრული შთანთქმისაგან დაცვა გახლდათ.




# საჭიროების შემთხვევაში – ირანული და აზერბაიჯანული დენი

ნიკა მარიამიძე

*ზამთარში საქართველოს ელექტრომომარაგების შეფერხება მოსალოდნელი არ არის. როგორც უკვე ცნობილია, ქართულმა მხარემ ირანთან უკვე მიაღწია შეთანხმებას, რომ საჭიროების შემთხვევაში საქართველო ელექტროენერგიას ირანისგან შეისყიდის. თუმცა, ჯერ არ დასრულებულა მოლაპარაკება სატრანზიტო ქვეყანასთან - სომხეთთან. შეთანხმების პროცესშია სატრანზიტო გადასახადის ოდენობა.*

საჭიროების შემთხვევაში საქართველოსთვის ელექტროენერგიის შესყიდვა შპს "ელექტროენერგეტიკული სექტორის კომერციულ ოპერატორად" (ესკო) გარდაქმნილმა ყოფილმა საბითუმო ბაზარმა უნდა განახორციელოს. ელექტროენერგიის შესყიდვის უფლება მას საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის შემდეგ მიენიჭა.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გამართული სამთავრობო მოლაპარაკებების დროს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისა" და ირანის ენერგეტიკული ორგანიზაციის "თავანირის" გენარალურმა დირექტორებმა - ბიძინა ჭყონიამ და მუჰამედ ალი ვაჰადადიმ ელექტროენერგიის გაცვლის შესახებ შეთანხმებას ხელი უკვე მოაწერეს.

აღნიშნული შეთანხმება ორ ქვეყანას შორის ელექტროენერგიის ბარტერს ითვალისწინებს. უფრო ზუსტად, "ესკო" ზამთრის პერიოდში (1 დეკემბრიდან 1 აპრილამდე, ანუ 4 თვის განმავლობაში) ირანის რესპუბლიკიდან 50 მეგავატ ელექტროენერგიას შემოიტანს, ხოლო ზაფხულში, შეთანხმების მიხედვით, ამავე რაოდენობის ელექტროენერგიას ირანს დაუბრუნებს.

როგორც "ესკო"-ში აცხადებენ, ელექტროენერგიის იმპორტი სომხეთის გავლით, სომხეთ-საქართველოს მაკავშირებელი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის "ალავერდის" საშუალებით მოხდება.

ამჟამად სომხურ მხარესთან ელექტროენერგიის იმპორტის ტრანზიტის საფასურთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს. საკითხის გადასაწყვეტად და დეტალების დასაზუსტებლად "ესკოს" გენერალური დირექტორი ბიძინა ჭყონია უახლოეს მომავალში სომხეთში გაემგზავრება.

ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან საქართველოს ენერგეტიკულ თანამშრომლობას საფუძვლად დაედო 29 სექტემბერს ერევანში საქართველოს, სომხეთისა და ირანის ენერგეტიკის მინისტრებს შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც ირანთან სამწლიან პარტნიორობას ითვალისწინებს.

"ესკო"-ში აცხადებენ, რომ ირანის გარდა, იმპორტი აზერბაიჯანიდანაც განხორციელდება. წინასწარი ინფორმაციით, აზერბაიჯანიდან ესკო ზამთრის პერიოდში 150 მეგავატ ელექტროენერგიას შემოიტანს, სანაცვლოდ კი, საქართველოს ელექტროენერტეგიკული სექტორის კომერციული ოპერატორი იმავე რაოდენობის დენს კონტრაქტორ მხარეს ზაფხულში დაუბრუნებს.

"ესკო"-ში იმედოვნებენ, რომ გაფორმებული შეთანხმებები ქართულ მხარეს ზამთრის პერიოდში სიმშვიდის საფუძველს მისცემს. **"აღსანიშნავია, რომ გაფორმებული კონტრაქტების ვადის ამოქმედებისთანავე ქართულ მხარეს იმპორტის დაწყებაზე განაცხადის გაკეთება ნებისმიერ დროს შეეძლება. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროსისტემაში წარმოიქმნება საბალანსო და სარეზერვო სიმძლავრის მოთხოვნა, ესკო ზემოთ აღნიშნული იმპორტის საშუალებით ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს,"** - განუცხადეს "24 საათს" "ესკო"-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

## რომის პაპს ბრონირებული VW Phaeton-ი აჩუქეს



კონცერნმა Volkswagen-მა რომის პაპს ბენედიქტ მე-16-ს ახლადშექმნილი ბრონირებული სედანი VW Phaeton-ი აჩუქა. მას 450 ცხენის ძალის მქონე W12 ძრავა აქვს. ბენდიქტ მე-16-ს ავტომობილის გასაღები თავად კომპანია Volkswagen-ის პრეზიდენტმა ბერნდ პიშეტსრიდერმა ვატიკანში გადასცა.

"პაპის ავტომობილი" შავი ფერის გახლავთ. მას პაპისთვის განკუთვნილი უნიკალური სალონი აქვს. თვითონ სედანს კი დამატებითი დაცვის სისტემა და ბრონირებული შუშები აქვს. შეგახსენებთ, რომ ივნისის ბოლოს რომის პაპის ავტოფარეხს ბოლო v8 ძრავიანი ავტომობილი - Volvo XC90 შეემატა. ეს საჩუქარი ბენედიქტ მე-16-ს კომპანია Volvo-ს იტალიელმა წარმომადგენელმა გადასცა.

## ვენესუელამ Coca-Cola-ს ბლოკადა დაიწყო



კომპანია Coca-Cola-ს 10 ათასამდე თანამშრომელმა ვენესუელაში კომპანიის ქარხნები და საწყობები დახურა. ისინი აცხადებენ, რომ მექსიკაში განთავსებულმა Coca-Cola-ს განყოფილებებმა მათ ერთი მილიონი დოლარის ოდენობის სოციალური გადასახადები გაუხანგრძლივა.

კარაკასის ერთ-ერთ ქარხანაში 500-მდე ყოფილმა თანამშრომელმა Coca-Cola-ს ქარხნის შესასვლელი გადაკეტა, რათა პროდუქციით დატვირთულ ავტომანქანებს ქარხნის ტერიტორიიდან ვერ გაეღწიათ. პროტესტის ნიშნად, დაახლოებით 10 ათასმა თანამშრომელმა ვენესუელაში განთავსებული კომპანიის 75 საწყობი გატეხა. საპროტესტო აქციის მონაწილეები ითხოვენ, რომ მექსიკაში კომპანია Cola-ს შვილობილმა კომპანია Coca-Cola Femsa-მ დაუყოვნებლივ გადაიხადოს მილიონობით დოლარი, რათა მათ ეს თანხა პენსიებისა და სოციალური დახმარებების სახით მიიღონ.

თანამშრომლები აცხადებენ, რომ კომპანიის ქარხნებს მანამდე არ მისცემენ მუშაობის საშუალებას, სანამ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ლიდერი ნიქსონ ლოპესი აცხადებს, რომ "ეს ბლოკადა Coca-Cola-ს ნაციონალიზაციის პრელუდიაა." უნდა აღინიშნოს, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეებს მემარცხენე პარლამენტარებით დაკომპლექტებული სპეციალური კომისია უჭერს მხარს. ამასთან, ისინი ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის მხარდამჭერები არიან.

Coca-Cola Femsa-ს მექსიკელმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქარხნების ბლოკადა არაკანონიერია. მათი აზრით, აქციის მონაწილეები ვენესუელის 7 ათასზე მეტ მომუშავე ადამიანს საფრთხეში აგდებენ.

# რაჭველებს ყურძენი კახელებზე უკეთ ეყიდებათ

მარიამ ჭაჭაძე

*დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმში წელს ყურძნის მოსავალი საგრძნობლად, თითქმის ოთხჯერ შემცირდა. სამაგიეროდ, რუსულ ემბარგოს რაჭული ყურძნის ფასზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია და წელს რაჭველი გლეხები "მუჯარეთულისა" და "ალექსანდროულის ჯიშის" 1 კილო ყურძენს 3 ლარად ყიდიან.*



კახეთის შემდეგ სოფლის მეურნეობის სამინისტროს "რთველი 2006"-ის სპეციალურმა შტაბმა რაჭა-ლეჩხუმში გადაინაცვლა. ამბროლაურისა და საჩხერის რაიონებში რთველი დაახლოებით ორი კვირის წინ დაიწყო და, როგორც ვარაუდობენ, ის ნოემბრის პირველივე რიცხვებში დასრულდება, თუკი რაჭველებს წვიმები არ შეუშლით ხელს. არადა, წვიმიანობა ამ მხარეში, თანაც, შემოდგომის მიწურულს იშვიათობას ნამდვილად არ წარმოადგენს.

ამ დროისთვის რაჭაში დაახლოებით 320 ტონა ყურძენია დაკრეფილი, საიდანაც 270 ტონა ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა შეისყიდეს, ხოლო დანარჩენი 50 ტონა რაჭველმა გლეხებმა თავად დაწურეს. "მუჯარეთული" და "ალექსანდროული" - ეს, ძირითადად, ყურძნის ის ჯიშებია, რომელიც ახლა რაჭაში იკრიფება.

კახელებთან შედარებით, რაჭველი გლეხები მოსავლის რეალიზაციას უპრობლემოდ და, თანაც, ძალიან კარგ ფასში ახერხებენ. მიუხედავად იმისა, რომ წელს და, სავარაუდოდ, გაისადაც ქართული ღვინის გასაღების მთავარი, რუსული ბაზარი დახურულია, წელს, როგორც შარშან, მეღვინეები გლეხებისგან ყურძენს 3 ლარად ყიდულობენ. ეს კი ორჯერ, რიგ შემთხვევაში კი, თითქმის სამჯერ მეტია კახური ყურძნის ფასთან შედარებით, სადაც წელს ფასები, შარშანდელთან შედარებით, გასანკუთრებით, "საფერავზე" საგრძნობლად შემცირდა.

წელს კახეთში 1 კილო "რქაწითელის" მინიმალური ფასი 28 თეთრი დაფიქსირდა, მაქსიმალური - 60 თეთრი, ხოლო "საფერავის" ღირებულება 0,80 - 1,20 ლარამდე მერყეობდა. "რქაწითელის" ფასი წელს ბაზარზე უმნიშვნელოდ იყო გაზრდილი, რასაც ვერ ვიტყვით "საფერავზე", რომლის მინიმალური ფასი გასულ რთველზე 1,80-2,00 ლარი იყო.

ღვინის მწარმოებელი და ექსპორტიორი კომპანიები აცხადებენ, რომ რაჭული ჯიშის ყურძნისგან დამზადებულ ღვინოზე დასავლეთის ბაზრებზე მოთხოვნა ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა და რომ ისინი ამ შემთხვევაში არ არიან რუსეთზე დამოკიდებულნი.

ქართული ღვინის ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა ექსპორტიორმა კომპანიამ "თბილღვინომ" წელს კახეთში ყურძნის შესყიდვაზე უარი განაცხადა, რადგან, როგორც კომპანიაში განაცხადეს, შარშან მათ დიდი რაოდენობის ყურძენი გადაამუშავეს, რომელიც რუსული ემბარგოს გამო უკან დაუბრუნდეათ. არადა, შარშან "თბილღვინომ" მხოლოდ ამ რეგიონში გლეხებისგან ნაყიდი 2200 ტონა ყურძენი გადაამუშავა. "თბილღვინო" საექსპორტო ღვინის საწარმოებლად ყურძენს გარკვეული რაოდენობით წელს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, რაჭაში შეიძენს. "გადაწყვეტილი გვაქვს, რომ წელს ყურძენს დასავლეთ საქართველოში შევიძენთ, დაახლოებით, 80 ტონას. მართალია, გასულ წელს რაჭაში ყურძენი არ გვიყიდია, თუმცა შარშან ამ რეგიონში 35 ათასი ლიტრი ღვინო შევისყიდეთ," - აცხადებენ "თბილღვინოში".

წელს რაჭაში ყურძენს ქართული ღვინის მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მწარმოებელი კომპანია GWS-ც გადაამუშავებს. აქ ჯერ ზუსტად არ იციან, რამდენს იყიდიან, თუმცა GWS-მ კახეთში ამ სეზონზე 400 ტონამდე ყურძენი უკვე შეისყიდა.

რთველის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგნოზით, რაჭა-ლეჩხუმში 3-3,5 ათასი ტონა ყურძენი უნდა დაკრეფილიყო, თუმცა, დღეს სამინისტროს სპეციალური შტაბის ხელმძღვანელი გრიგოლ ტუღუში "24 საათთან" საუბრის დროს აცხადებს, რომ რეგიონში 700 ტონაზე მეტი მოსავალი არ არის მოსალოდნელი. მიზეზი გაზაფხულის ყინვები, მოგვიანებით კი, გადაულებელი წვიმები გახდა. იყო კიდევ ერთი მიზეზი: "ყინვების შემდეგ ბევრმა თავი მიანება ვენახის მოვლას, რამაც თავისთავად გავლენა მოახდინა მოსავლის საერთო რაოდენობაზე," - უთხრა "24 საათს" გრიგოლ ტუღუშმა.

უნდა ითქვას, გასულ რთველზე ამ რეგიონში 4 ათას ტონამდე ყურძენი დაიკრიფა, რომლის დიდი ნაწილი ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა შეისყიდეს.

ლეჩხუმში რთველი ამ დღეებში იწყება, სადაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინასწარი პროგნოზით, 100 ტონა ყურძენი დაიკრიფება, ძირითადად, "ცოლიკაური" და "ოჯალეში", რომლის დიდ ნაწილს, სავარაუდოდ, ისევ ღვინის მწარმოებელი კომპანიები შეისყიდიან. ცნობისათვის, რაჭა-ლეჩხუმში ყურძენს ამ დროისთვის შემდეგი 7 კომპანია ამუშავებს: GWS, შპს "სენაკური", "თელიანი ველი", "თბილღვინო", "ჩუმლაყის ღვინის ქარხანა", "ქართული ღვინის სახლი რაჭაში" და "ბუგეული".

## Lukoil-ს იმედი გაუცრუვდა

კომპანია Kuwait Petroleum International-მა როტერდამში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გაყიდვა გადაიფიქრა. ამის შესახებ ქუვეითის ენერგეტიკის მინისტრმა, შეიხმა ალი ალ-ჯარახ ალ-საბახმა განაცხადა. როტერდამის ქარხნის აქტივების მყიდველი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრეტენდენტი რუსული ნავთობკომპანია lukoil-ი იყო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსულ კომპანიას გარიგება უახლოეს პერიოდში უნდა დაესრულებინა. ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გაყიდვის შესახებ ინფორმაცია მაისში გავრცელდა. მთელი ამ ხნის მანძილზე კუვეითურ კომპანიას 15 მყიდველი გამოუჩნდა. როტერდამის ქარხანა წელიწადში 4 მილიონ ტონა ნავთობს ამუშავებს.

როტერდამში სულ 5 უმსხვილესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანაა. ქუვეითის სახალხო რესპუბლიკის კუთვნილი ეს ქარხანა კი ერთადერთია, რომელსაც თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა ესაჭიროება. მართალია, Lukoil-ს როტერდამის ქარხნის ხელში ჩაგდების იმედი გაუცრუვდა, მაგრამ კომპანია ამ ეტაპზე ევროპის კიდევ რამდენიმე აქტივის შესყიდვას აპირებს. კონკრეტულად, იგი ამერიკული Chevron-ის აქციების 31-პროცენტიან პაკეტს და ბრიტანულ Coryton-ს უმიზნებს.

## ევროკავშირი 24 მილიონ სამუშაო ადგილს შექმნის

2010 წლისთვის ევროკავშირი შრომისუნარიანი მოსახლეობის 70%-ს დაასაქმებს, რისთვისაც 24 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნაა საჭირო.

ევროკავშირის ლიდერების პერსპექტივა რუმინეთსა და ბულგარეთსაც ეხება. ისინი ევროკავშირის წევრობას, 2007 წელს მიიღებენ.

ექსპერტების გამოთვლების თანახმად, ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე სამუშაო ადგილების რაოდენობა მინიმუმ 12%-ით უნდა გაიზარდოს, ევროზონაში 2004 წელს შესულ 10 ქვეყანაში, და მათ შორის, რუმინეთსა და ბულგარეთში კი - 25%-ით.

ევროკავშირის მიერ სამუშაო ადგილების შექმნის წარმატებებზე 2004 წელი მეტყველებს. ევროზონის 25 სახელმწიფოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 0,4 პროცენტით გაიზარდა და 64,7 პროცენტს მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ ევროზონაში 1998 წლიდან 2004 წლამდე ათი მილიონი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, რამაც საერთო ეკონომიკური მაჩვენებლის მაქსიმალური ზრდა განაპირობა.

## ამინდი

| | 26/10 | 27/10 | 28/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 11 | 13 | 12 |
| რიგა | 9 | 8 | -3 |
| ვილნიუსი | 8 | 7 | -5 |
| მოსკოვი | 10 | 6 | 7 |
| მინსკი | 11 | 13 | 0 |
| პარიზი | 19 | 20 | 19 |
| რომი | 26 | 27 | 26 |
| ლონდონი | 12 | 15 | 15 |
| მადრიდი | 15 | 20 | 25 |
| ბონი | 19 | 14 | 12 |
| ვარშავა | 15 | 15 | 10 |
| ათენი | 26 | 23 | 23 |
| ბერნი | 21 | 20 | 20 |
| ამსტერდამი | 16 | 15 | 13 |
| ოსლო | 0 | 1 | 1 |
| ანკარა | 20 | 15 | 19 |
| ვარნა | 21 | 21 | 21 |
| დელი | 33 | 32 | 31 |
| ტოკიო | 20 | 18 | 22 |
| კოპენჰაგენი | 10 | 8 | 5 |
| ბაქო | 17 | 16 | 17 |
| ერევანი | 18 | 20 | 18 |
| ასტანა | 3 | 6 | 8 |
| ჰელსინკი | 3 | 5 | -3 |
| დუბლინი | 10 | 10 | 10 |
| ლისაბონი | 19 | 21 | 21 |
| პრაღა | 18 | 17 | 15 |
| სოფია | 21 | 22 | 17 |
| ბუდაპეშტი | 18 | 21 | 13 |
| ბუხარესტი | 22 | 20 | 20 |

# კომპანია "არსი" და "სტუდია ჩემი სახლი" ერთობლივ კომპანიას დააარსებენ

კომპანია "არსსა" და შ.პ.ს. "სტუდია ჩემს სახლს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. შეთანხმების თანახმად კომპანიები აფუძნებენ ერთობლივ კომპანიას "ქარვასლა", რომელიც განახორციელებს ამავე სახელწოდების საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობას ნაძალადევში. ხელშეკრულება დღეს, "არსის გალერეაში" გაფორმდება. მემორანდუმს ხელს მოაწერენ კომპანია "არსის" გენერალური დირექტორი გია აბულაძე და "სტუდია ჩემი სახლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი ნოზაძე. თბილისში, დადიანის ქუჩაზე, ცენტრალური სადგურის მახლობლად აშენდება პირველი საზოგადოებრივი ცენტრი "ქარვასლა". საერთო კომერციული ფართი იქნება დაახლოებით 15 000 კვადრატული მეტრი. 5-სართულიან საზოგადოებრივ ცენტრს ექნება ექვსი დამოუკიდებელი ლიფტი, ესკალატორები, მიწისქვეშა ავტოსადგომით 300-ზე მეტი მანქანისთვის, გათბობისა და ვენტილაციის ერთიანი სისტემა. ცენტრში განთავსდება: კომერციული და სავაჭრო დანიშნულების ობიექტები; რესტორნები და კაფეები; სამედიცინო ცენტრი; ბავშვთა ოთახი, კინოთეატრი, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვა ობიექტები. კომერციული ფართი გადანაწილდება ზონირების პრინციპით. თითოეულ ზონაში განთავსდება განსაზღვრული ასორტიმენტის მქონე სავაჭრო ობიექტები. რეალიზაციისთვის კომერციული ფართის მინიმალური მოცულობაა 20 კვ.მ-დან. საზოგადოებრივი ცენტრ "ქარვასლას" მშენებლობა დაიწყება 2006 წელს და დასრულდება 2008 წლის დეკემბერში. კომპანია "არსის" და შ.პ.ს. "ჩემი სახლის" მიერ დაფუძნებული კომპანია "ქარვასლა" მოახდენს დაახლოებით 35 მლნ დოლარის ინვესტირებას მშენებლობაში. საზოგადოებრივი ცენტრის ამოქმედებას დიდი მნიშვნელობა ექნება უბნის ურბანული და სოციალური განვითარებისთვის. მისი ამოქმედება ხელს შეუწყობა მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ინვესტიციების მოზიდვას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, უბნის პრესტიჟულობის ზრდას. **ჯი-ეიჩ-ენი**